ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 13 ივნისი, 2013 №138 (6139) ფასი: 30 თეთრი

12 ივნისიდან!
„ახალი თაობა“
+
დალაი ლამა
8 ლარი




# ირაკლი ალასანია: „ჯარი ყველაფრისთვის მზად არის“

ვისი თავების გაგორებას აპირებს თავდაცვის მინისტრი



გვ.5

## ეკა ბესელია: „გამოქცეული ივანიშვილის ნახვას ვერ ეღირსებით!“



გვ.3



انتخابات یازدهمین دوره ریاست جمهوری اسلامی ایران

تاریخ: جمعه 92/3/24 از ساعت 8 صبح لغایت 18

شعبه تفلیس : مجتمع فردوسی - خیابان کاندلاکی – خیابان تاشکندی شماره 37

شعبه باطومی- سرکنسول گری ایران –میدان اروپا خیابان نودار دومبادزه شماره 16

ირანის ისლამური რესპუბლიკის მე-11 საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის 14 ივნისს, 08:00-დან 18:00 საათამდე.

თბილისი: ტაშკენტის ქ. 37, „ფირდოუსის“ სასწავლო ცენტრი.

ბათუმი: ირანის გენერალური საკონსულო. დუმბაძის ქ. 16.



გვ.2

## ლევან გოგიჩაიშვილმა ჩიორა თაქთაქიშვილის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა



გვ.4

## დიმიტრი შაშკინი: „საქართველო საშიშია რუსეთისთვის, როგორც თავისუფლების სიმბოლო“

## ალექსანდრე კვიტაშვილმა თსუ-ს რექტორის პოსტი დატოვა



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა თანამდებობა დატოვა. გათავისუფლების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილება თსუ-ს ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა.

„საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის ,,ე“ ქვეპუნქტის, ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის პირადი 2013 წლის 12 ივნისის 16696/02 განცხადების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის განცხადება პირადი სურვილის საფუძველზე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

2. დადგენილება გამოქვეყნდეს საჯაროდ“, - აღნიშნულია დადგენილებაში.

დადგენილებას ხელს აწერს აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე, სრული პროფესორი ნუგზარ სურგულაძე

ალექსანდრე კვიტაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად 2010 წლის 27 დეკემბერს აირჩიეს.

ივერონი



## თინა ხიდაშელი დაკითხვას ითხოვს

გვ.2

გვ.3

## კახა კუკავა: „ქართული ოცნება ნაცმოძრაობის გაუმჯობესებული ვარიანტია“



ISSN 1987-9385

4 ფიქრია ჩიხრაძე ბიძინა ივანიშვილმა სასიამოვნოდ გაალცა

7 ლევან გვინიანი: „ჩემი ძმის დაკავება სააკაშვილისა და მერაბიშვილის ინტერესში შედიოდა“

6 მიხეილ სააააკაშვილი: „დამოუკიდებელ უნივერსიტეტებზე დარტყმების ახალ ტალღას ველით“

2 ნანა დევდარიანი: „სააკაშვილმა ჯიჰადი გაითამაშა“

# ნანა დევდარიანი: „სააკაშვილმა ჯიჰადი გაითამაშა“

ნონა ცაბაძე



**ყოფილმა სახალხო დამცველმა, ექსპერტმა ნანა დევდარიანმა, რამდენიმე ექსპერტთან ერთად გლობალური კვლევების ცენტრი დააფუძნა და პირველი კონფერენციაც გამართა, რომელიც საქართველოში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობას ეხებოდა. „ახალი თაობა“ აღნიშნულთან დაკავშირებით ნანა დევდარიანს ესაუბრა:**

*— ქალბატონო ნანა, უფრო დეტალურად რომ ვისაუბროთ, რის კვლევას აპირებს თქვენი ცენტრი?*

— პირველ რიგში, ეს განპირობებული იყო იმით, რომ ჩვენი ყველა კვლევა, საექსპერტო დასკვნები და ასე შემდეგ, ყველაფერი კონცენტრირებულია მთლიანად საქართველოზე, მხოლოდ შიდა პრობლემებზე და ამ დროს როგორი მდგომარეობაა, იცით? არც ერთი მოვლენა ჩვენთან არ ხდება იზოლირებულად ამ გლობალური სამყაროდან. ამდენად, იმისათვის, რომ გავარკვიოთ, სად ვართ, შევძლოთ მინიმალური პროგნოზირება მოვლენების, ჩვენ აუცილებლად უნდა განვიხილოთ ყველა მოვლენა გლობალურ კონტექსტში. აი, ამისთვის არის ეს ცენტრი მოწოდებული.

*— რატომ იყო პირველი სემინარი საფინანსო ეკონომიკურ საკითხებზე?*

— იმიტომ, რომ ძალიან ბევრი სპეკულაციაა. ძველი ხელისუფლების მომხრეები იძახიან, რომ ყველაფერი კარგად იყო და პირველი ოქტომბრის შემდეგ ცუდად არის რეცესია, სტაგნაცია და ასე შემდეგ. ახალი ხელისუფლების მომხრეები იძახიან, რომ პირიქით, იყო კრიზისი და ახლა ვიწყებთ ნელ-ნელა კრიზისიდან გამოსვლას. ჩვენი ამოცანა იყო, ამ ორ უკიდურეს მოსაზრებას შორის ობიექტური სიმართლის დადგენა. იმიტომ, რომ არც ძველი ხელისუფლების დროს იყო აბსოლუტურად ყველაფერი ცუდად და არც ახალი ხელისუფლების შემთხვევაში ეს არ არის ცალსახად სტაგნაცია და რეცეზია. არის თავისი დადებითი მომენტებიც, მათ შორის ინფლაციას რაც შეეხება. ასე რომ, ჩვენ უნდა ვეცადოთ ამ უკიდურესად დაპირისპირებული აზრებიდან რაღაცა ობიექტურზე და უფრო შუალედურზე ჩამოვყალიბდეთ.

*— რომელი ექსპერტები ღებულობდნენ მონაწილეობას ამ კვლევებში?*

— ესენი არიან საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი ადამიანები, სამივე მათგანი პროფესორია, ესენი არიან სოსო არჩვაძე, დავით იაკობიძე და მიხეილ ჯიბუტი. სხვათა შორის, მათი აზრები არ ემთხვევა ერთმანეთს, ისინი გარკვეული თვალსაზრისით სხვადასხვა შეხედულებით არიან წარმოდგენილი, მაგრამ ეს ძალიან საინტერესოა, რადგან ცალსახა სურათს არ იძლევა. მაგალითად, ჯიბუტმა გამოკვეთა ტოპათეული, თუ რა გამოწვევებია საქართველოს წინაშე და რაზე უნდა ვიფიქროთ. მათ შორის ილაპარაკა ახალი ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებზე. დათო იაკობიძეს რაც შეეხება, მან საკმაოდ ვრცლად მიმოიხილა ვითარება და ჩაუღრმავდა ეკონომიკის ცალკეულ სეგმენტებსაც კი. აქ საქმე ძალიან ბევრია, ერთია, როდესაც პოლიტიკური ძალა აცხადებს, რომ მე ამას ვაკეთებ, ამის მოწმე ვიყავით მთელი 9 წელიწადი, ნაციონალები სულ ამას იძახდნენ, ეს ვქენით, ის ვქენით. მეორეა — ეს სიტყვიერად გაცხადებული, ობიექტურად რომ შევაფასოთ, მართლა შესრულდა თუ ეს მხოლოდ აიზბერგის მწვერვალია, რომელიც მოჩანს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ კვლევებს გავაგრძელებთ. ეს კვლევა იქნება ნატოსთან დაკავშირებითაც. სად არის საქართველოს ადგილი, არის რომელიმე სამხედრო ბლოკში თუ არ არის. რა არის დადებითი? რა უარყოფითი შედეგი და ასე შემდეგ.

*— თქვენ ნატო ახსენეთ და აქვე მინდა გკითხოთ, რამდენად არის იმის გარანტი, ჩვენი ბიჭების ავღანეთში ყოფნა, მათ მიერ დაღვრილი სისხლი, რომ ჩვენ მიგვიღონ ნატოში? ან თუ გვიღირს ყველაფერი ამად?*

— ფაქტები არის ჯიუტი. ჩვენ რომ შევხედოთ, ფაქტობრივად, შეერთებული შტატების შემდეგ მეორე ადგილზე ვართ ავღანეთში სამხედროების ყოფნით. ნატოს წევრ ქვეყნებს რომ გადავხედოთ, მათ გაცილებით ნაკლები ჯარისკაცები ჰყავთ. მათ შორის შორს რომ არ წავიდეთ და მაინცდამაინც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებზე რომ არ ვილაპარაკოთ, ჩეხეთი ავიღოთ, ბულგარეთი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, გაცილებით ნაკლებია მათი წარმომადგენლობა, რაც ხელს არ უშლის მათ ყოფნას ნატოში. მეტსაც გეტყვით, თუ ნატოში ხარ, შენ ვალდებულებები გაცილებით მეტი გაქვს, ხომ? მიუხედავად ამისა, მათი სამხედროების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ჩვენი. არავითარ პანაცეას და გარანტიას ის, რომ ჩვენი ბიჭები იქ იღუპებიან, არ წარმოადგენს ნატოში გაწევრიანების თვალსაზრისით, მაგრამ ასეც რომ იყოს, ამ სისხლის ფასად ნაყიდი ნატოში გაწევრიანება, რომლის ღირებულებების გარდა ვერაფერს ამბობენ თუ რას მოგვიტანს ეს ნატო, მხოლოდ ზოგად ღირებულებებზეა ლაპარაკი და მე ასე ვიცი, რომ დემოკრატიულ სამყაროში უპირველესი ღირებულება არის ადამიანის სიცოცხლე. ამას არ შეედრება არანაირი აბსტრაქტული ღირებულებები, არც დასავლური, არც ევროპული და არც სხვანაირი. ამიტომ ეს არის ისეთი სატყუარა, რომელიც შემოგდებულია თავის დროზე ნაციონალების მიერ, უფრო ადრე ეს ჯგუფი, მოგეხსენებათ, მოქალაქეთა კავშირში იყო და ეს ინერციით გრძელდება, ახალი ხელისუფლებაც იგივე რიტორიკას აგრძელებს. ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ამ გლობალური კვლევების ცენტრში, ფართო, ყოვლისმომცველი ანალიზი გვინდა გავაკეთოთ ამ ნატოს საკითხებთან მიმართებაში და ეს მოსალოდნელია უახლოეს ორ თვეში.

*— ქალბატონო ნანა, თქვენ იმ კატეგორიას მიეკუთვნებით, ვინც ფიქრობს, რომ დაუყოვნებლივ უნდა გამოვიდეს ჩვენი საჯარისო შენაერთები ავღანეთიდან? თუ როგორია თქვენი პოზიცია?*

— მე არა ვარ ასეთი ემოციებით მოლაპარაკე ადამიანი. მე ამას, რომ სამხედროები გამოსაყვანია ავღანეთიდან, წლების განმავლობაში ვლაპარაკობ, მაგრამ დღეს იმის განცხადება, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გამოვიდეთ, ეს გაცილებით უარესია.

*— რატომ არის უარესი?*

— ერთი მხრივ, შევიყვანეთ ჩვენ იქ ჩვენი შენაერთები და ეს ნიშნავს, რომ ამან მისცა ალიანსის სხვა წევრ სახელმწიფოებს საშუალება, რომ თავიანთი სახელმწიფოები გაეყვანათ. ახლა ჩვენ თუ ვიტყვით, რომ გამოვდივართ მთლიანად და მთელი კონტინგენტი გამოგვყავს, ვიღაცამ ეს აუცილებლად უნდა ჩაანაცვლოს. ეს უარესია იგივე დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობაში და ძალიან ცუდი სახე აქვს. აქამდე არ უნდა მივსულიყავით და ამხელა წარმომადგენლობა არ უნდა გვყოლოდა. ახლა უკვე დარჩენაც პრობლემაა და გამოყვანაც პრობლემაა. თუმცა პროცესი დასაწყებია, ნელ-ნელა უნდა შემცირდეს ეს კონტინგენტი, სხვა გზა, სხვა გამოსავალი აღარ არის.

*— ქალბატონო ნანა, რაც შეეხება თალიბების სახელით აქტივირთულ ვიდეორგოლებს, გაირკვა, რომ მისი აქტივირთვა საქართველოდან მოხდა. ხელისუფლება ამას არველაძის გუნდს აბრალებს, ნაციონალები კი თითს კოკა ყანდიაშვილისკენ იშვერენ. თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე? მართლაც მოდელირებული ვიდეო იყო?*

— ჩვენ მოდელირებულად გვაცხოვრეს 9 წელიწადი და ამ ხალხისგან ძალიან სასაცილოა დღეს რაღაცებზე საყვედურების მოსმენა. სადაც მოდელირებული ქრონიკა გააკეთეს და ომი გაითამაშეს, იქ ახლა ჯიჰადის გათამაშებას წინ არაფერი დაუდგებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში ჩემი დამოკიდებულება ისეთივე უარყოფითია ამის მიმართ, როგორიც იყო მოდელირებული ქრონიკის მიმართ. განურჩევლად იმისა, ვინ გააკეთა ეს. მე ვერ ამოვალ იქიდან, რომ ოცნების ხალხმა თუ გააკეთა, არა უშავს, ხოლო თუ ნაციონალებმა გააკეთეს — ცუდია. ყველა ვარიანტში ეს ძალიან ცუდია. ამის კეთება არ შეიძლება.

*— არის რაღაც, რაზეც თამაში არ შეიძლება...*

— რა თქმა უნდა. მათ შორის არ შეიძლება ავღანელების ეროვნულ გრძნობებზე და მათი საკუთარი შვილების მიმართ სიყვარულზე თამაში. ეს არ შეიძლება!

*— რისი მომტანი შეიძლება იყოს ეს ყველაფერი?*

— ეს არის სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვა. წარმოიდგინეთ ახლა, სააკაშვილი ისეთი დონის ფიგურაა, რომ ჯიჰადს უცხადებენ? ობამასთვის არ გამოუცხადებიათ ჯიჰადი პირდაპირ. არაფერს გაგონებთ ესა? კაცი, რომელიც სიმამაცის როლს თამაშობს, თვითონ აღარ ახსოვს გორში რა ქნა, მოხნა იქაურობა საკუთარი ცხვირით. ახლა ისეთი დონის მსოფლიო ფიგურაა, რომ ჯიჰადს პირადად უცხადებენ?

*— რას უნდა ველოდეთ ამ კაცისგან?*

— ცოტა დროაო, მაგრამ არც ისე ცოტა დროა ოქტომბრამდე, რადგან ერთ დღეში შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები დააყენოს ადამიანმა. მე რასაც ვუკვირდები ახლა, ივანიშვილი სწორ ტაქტიკას ადგას. აი, თუნდაც გუშინაც უშიშროების საბჭოს სხდომაზე არმისვლა სწორი გადაწყვეტილება იყო. ერთი მხრივ ხომ ისინი მოუწოდებენ, რომ შევიკრიბოთ, რამე განვიხილოთ, კი, მაგრამ ამ რვა თვეში რამე განიხილეს საერთოდ? რას აკეთებდნენ? ამდენად, ივანიშვილის პოზიცია სრულიად გასაგები და მისაღებია.

*— რომ არ მივიდა სხდომაზე ამას ეთანხმებით და იზიარებთ?*

— რა თქმა უნდა. ვისთან უნდა მისულიყო? ბოკერიას უნდა დაუჯდეს და სააკაშვილს? ჯერ კოაბიტაციის ის ფორმულა, რაც მოქმედებს, ისედაც აუტანელია ჩვენი მოსახლეობისთვის და ამის ნახვა კიდევ წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა. არაფრის მთქმელი შეკრება. საერთოდ ვინმემ განიხილა, სანამ სააკაშვილი ხელისუფლებაში იყო, 9 წლის განმავლობაში უშიშროების საბჭოს სხდომა რამდენჯერ ჩატარდა და რაზე იმსჯელეს?! ეს არის თვალში ნაცრის შეყრა. არასდროს არაფერი უშიშროების საბჭოზე მაგათ არ გადაუწყვეტიათ, დაჯდებოდა ოთხი-ხუთი კაცი, ერთმანეთში დაილაპარაკებდა და რასაც უნდოდა, იმას აკეთებდნენ. ეს ისედაც ყველამ ვიცით. ახლა გაეხსნათ პოლიტბიურული ორგანოების ხიბლი ხომ?

## თინა ხიდაშელი დაკითხვას ითხოვს



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლისა და სხვა პირების დაკავებასთან დაკავშირებით, საგარეჯოს მაჟორიტარმა დეპუტატმა, პარლამენტის წევრმა, თინა ხიდაშელმა ბრიფინგი გამართა.

საქმე, საგარეჯოს რაიონული მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი თანხების დიდი ოდენობით მითვისებისა და სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი ლოლაძის, მისი მოადგილის ბესიკ მარტიაშვილის, ზედამხედველობის სამსახურის უფროსის თენგიზ ივანელაშვილის, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის დავით ხატიაშვილის, საკრებულოს მთავარი სპეციალისტის თეიმურაზ ჯინჯიხაძის, შპს „არსაკიძის“ დირექტორის რევაზ ბაჩოშვილის, შპს „პალაცოს“ დირექტორის ზაზა მაისურაძის და შპს „მშენებელი 2013“-ს დირექტორის გიორგი ადუაშვილის დაკავებას შეეხება.

— ეს არის ჩემი ინიციატივით დაწყებული პროექტი, ჩვენ ვთხოვეთ პრემიერ-მინისტრს ზამთრამდე, სანამ თოვა დაიწყებოდა, თანხის გამოყოფა იმისათვის, რომ საბავშვო ბაღები და ის საცხოვრებელი სახლები გადაგვეხურა, რომლებიც ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. ეს სამუშაოები გასულ წელს დაიწყო. მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ვიცი ყველა დეტალი ამ პროექტის შესახებ, პირადად ვამოწმებდი ყველა თეთრის ხარჯვას, რომელიც დაკავშირებული იყო ამ პროექტთან. ეს იყო ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი პირველი ღონისძიება, რომელიც რაიონში განვახორციელე და განსაკუთრებით გაჭირვებულ ადამიანებს სახურავების გადახურვაში დავეხმარე. ამიტომ მინდა მივმართო ფინანსურ პოლიციას, თუ აქვთ რაიმე კითხვები — მეც დამკითხონ. მე ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას ამ კონტრაქტზე, რადგან თავიდან ბოლომდე ვიყავი საქმის კურსში განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

ამ ადამიანებს კი, თავდებში ვუდგები, რომ გათავისუფლდნენ გამოძიების პერიოდში. გამოძიება უნდა გაგრძელდეს და მე დარწმუნებული ვარ, რომ ის დასრულდება პოზიტიურად და არაფერი არ დადასტურდება იმ ბრალდებებიდან, რაც მათ წაუყენეს, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, თუ არსებობს რაიმე კითხვები კონკრეტულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში, მეც უნდა დამკითხონ ზუსტად ისე, როგორც დაიკითხნენ ეს ადამიანები, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მანვე უარყო ინფორმაცია, რომ დაკავებული გამგებელი გიორგი ლოლაძე თინა ხიდაშელის ნათესავია.

— ეს სრული ტყუილია და ლოლაძე მე მხოლოდ საარჩევნო კამპანიის დროს გავიცანი, — აღნიშნა დეპუტატმა.

**ნიუსპრესი**

## ლევან გოგიჩაიშვილმა ჩიორა თაქთაქიშვილის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა



სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის ხელმძღვანელმა, ყოფილმა პოლიტპატიმარმა ლევან გოგიჩაიშვილმა, გუშინ, პარლამენტარ ჩიორა თაქთაქიშვილის წინააღმდეგ საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

როგორც ლევან გოგიჩაიშვილი სააგენტო ,,ნიუსპრესთან“ საუბარში აღნიშნავს, მისი მხრიდან სარჩელის შეტანა, პოლიტპატიმრებისა და პირადად მისი მისამართით, ჩიორა თაქთაქიშვილის ცილისწამებამ განაპირობა.

,,ბარ-რესტორან ,,ლა ტრუფფე“–ში, 12 მაისს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, ჩიორა თათქაშვილმა განაცხადა, რომ პოლიტპატიმრები ხელისუფლებამ იმიტომ გამოუშვა, რომ ,,ნაციონალური მოძრაობის“ დევნა განახორციელონ და მის წევრებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენონ. დადასტურებულია, რომ ამ ინციდენტში პოლიტპატიმრებს მონაწილეობა არ მიუღიათ და შესაბამისად, ცილისწამებისა და ცრუ ბრალდების გამო, პირადად მე, საქალაქო სასამართლოში, მის წინააღმდეგ სარჩელი შევიტანე“ — განაცხადა გოგიჩაიშვილმა.

ყოფილმა პოლიტპატიმარმა, ასევე აღნიშნა, რომ ჩიორა თაქთაქიშვილისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას და მის მიერ ცრუ ინფორმაციის უარყოფას, იმავე ტელეეთერის საშუალებით მოითხოვს, სადაც ის გაჟღერდა.

,,ჩიორა თაქთაქიშვილის მიერ ჩვენი, პოლიტპატიმრების უფლებები, ინტერესები, ჩვენი რეპუტაცია, პატივი და ღირსება შეილახა. ასევე დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია. სარჩელი უკვე შეტანილია და მჯერა, სასამართლო ყველაფერს სამართლიანად გადაწყვეტს“ — განუცხადა ლევან გოგიჩაიშვილმა ,,ნიუსპრესს.“

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კახა კუკავა: „ქართული ოცნება ნაცმოძრაობის გაუმჯობესებული ვარიანტია“

თამარ ნინიძე

„პრაიმ-ტაიმის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარემ, კახა კუკავამ განმარტებები გააკეთა უშიშროების საბჭოს სხდომაზე პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის არმისვლასთან დაკავშირებით. კუკავას მიაჩნია, რომ 1 ოქტომბრის შემდეგ პრეზიდენტი სააკაშვილი და უშიშროების საბჭო მისი ხელმძღვანელით გიგა ბიკერიათი საკმარისზე მეტად არიან დისკრედიტებული, ამიტომ პრემიერი სხდომას რომ არ დაესწრო, ეს არ გაკვირვებია, თუმცა კუკავას შეფასებით, ბიძინა ივანიშვილს არ უნდა განეცხადებინა, რომ ამ სხდომაზე მისთვის უინტერესო საკითხები იხილებოდა.

„ეს განცხადება პრემიერ-მინისტრისგან უხერხულია და შეურაცხმყოფელი, პირველ რიგში, ქართველი ხალხისთვის იმიტომ, რომ ამ სხდომაზე იხილებოდა ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობის საკითხი“, – აცხადებს კუკავა.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის აზრით, უშიშროების საბჭო მკვდარი ორგანოა და მოქმედი ხელისუფლების პოლიტიკა უნდა იყოს თანმიმდევრული, თუ აცხადებ, რომ კოჰაბიტაციააა, მაშინ სხდომას უნდა დაესწრო, ხოლო თუ არ არის ეს კოჰაბიტაცია, მაშინ ეს ქმედებებითაც უნდა ჩანდეს, მაგალითად, ქართული ოცნება და ნაცმოძრაობა პარტიული დაფინანსების საკითხს მათთვის სასიკეთოდ წყვეტენ, დანარჩენი პარტიები კი არ აინტერესებთ. კუკავა შეეხო მოსამართლეთა ბოლო კონფერენციაზე იუსტიციის საბჭოს არჩევნებს და განაცხადა, რომ იუსტიციის მინისტრი იმდენად იყო გაოგნებული შედეგებით, რომ დღემდე კომენტარი არ გაუკეთებია, თუ არ ჩავთვლით ერთი კონკრეტული მოსამართლის აუგად მოხსენიებას. ამ კოჰაბიტაციამ რომ შედეგი არ მოიტანა, ამ არჩევნებმაც დაადასტურა.

კუკავა ფიქრობს, რომ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მკაფიოდ უნდა განაცხადოს, დასრულდა რეფორმა თუ ჩავარდა, არის სრული ნიშანი იმისა, რომ რეფორმა სწორედაც ჩავარდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ კოჰაბიტაცია კუბლაშვილთან მოჩვენებითი იყო.

თალიბანის ვიდეორგოლზე კუკავა ეჭვს



გამოთქვამს, რომ ხელისუფლება არ აპირებს ობიექტურად მის გამოძიებას, ასე მოხდა რვა თვის ბავშვის, ბარბარე რაფაელიანცის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ასევეა ხევდელიძესთან დაკავშირებითაც, ხვედელიძე დროებით ჩამოაშორეს თანამდებობას და საშუალება მისცეს, ემოგზაურა საზღვარგარეთ. ხუხაშვილის იდუმალ ხელს ხედავს კუკავა ამ ვიდეორგოლთან დაკავშირებით, ის იხსენებს ამერიკის პრეზიდენტის ბილ კლინტონის სკანდალს მონიკა ლევინსკისთან დაკავშირებით, როცა გამოძიება წარმართა არა შეერთებული შტატების პროკურატურამ, არამედ სენატის სპეციალურმა საგამოძიებო კომისიამ. ამ შემთხვევაში კბილაშვილისა და ნაცვლიშვილის მიერ წარმართული გამოძიება სანდო ვერ იქნება.

კუკავას კრიტიკა შეეხო რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშვნის საკითხსაც და კუკავამ აღნიშნა, რომ ეს კანონპროექტი სასწრაფოდ უნდა გამოიწვიოს პარლამენტმა. ცუდი იყო, როცა პრეზიდენტი სააკაშვილი ნიშნავდა უმაღლესი სასწავლებლების რექტორების მოვალეობის შემსრულებლებს და შემდეგ იგივე პიროვნებები რექტორებად ინიშნებოდნენ და ახლაც ქართული ოცნება ნაციონალების მავნე პრაქტიკას იმეორებს, რაც უნივერსიტეტების ავტონომიას ხელს შეუშლის.

„არაერთხელ ვთქვი, რომ ქართული ოცნება ნაცმოძრაობის გაუმჯობესებული ვარიანტია, ამათაც უნდათ, რომ რექტორები მათი ხელის ბიჭები იყვნენ, რომ მათი საშუალებით სტუდენტები აკონტროლონ“, – განაცხადა კახა კუკავამ.

პრესკონფერენციის ბოლოს კუკავამ კიდევ ერთხელ მოუწოდა პრეზიდენტობის კანდიდატებს, გაიწვიონ საკუთარი კანდიდატურები და მოხდეს ერთ კანდიდატზე შეთანხმება.

# ეკა ბესელია: „გამოქცეული ივანიშვილის ნახვას ვერ ეღირსებით!“

## გოგი ოჩიაური „ქართულ ოცნებას“ სიძულვილის გაღვივებაში ადანაშაულებს

შორენა მარსაგიშვილი

პარლამენტის ჭერის ჩამონგრევამ ჩვენს კანონმდებლებში სამუშაო განწყობა ვერ ჩაკლა. დეპუტატებს არც დებატების ხალისი არ ქონდათ წართმეული და გუშინ ერთმანეთს მახვილსიტყვაობაში ეჯიბრებოდნენ. მეოცნებეები ბიძინა ივანიშვილის მზეს ადიდებდნენ, ნაციონალები კი სააკაშვილის ვარსკვლავზე ფიცულობდნენ. ამასთან მხარეები იმის გარკვევასაც ცდილობდნენ რომელი უფრო გულადი იყო პრემიერი თუ პრეზიდენტი.

დეპუტატი აკაკი მინაშვილი აღშფოთებულია იმის გამო რომ პრემიერი არცერთხელ არ ჩავიდა ავღანეთში. მისი თქმით, ივანიშვილი გულადი რომ ყოფილიყო, ერთხელ მაინც წავიდოდა ჰელმანდის პროვინციაში. მინაშვილმა პრემიერს უშიშროების საბჭოს სხდომაზე მიუსვლელობაც დაუგმო.

– ბიძინა ივანიშვილის პრიორიტეტების ნუსხაში მხატვრობის ნიმუშები უფრო მაღლა დგას, ვიდრე ჩვენი სამხედრო ნაწილების უსაფრთხოება. ძალიან სამწუხაროა და შემაშფოთებელი, რომ პრემიერ-მინისტრი არ ინტერესდება ქართველი ჯარისკაცების საკითხით, – აღნიშნა მინაშვილმა.

გუშინდელ სხდომაზე კანონმდებლებმა თალიბანის სახელით გავრცელებულ ვიდეოზეც ისაუბრეს. მინაშვილი შეწუხებულია იმის გამო, რომ დამნაშავე ჯერაც ვერ იპოვეს. მისი განცხადებით, გავრცელებულ ვიდეოსთან დაკავშირებით განტევების ვაცის ძიების პროცესი მიმდინარეობს.

– შსს ცდილობს მთავარი დამნაშავე დაფაროს და ფაქტი სრულად არ გამოიძიოს. რა გასაკვირია, რომ სწორედ აქედან გამომდინარე ვითხოვთ საგამოძიებო კომისიის შექმნას. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს ნაადრევია, მაშინ როდესაც წვრილმან საკითხებზეც კი საგამოძიებო კომისიის შექმნას ცდილობენ. რა არის გასაკვირი იმაში, რომ ძალიან ბევრი კითხვა გაჩნდა იმასთან დაკავშირებით, რომ ერთი კვირა გავიდა და არანაირი კონკრეტული ფაქტი არ დევს ვიდეორგოლებთან დაკავშირებით. ვოდეორგოლების მიზანია ქვეყნის და მოქალაქეების დაშანტაჟება. მე მაქვს ეჭვი, რომ ახლა მიმდინარეობს პროცესი განტევების ვაცის ძიების, რომ მთავარი დამნაშავე დაფარონ და ფაქტი სრულად არ გამოიძიონ, – განაცხადა მინაშვილმა.

უშიშროების საბჭოს სხდომაზე მიუსვლელობის გამო პრემიერი გუშინ დეპუტატებმა გოკა გაბაშვილმა და ნუგზარ წიკლაურმაც დაგმეს. გაბაშვილის თქმით, აბსოლუტურად დაუსაბუთებელი და გაუგებარია პრემიერ-მინისტრის გუშინწინდელი განცხადება, რომ ის არ დაესწრება უშიშროების საბჭოს სხდომას, რადგან ვერ ხედავს მისთვის საინტერესო საკითხებს.

– ჩვენ მოვისმინეთ განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრისგან, რომ ის არ დაესწრება ეროვნული უშიშრების საბჭოს, იმიტომ რომ ვერ ხედავს მისთვის საინტერესო საკითხებს იმ საკითხთა ჩამონათვალში, რაც უშიშროების საბჭოს გუშინდელი სხდომის დღის წესრიგში იყო შეტანილი. შეგახსენებთ, რომ გუშინდელი ეროვნული უშიშრობის საბჭოს სხდომის დღის წესრიგში ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ძალიწ მნიშვნელოვვანი ორი საკითხი იყო შეტანილი. ამიტომ, აბსოლუტურად დაუსაბუთებელი, გაუგებარი და მხოლოდ შიდაპოლიტიკური კინკლაობის სულისკვეთებით არის გაჯერებული ის განცხადება, რაც ივანიშვილმა გააკეთა გუშინ. ძალიან საინტერესოა რა თემა უნდა იყოს შეტანილი უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში იმისათვის, რომ უსაფრთხოების საკითხი გახდეს საინტერესო პრემიერისათვის. კარგი იქნება, თუ მომავაში პრემიერ-მინისტრი საკუთარი მოქალქეების უსაფრთხოებით დაინტერესდება, – განაცხადა გაბაშვილმა.

ქართული ჯარის მხარდაჭერისთვის დაჯილდოვებული ნუგზარ წიკლაური იმის გარკვევას ცდილობს, რამდენად ზნეობრივია პრემიერის მხრიდან უშიშროების საბჭოს ბოიკოტი იმ მოტივით, რომ ქართველი ჯარისკაცების სიკვდილი ავღანეთში არის ნაკლებ მნიშვნელოვანი და უინტერესო.

– საზოგადოებაში განჩნდა კითხვები – ზოგადად შეუძლია თუ არა ხელისუფლებას გააცნობიეროს ქვეყნის წინაშე მდგარი რეალური საფრთხეები და ჩამოაყალიბოს ეროვნული ინტერესების დაცვის პოლიტიკა, როგორც საგარეო პოლიტიკის კუთხითა, ასევე საშინაო პრობლემეტიკის გაადწყვეტის თვალთაზრისით.

კოლეგებო, ნუთუ არავინ დაფიქრებულა, რომ სწორედ ამ საკითხების გამო იკარგება ინტერესი საქართველოს მიმართ. იქნებ ამიტომაც, მცირდება ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციები, იქნება ამიტომ იზრდება უმუშევრობა ქვეყანაში, ამ არადემოკრატიული, უპასუხისმგებლო ნაბიჯების გამო. ივანიშვილს მივმართავ, ამას ჰპირდებოდით თქვენ არჩევნების წინ ქართველ ხალხს?!, – განაცხადა წიკლაურმა.



უხუცესმა დეპუტატმა გოგი ოჩიაურმა საპარლამენტო უმრავლესობა ერთმანეთისა და საკუთარი ლიდერის სიძულვილში დაადანაშაულა. მისი თქმით, ქართველი ერი ველარ წავა იმ კომუნისტურ და დეგენერატული სივრცისკენ, საითკეც მათ მმართველი გუნდი მიერეკება.

– უმრავლესობა ძალიან დაჩქარებული ტემპით, ენერგიულად ცდილობს სახელმწიფოს მომავალი კომუნისტურ-სოციალუსტური განვითარების გზით წაიყვანოს. დეკლარაციული განცხადებები დასავლეთისკენ სვლის შესახებ, მხოლოდ უსუსური ტყუილია, რომელიც კრიტიკას ვერ უძლებს. მთავარია მოქმედება, თუ საით მიდიხარ და არა – დეკლარაცია. ბევრი ნიშანია, რაც კომუნიზმთან თქვენს მსგავსებაზე მიუთითებს. ყველაზე თვალშისაცემი რაც პარლამენტში თქვენი მოსვლიდან დამკვიდრდა, არის მძაფრი სიძულვილის ატმოსფერო არა მოწინააღმდეგის, არამედ, პირველ რიგში, ერთმანეთისადმი. ასეთი სიძულვილი, როგორიც თქვენ ერთმანეთის მიმართ გაქვთ, დაუშვებლად მიმაჩნია. მოვისმინეთ ჩანაწერები – ერთმანეთის დედის გინება, ლიდერისადმი სიძულვილი. ფარისევლურად, როცა ლიდერს დეკლარაციულად იცავთ და ზურგს უკან აგინებთ, არის ამაზრზენი და ძალიან ჰგავს ბოლშევიკურ ქცევებს. არც ერთ სოციალუსტურ წყობას ოპონენტი არ ჰყოლია. მთელი ოპოზიცია იოსებ ჯუღაშვილმა ფიზიკურად გაანადგურა, არავინ ცოცხალი მას არ დაუტოვებია. ჯერჯერობით, თქვენ მარტო ლანძღთავთ, ასევე მოიქცა ჰიტლერი, მაო ძედუნი, – განაცხადა გოგი ოჩიაურმა.

ოჩიაურის განცხადებამ მეოცნებეებს კოჰაბიტაცია და უფროსის პატივისცემა სულ დაავიწყა. მეოცებეთა ნაწილი არამოტივირებულად აკისკისდა, ნაწილმა ტაში შემოჰკრა, დანარჩენებმა კი რეპლიკების კორიანტელი დაატრიალეს. ისეთი ჟრიამული ატყდა პარლამენტის სპიკერი კინაღამ წყობილებიდან გამოვიდა. დავით უსუფაშვილმა თავის სამწყსოს სთხოვა, ხმაური შეეწყვიტათ და გოგი ოჩიაურისთვის განცხადების დასრულების შესაძლებლობა მიეცათ.

დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმა კი იმის გამო დაიჩივლა, რომ მეოცნებეებმა ვირტუალური სივრცის კონტროლი დაიწყეს. მას გაუგონრად მიაჩნია შსს-ში გიორგი ხმელიძის დაბარება-დაკითხვა.

მისი განმარტებით, გიორგი ხმელიძეს სამი საათის განმავლობაში იმის გამო ჰკითხავდნენ, რომ მან ფეისბუქის გვერდზე გაიზიარა სტატუსი, სადაც საუბარია, რომ „ჯიჰადთან“ დაკავშირებული კლიპები ბერას სტუდიაშია ატვირთული.

– ეს აუცილებლად გამოსაძიებელი საკითხია. არ ვართ წინააღმდეგი, დაიკითხოს ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც რაიმე ინფორმაცია აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში სულ სხვაგვარად არის საქმე – გიორგი ხმელიძე ამ ინფორმაციის პირველწყარო არ არის, მან უბრალოდ სტატუსი გააზიარა და აუხსნა კიდეც გამოძიებას, რომ ამის იქით არაფერი იცოდა. ამის მიუხედავად, ეს ადამიანი მოდულის შენობაში სამი საათის განმავლობაში იყო დაკითხვაზე. დაუსვეს კითხვები, თუ სად იყო გადაღებული მისი და პრეზიდენტის ერთობლივი ფოტო. ეს ყველაფერი ერთადერთი დასკვნის საშუალებას იძლევა – „ქართულმა ოცნებამ“ შექმნა მთავრობა, რომელმაც გასცა ვირტუალური დაპირებები. ახლა დაკავებული არიან ამ დაპირებების ვირტუალური შესრულებით და ახლა მთავარი მიზანია, გააკონტროლოთ ვირტუალური სივრცე. ეს ყველაფერი ემსახურება ერთადერთ მიზანს – ადამიანების დაშინებას – ყველამ იცოდეს, რომ მათ სტატუსებს აკონტროლებენ, ალბომებს ათვალიერებენ და მუდმივი თვალთავალის ქვეშ არიან, – განაცხადა ნადირაშვილმა.

სტატუსის გაზიარების გამო გიორგი ხმელიძის დაკითხვაზე დაბარება მართლაც ცუდი ფაქტია. თუმცა ნაციონალების მხრიდან ამ თემაზე განგაშის ატეხვა უბრალოდ უხერხულია. შარშან ოპოზიციური სტატუსის გამო პარლამენტის აპარატის თანამშრომელი დაითხოვეს. ეს საკმაოდ გახმაურებული ფაქტი იყო. რაზეც ნადირაშვილს ხმა არ ამოუღია. სამინისტროებში თანამშრომლები ოფიციალურად გააფრთხილეს რომ ოპოზიციური სტატუსების დადება, დალაიქება და გაზიარება ძვირად დაუჯდებოდათ.

ნაციონალების განცხადებები ოცნებაზე ორიენტირებულებს უპასუხოდ არ დაუტოვებიათ. ეკა ბესელიამ ნაციონალებს 2008 წელს გორიდან სააკაშვილის გაქცევა გაახსენა. მისი თქმით, ნაციონალები გაქცეული ივანიშვილის ხილვას ვერ ეღირსებიან.

– ბიძინა ივანიშვილი არც გაბედულობას და არც პრინციპულობას უჩივის. ის ავღანეთშიც ჩავა და ქართველ ჯარისკაცებსაც შეხვდება, მაგრამ პირდაპირ ეთერში არ დასვამს იმ ჯარისკაცებს და არ მოთხოვს მათ მოუყვნენ თუ რამდენი მოწინააღმდეგე ჰყავთ განადგურებული და რამდენი ადამიანი არის მათი ხელით გარდაცვლილი. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩვენს ქვეყანაში განმეორდეს 2008 წლის აგვისტო, მაგრამ თუკი რაიმე საფრთხე შეექმნება ქვეყანას რაიმე ფორმით, მე დარწმუნებული ვარ, რომ პრემიერ-მინისტრს არ ვნახავთ იმ გამოქცეულ მდგომარეობასა და ფორმაში, როგორშიც ჩვენი მთავარსარდალი ვიხილეთ, – აღნიშნა ბესელიამ.

ივანიშვილის ქების გარდა დეპუტატმა წინა ხელისუფლების დროს არსებულ ვითარებაზეც გაამახვილა ყურადღება. მან ოპოზიციას წარსულიდან რამდენიმე ფაქტი შეახსენა.

– 9 წლის განმავლობაში რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირი ყველა ბიზნესის წილში იყო და უკანონოდ მონაწილეობდა ყველაფერში, მათ მთელი ბიზნესი ტერორის ქვეშ ჰყავდათ. ჩვენ ქვეყანა უმძიმესი რეალობით ჩავიბარეთ, მაგრამ ვალდებულებებით, რომელსაც ახალი ხელისუფლება, რასაკვირველია, შეასრულებს. ყველაფერს შევასრულებთ, დაწყებული თავისუფალი და დამოუკიდებელი სასამართლოთი და ამას თქვენ ყველაფერს ჩვენთან ერთად ნახავთ, – აღნიშნა ეკა ბესელიამ.

ისნის მაჟორიტარი დეპუტატი ნუკრი ქანთარია უშიშროების საბჭოს სხდომაზე პრემიერის მიუსვლელობას დიდ ტრაგედიად არ მიიჩნევს. ქანთარიას განცხადებით, პრემიერ-მინისტრს ბევრი საქმე აქვს და არ არის ვალდებული, დაესწროს უშიშროების საბჭოს სხდომას.

– სააკაშვილმა ახალი გასართობი იპოვა და დაიწყო უშიშროების საბჭოს სხდომების მოწვევა. მინისტრები ვალდებულები არიან მივიდნენ, მაგრამ პრემიერი არ არის ვალდებული მივიდეს, რადგან იმ შემადგენლობით არაფერი საინტერესო გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, რა შემადგენლობაც „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან მონაწილეობს ამ სხდომებში. პრემიერს ბევრი საქმე აქვს და არ არის ვალდებული ჩაერთოს ასეთ გაურკვეველ თამაშებში, – აღნიშნა ქანთარიამ.

მისივე თქმით, უმცირესობის წევრებს, დავით დარჩიაშვილს და გოგა ხაჩიძეს მოელანდათ, რომ თალიბანის სახელით გავრცელებული ვიდეო „ქართულმა ოცნებამ“ დაამზადა.

– გასაგებია, რომ თქვენ გადაღლილები ხართ, ლოგიკური აზროვნებაც ძნელდება 1 ოქტომბრისა და გენერალური მდივნის დაკავების შემდეგ. გაცილებით უფრო მეტი შფოთია, შესაძლებელია რომელიმეში სინდისმაც გაიღვიძა და მსხვერპლიც გელანდებათ, მაგრამ, სად მიდიხართ, რა სივრცეებში გადადიხართ? მივმართავ დავით დარჩიაშვილს და გოგა ხაჩიძეს, ამ ვიდეორგოლის შესახებ საიდან მოგელანდათ და რა ეჭვით ლაპარაკობთ იმას, რომ „ქართული ოცნება“ დაკავებულია ვიდეორგოლებით და ამის შექმნით. როგორ მოხდა ამ ზღვარს იქით გადასვლა, რომ ასეთ დონეზე მიხვედით და ამოიცანით კოკა ყანდიაშვილი 2 ავტომატს რომ ისროდა ერთად?, – განაცხადა ქანთარიამ.

# დიმიტრი შაშკინი: „საქართველო საშიშია რუსეთისთვის, როგორც თავისუფლების სიმბოლო“

ნათია ხურცილავა



**თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა. შაშკინმა განათლების საკითხზე, ქართულ ჯარსა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე ისაუბრა.**

**დიმიტრი შაშკინმა ხელისუფლების იმ ახალ რიტორიკაზე ისაუბრა, რომელიც რუსეთის ფედერაციის მიმართ არის.**

**განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი აცხადებს, რომ რუსეთის პოზიცია უცვლელია.**

დიმიტრი შაშკინმა „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის განცხადებით, „საქართველო საშიშია რუსეთისთვის, როგორც თავისუფლების სიმბოლო“.

– სამწუხაროდ, სიტუაცია რთულია. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ რუსეთი თავისი გეგმით მოქმედებს. მიუხედავად იმისა, რომ ახალმა მთავრობამ რუსეთს ხელი გაუწოდა, რიტორიკა შეცვალა, სცადა ისეთი პირობების შექმნა, რომ რუსეთი დიალოგზე წამოვიდეს, ამის მიუხედავად, რუსეთის პასუხი არის ერთი და იგივე. როგორც პუტინი არაერთხელ ამბობს, „ქართველები გვიყვარს, საქართველოს გარეშე“, – განაცხადა შაშკინმა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი აცხადებს, რომ „საქართველოს მომავალთან დაკავშირებით რუსეთთან ფუნდამენტალური სხვაობა არსებობს“.

– როგორ პათეტიკურიც არ უნდა იყოს, საქართველო საშიშია რუსეთისთვის, როგორც თავისუფლების სიმბოლო. საქართველო საშიშია რუსეთისთვის, როგორც ქვეყანა – სიმბოლო, რომელმაც გაზისა და ნავთობის გარეშე შეიძლება მიაღწიოს ძალიან ბევრ რამეს, – განაცხადა შაშკინმა.

დიმიტრი შაშკინი ამბობს, რომ ვიდრე რუსეთში საქართველოს მიმართ სახელმწიფოებრივი მიდგომა „ქართველები საქართველოს გარეშე“ არ შეიცვლება, იქამდე ამ პრობლემის გადაწყვეტა ძალიან რთული იქნება.

შაშკინმა რუსეთის ინტერესებზეც ისაუბრა, რომელიც მას საქართველოსთან მიმართებით აქვს.

– რუსეთი მოქმედებს თავისი გეგმებით და ხელისუფლების შეცვლილი რიტორიკის მიუხედავად, ის პოზიციას არ ცვლის. რუსეთის პასუხები კი არის ერთი და იგივე. ფაქტია, რომ ჩვენ გვაქვს ფუნდამენტური სხვაობა რუსეთთან ჩვენს მომავალთან დაკავშირებით, – აცხადებს დიმიტრი შაშკინი.როგორც რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა „რაშა თუდეის“ ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების უკან წაღებას არ აპირებს, თუმცა საქართველოსთან თანამშრომლობისთვის მზად არის და სავიზო რეჟიმის გაუქმებას არ გამორიცხავს.

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი მიიჩნევს, რომ „ახალმა მთავრობამ საერთაშორისო თვალსაზრისით მიხეილ სააკაშვილის რესურსი უნდა გამოიყენოს“.

– ჩემი აზრით, ნებისმიერი ფორმატი, განსაკუთრებით კი ასეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუციის, როგორიც უშიშროების საბჭოა, ბოლომდე და მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები რამდენიმე თვეში ჩატარდება, მანამდე კი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია, რომელსაც საერთაშორისო თვალსაზრისით, ძალიან ბევრი რესურსი აქვს იმისთვის, რომ ამ პერიოდშიც ჩვენი ქვეყნისთვის ბევრი კარგი საქმე გაკეთდეს. ჩემი აზრით, ახალმა მთავრობამ ეს რესურსი მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს, – განაცხადა შაშკინმა.

შაშკინმა ქართულ ჯარში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებითაც გააკეთა განცხადება.

დიმიტრი შაშკინი შეიარაღებული ჯარების არანორმირებულ კვებაზე გადაყვანას მიესალმება.

– აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილებაა. ჩემი მინისტრობის პერიოდში მე მოვახერხე, მოვასწარი, რომ არანორმირებულ კვებაზე სპეცდანიშნულების ჯარები გადამეყვანა. ეს იყო დაახლოებით 2000 კაცი. ვფიქრობ, რომ ნორმირებული კვება სწორი არ არის, რადგან ჯარისკაცებს სხვადასხვა ოდენობის კვება ესაჭიროებათ. დავუშვათ, ერთს გარკვეული რაოდენობის საკვები, მეორეს კი გარკვეული რაოდენობა გამრავლებული ორზე, ან სამზე, – განაცხადა შაშკინმა.

რაც შეეხება ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებს, შაშკინის თქმით, ასეთი შემთხვევები მისი მინისტრობის პერიოდშიც იყო და ეს რთული პრობლემაა, რომელიც ზაფხულში კიდევ უფრო გართულდება.

– სამინისტრომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ხარისხიანი საკვებით უზრუნველყოს. კვების კომპანია, რომელიც ჯარს საკვებით უზრუნველყოფს, სახელმწიფო კომპანიაა და მე მომხრე ვარ, რომ ამ სფეროში კერძო ბიზნესი შემოვიდეს. ვაპირებდი კიდეც, რომ 2013 წლიდან სახელმწიფო კომპანია აღარ ყოფილიყო, თუმცა ეს მინისტრის გადასაწყვეტია, – განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში გარკვეული ცვლილებების პაკეტი მოამზადა.

აღნიშნულმა ცვლილებათა პაკეტმა საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია. საზოგადოების ნაწილი აპროტესტებს პრემიერისთვის გარკვეული უფლების მინიჭებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებში სამ პრობლემას ხედავს.

როგორც შაშკინმა პრესას განუცხადა, მნიშვნელოვანია, რომ ამ კანონპროექტის განხილვაში უნივერსიტეტების რექტორები და მისთვის პატივსაცემი პიროვნება გია დვალი ჩაერთოს, რომელმაც განათლების განვითარების კონცეფცია შეიმუშავა.

– სწორედ მისგან და რექტორებისგან მოვისმინოთ, რამდენად მისაღებია, რომ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი პრემიერ-მინისტრმა დანიშნოს. მართალია, ეს დროებითია, მაგრამ ეს არის დაკნინება აკადემიური საბჭოს ფუნქციისა და მოვალეობის. ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ და ვიცით, რომ მთავრობის წარმომადგენლის მხრიდან ნებისმიერი პოზიციის დაფიქსირება ქმედებებისთვის მოტივატორია. ეს იქნება ნიშანი, თუ ვის მიმართ არსებობს მთავრობაში სიმპათია, – განაცხადა შაშკინმა.

დიმიტრი შაშკინი კიდევ ერთ პრობლემას ხედავს ახალ ცვლილებებში. მისი თქმით, მეორე პრობლემა ეს არის დეკანთან დაკავშირებით ხარისხის მოთხოვნა.

– კარგია, როცა ქვეყანაში ბევრი დისერტაცია იწერება, მაგრამ მნიშვნელობა აქვს, როცა ეს არა თანამდებობისთვის, არამედ მეცნიერებისთვის კეთდება. საბჭოთა კავშირში იყო, რომ დისერტაცია მხოლოდ თანამდებობებისთვის იწერებოდა. ამ ნაწილში პრობლემა არ იქნება ისეთი მეცნიერებებისთვის, როგორიც ფიზიკა და ქიმიაა, თუმცა პრობლემას შეუქმნის ისეთ ახალ ფაკულტეტებს, როგორიც ჟურნალისტიკა და სხვა სპეციალობებია, – განაცხადა შაშკინმა.

რაც შეეხება მესამე პრობლემას, რომელსაც განათლების ყოფილი მინისტრი „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებში ხედავს, ესაა ჩარევა კერძო უნივერსიტეტების საქმიანობაში.

– კანონი კერძო უნივერსიტეტის მეპატრონეს ეუბნება, თუ როგორი უნდა იყოს მისი დეკანი, – აღნიშნა შაშკინმა.

გარდა ამისა, მან კიდევ ერთხელ განმარტა, თუ მისი მინისტრობის პერიოდში რატომ მიიღო გადაწყვეტილება, როდესაც უმაღლესი სასწავლებლების საჯარო სამართლის იურიდიული პირების სტატუსი არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსით შეცვალა.

– აიპ სტატუსი უნივერსიტეტს საშუალებას აძლევდა ბიზნესის ინკუბატორები შექმნილიყო, ანუ მეცნიერები რასაც გამოიგონებდნენ, თავად შესძლებოდათ მისი განხორციელება და ეს უნივერსიტეტის საკუთრებაშივე დარჩენილიყო. სსიპ სტატუსით ეს უფლება იზღუდებოდა და უნივერსიტეტის რექტორები ჩემთან საუბარში აცხადებდნენ, რომ მეცნიერების განვითარებას ვერ ახერხებდნენ, –ამბობს განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი.

# ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შტაბს გიგლა ბარამიძე უხელმძღვანელებს

ნათია ხურცილავა



**პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტობისთვის იბრძოლებს. საპრეზიდენტო არჩევნებში ბურჯანაძეს რა შანსები ექნება, ამაზე ექსპერტები უკვე შეფასებებს აკეთებენ. თუმცა, როგორც ჟურნალისტებს ბურჯანაძემ განუცხადა, ის არავითარ შემთხვევაში არ იბრძოლებს მეორე ადგილისთვის.**

ნინო ბურჯანაძე „სახალხო კრებამ“ წარადგინა საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად.

უკვე ცნობილია, რომ ბურჯანაძე არასაპარლამენტო ოპოზიციასთან გამართავს კონსულტაციებს და იბრძოლებს იმისთვის, რომ სწორედ მას დაუჭირონ მხარი. თუმცა, რამდენად გამოუვა ეს ბურჯანაძეს, რთული სათქმელია, რადგან საპრეზიდენტო არჩევნებში დამოუკიდებელ კანდიდატად მონაწილეობას აპირებს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სალომე ზურაბიშვილი. თუმცა, სალომე ზურაბიშვილს ჯერ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია და არც წინაასარჩევნო მარათონი გამოუცხადებია.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა გუშინ სპეციალურ პრესკონფერენციაზე ახალი თანამებრძოლი წარუდგინა საზოგადოებას. გიგლა ბარამიძე შევარდნაძის პერიოდის ერთ-ერთი აქტიური სახე იყო. თუმცა, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მან სამშობლო დატოვა და 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაუბრუნდა საქართველოს.

„დემოკრატიული მოძრაობის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციას და საპრეზიდენტო კანდიდატის საარჩევნო შტაბს სწორედ გიგლა ბარმიძე უხელმძღვანელებს. პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული სამცხე-ჯავახეთში, სომხეთში ყოფილი ელჩი გიგლა ბარამიძე 9 წლიანი პაუზის შემდეგ აქტიურ პოლიტიკურ პროცესებს უბრუნდება.

გიგლა ბარამიძე „დემოკრატიული მოძრაობის“ ოფისში თავად პარტიის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ წარადგინა.

– „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ დაასრულა პარტიის რეორგანიზაცია და გადადის რეგიონული და რაიონული ოფისების პრეზენტაციაზე. სრულდება მრავალთვიანი სამუშაო, რომელიც 1 ოქტომბრის შემდეგ გავწიეთ. პარტიაში ძალიან ბევრი ახალი სახეა, რომლის შესახებაც საზოგადოება თანდათანობით გაიგებს. დღეს მინდა, წარმოგიდგინოთ „დემოკრატიული მოძრაობის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელი გიგლა ბარამიძე, რომელიც ასევე უხელმძღვანელებს საარჩევნო შტაბს თბილისში. პატივისცემას იმსახურებს გიგლას გადაწყვეტილება, რომ ცხრაწლიანი პოლიტდევნილობის შემდეგ გადაწყვიტა პოლიტიკას დაუბრუნდეს. დიდი პატივია, რომ მან არჩევანი ჩვენს გუნდზე შეაჩერა. ბატონი გიგლა გახლავთ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და არაერთი მონოგრაფიის ავტორი. მას აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის სტატუსი. არის არაჩვეულებრივი ოჯახის წარმომადგენელი, მეცნიერთა ოჯახში გაზრდილია. მისთვის ტრადიციები და ქვეყნის სიყვარული ის ფასეულობებია, რაც ჩვენი პარტიის იდეოლოგიის მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს. ის გახლდათ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთში. სამცხე-ჯავახეთში მისი გუბერნატორობის პერიოდში აღდგა სახელმწიფო ინსტიტუტები და სახელმწიფო სიმბოლიკა რეგიონში და სასაზღვრო ზოლში რუსი მესაზღვრეების ნაცვლად უმტკივნეულოდ განთავსდნენ ქართველები. მან შეძლო ყოველგვარი ექსცესების გარეშე ახალქალაქში განთავსებული რუსული სამხედრო ბაზის მშვიდობიანად გაყვანის ოპერაციის ტექნიკური და იდეოლოგიური განხორციელება. ბედნიერია, რომ საქართველოში ბრუნდებიან ადამიანები, რომლებმაც დროის გამოცდას გაუძლეს, – ასე წარადგინა ნინო ბურჯანაძემ მისი ახალი თანამებრძოლი.

გიგლა ბარამიძემ თავისი გადაწყვეტილების შესახებ ჟურნალისტებთან ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ „დემოკრატიულ მოძრაობაზე“ არჩევანი იმ მიზეზით შეაჩერა, რომ ეს პარტია არის ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული, სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მატარებელი, მებრძოლი და თავისი პრინციპების ერთგული პოლიტიკური ძალა.

– იმ ურთულეს ვითარებაში, რომელშიც ახლა ჩვენი ქვეყანა იმყოფება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტი გახდეს ისეთი მასშტაბის პოლიტიკური ფიგურა, როგორიც ნინო ბურჯანაძეა, – განაცხადა ბარამიძემ.

როგორც ბარამიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, უახლოეს მომავალში თბილისის საქალაქო ორგანიზაციისა და თბილისში საპრეზიდენტო საარჩევნო შტაბის პრეზენტაცია უახლოეს მომავალში გაიმართება.

# ფიქრია ჩიხრაძე ბიძინა ივანიშვილმა სასიამოვნოდ გააოცა

თამარ ნინიძე

„ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარის ფიქრია ჩიხრაძისთვის მოულოდნელი და ძალიან სასიამოვნო იყო ბიძინა ივანიშვილის პრინციპული განცხადების მოსმენა აისაფის მისიაში ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობის უპირობოდ გაგრძელების შესახებ. „პრაიმ-ტაიმში“ პრესკონფერენციაზე ფიქრია ჩიხრაძემ აღიარა, რომ შიშით ელოდებოდა პრემიერ-მინისტრის რეაქციას ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვასთან დაკავშირებით, ფიქრობდა, რომ ივანიშვილი მისი არაერთი, წინა პერიოდში გაკეთებული დამაბნეველი განცხადებების გამო, ამ შემთხვევაშიც აისაფის მისიაში საქართველოს მონაწილეობის საკითხს უარყოფითად შეაფასებდა, რითიც რუსული ორიენტაციის პოლიტიკური ძალების მხარდაჭერას მოიპოვებდა.

ამ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ, როცა გმირი ქართველი ჯარისკაცები ტერაქტის შედეგად დაიღუპნენ, დიდი ბუმი ატყდა აისაფის მისიიდან საქართველოს გამოყვანასთან დაკავშირებით, მაგრამ ივანიშვილმა თავისი მტკიცე პოზიციით პრორუსულ ძალებს მიანიშნა, რომ საქართველო არის ცივილიზებული დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვანი ნაწილი და ასეთად დარჩება კიდეც.

მიუხედავად იმისა, რომ ფიქრია ჩიხრაძეს ივანიშვილის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდა მისი გაურკვეველი საგარეო ორიენტაციის გამო, ამ განცხადებამ „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერის მოწონება და აღფრთოვანება დაიმსახურა და ფიქრია ჩიხრაძეს იმედი მისცა, რომ საქართველო დასავლეთისკენ აღებულ კურსს არ გადაუხვევს.

„ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე შეეხო უშიშროების საბჭოს სხდომაზე ბიძინა ივანიშვილის არმისვლის მიზეზს და განაცხადა, რომ როგორც ნაცმოძრაობის, ისე ქართული ოცნების მიერ აკვიატებული აზრია ივანიშვილის დასწრება ამ ხსდომაზე.

„უშიშროების საბჭოს სხდომებზე კარგად ვლინდება ის პრობლემები, რომელიც აქვს ამ ორ პოლიტიკურ ძალას ერთმანეთთან. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ საგარეო ორიენტაციის თემა უნდა იყოს ის საკითხი, რომელშიც სადავო ამ ორ ძალას არაფერი უნდა ჰქონდეს. მე მოვისმინე ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ საქართველო 2014 წელს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისთვის. ამ ვითარებაში ყველა პარტია ერთმანეთს უნდ აქეზებდეს პროდასავლური საგარეო ორიენტაციის საქმეში და თანამშრომლობდეს“, – აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე.

„ახალი მეემარჯვენეების“ ლიდერი მიიჩნევს, რომ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა პრემიერ-მინისტრის მიერ ისეთივე კრიტიკას იმსახურებს, როგორსაც იმსახურებდა პრეზიდენტის მიერ დანიშვნა. ორივე ეს საკითხი ძირშივე სპობს უმაღლესი სასწავლებლების დამოუკიდებლობის იდეას და ავტონიმიურობის საკითხის დისკრედიტირება ხდება. ფიქრია ჩიხრაძე აცხადებს, რომ უნივერსიტეტებს სამეცნიერო საბჭოები იმისთვის ჰყავთ, რომ საკადრო საკითხებიც მათ უნდა გადაწყვიტონ.

„სტუდენტობის პერიოდში მთელი ეს დრო მოვანდომე ბრძოლას უნივერსიტეტის დამოუკიდებლობისთვის, ამიტომ ერთ-ერთი ის ადამიანი ვარ, ვინც ამ იდეას იცავს და მომავალშიც მისი დამცველი ვიქნები. ჩემთვის მიუღებელია, რომ ხელისუფლებამ გადაწყვიტოს რექტორების დანიშვნის საკით-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ფიქრია ჩიხრაძე ბიძინა ივანიშვილმა სასიამოვნოდ გააოცა

დასაწყისი მე-4 გვერდზე



ხი, როცა არსებობს სამეცნიერო საბჭო", – ასეთია ფიქრია ჩიხრაძის პოზიცია.

„ახალი მემარჯვენეების" ლიდერი რუსეთის პრეზიდენტის პუტინის ბოლო განცხადებას გამოეხმაურა, რომელშიც პუტინი საქართველოს სიყვარულში ეფიცება, მასთან მეგობრულ ურთიერთობებზე საუბრობს, მაგრამ ამავე დროს ამბობს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი არ გადაიხედება.

ფიქრია ჩიხრაძეს მიაჩნია, რომ ეს არ არის გულწრფელად გამოწვდილი ხელი მეგობრობისთვის, რადგან პუტინმა კარგად იცის, რომ საქართველო არასოდეს შეეგუება ტერიტორიების დაკარგვას.

„კარგად მესმის, რომ პუტინის ეს განცხადება დაუკავშირდა ავღანეთის მისიაში საქართველოს მონაწილეობის გაგრძელების თემას, ავადმყოფი არ ვარ, რომ მინდოდეს აგრესიული რიტორიკა დიდ სახელმწიფოსთან, მაგრამ მინდა, რომ საქართველოს არც ერთმა ხელისუფლებამ არ გადაუხვიოს დასავლურ კურსს, მოიხედავად იმისა, მეზობელი სახელმწიფო რა პრობლემებს შეგვიქმნის", – აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე.

## არასამთავრობოები დღეს პარლამენტში შეხვედრას გამართავენ

დღეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო", „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" საქართველოს პარლამენტში მართავენ სამუშაო შეხვედრას, სადაც განსახილველად წარმოდგენილი იქნება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებას შეეხება.

შეხვედრა საარჩევნო საკითხებზე მომუშავე პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის ფარგლებში ტარდება და მასში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პარლამენტის წევრები, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და მედიასაშუალებები. საკანომდებლო ცვლილებების პაკეტი, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის ცნების დახვეწას, ფარული პოლიტიკური რეკლამის აკრძალვას, ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ სარეკლამო ხარჯების შესახებ ინფორმაციის განთავსების ვალდებულებას და სოციალური რეკლამის განთავსების რეგულაციას.

**მედიანიუსი**

# ირაკლი ალასანია: „ჯარი ყველაფრისთვის მზად არის"

### ვისი თავების გაგორებას აპირებს თავდაცვის მინისტრი

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრობლემები არ ელევა. ავღანეთში ჩვენი სამხედროების დაღუპვა თითქოს საკმარისი არ იყო. ცოტა ხნის წინ რამდენიმე სამხედრო მოსამსახურე საკვებით მოიწამლა. რამაც თავდაცვის მინისტრის განრისხება გამოიწვია.

– ჯერ-ჯერობით არ არის დადგენილი მოწამვლის მიზეზი. 11 სამხედროს შემოწმება ახლა მიმდინარეობს. ეს არ არის მასშტაბური. მიუხედავად ამისა, მე მივიღე გადაწყვეტილება და გავათავისუფლეთ ყველა, ვინც იყო დაკავებული კვების უსაფრთხოებით. ასევე, მთლიანად შეიცვლება მენეჯმენტი და თვითონ მენეჯმენტის სისტემა ქართულ კვებაში, რომელსაც აქვს მიბარებული და ახორციელებს ჩვენი სამხედრო მოსამსახურეების კვებით უზრუნველყოფას. მე მინდა ერთი რამ ძალიან ნათლად განვუცხადო ყველას. სისხლის სამართლის საქმე არის აღძრული. ბუნებრივია, დაველოდებით გამოძიებას. ყველა ვინც, უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის მოვალეობას, განსაკუთრებით, მაშინ როდესაც საქმე ეხება ჩვენი ჯარის კვებას, რომელსაც მეც და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა ვთვლით, რომ ისევე უნდა მოეკიდო, როგორც შენი შვილის კვებას, იქნება მთელი კანონის სიმკაცრით დასჯილი. როგორც კი დასრულდება გამოძიება და დადგინდება დამნაშავე, თუ კი გამოიკვეთა, აუცილებლად, ჩემს მიერ იქნება უმკაცრესი ზომები მიღებული და თავები დაგორდება. თავები დაგორდება ყველასი, ვინც ვერ იაზრებს, რა პასუხისმგებლობაა, როდესაც შენ გაბარია ჯარის კვება და ჯარის მომსახურება. ახალი ტენდერი შესაძლოა მოგვიანებით ჩატარდეს. ამ ეტაპზე ჩვენ შევცვალეთ გადაწყვეტილებები. უნდა იყოს არანორმირებული კვება. შეცდომით და ასე ვთქვათ, სხვადასხვა პროცესის შედეგად, როგორც დავინახეთ, ნორმირებულ კვებაზე გადასვლის პროცესი შეიარაღებული ძალებისთვის არ არის მიზანშეწონილი. ამიტომ, მთლიანად შეიცვლება მიდგომა მომავალში ქართული კვების მიმართ, – განაცხადა გადაცემა „პოზიციაში" სტუმრობისას ირაკლი ალასანიამ.

მანამდე კი თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა განცხადება. საიდანაც გავარკვიეთ, რომ ქართული ჯარის კვების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ოთხი ტენდერი შეწყდა ტენდერის შეწყვეტის მიზეზად სამინისტრო, ნორმირებული კვების რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით, ჯარისკაცებს შორის არსებულ უკმაყოფილებას ასახელებს.

– 2013 წლის თებერვალში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სამხედრო მოსამსახურეთა კვებით უზრუნველყოფაზე, რეგიონული პრინციპის მიხედვით, 4 ტენდერი გამოაცხადა.

2013 წლის 11 ივნისს გამართულ სატენდერო კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნა, სამხედრო მოსამსახურეთა კვებით უზრუნველყოფის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ 2013 წლის 1 მაისიდან სამხედრო მოსამსახურეები არანორმირებულიდან ნორმირებული კვების რეჟიმზე გადავიდნენ.

გენერალური ინსპექციის თანამშრომლების მიერ, სამხედრო მოსამსახურეებს შორის ჩატარებული გამოკითხვით დადგინდა, რომ ისინი გამოთქვავდნენ ცალკეულ უკმაყოფილებას ნორმირებული კვების რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მთავარ ღირებულებას ჯარისკაცი წარმოადგენს, ამიტომ სამინისტროს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაეთვალისწინებინა სამხედრო მოსამსახურეთა სურვილი, სისტემაში აღედგინა არანორმირებული კვება და ამით მოესპო ის მცირედი დისკომფორტიც კი, რაც შესაძლებელია ეგრძნოთ სამხედრო მოსამსახურეებს.

ნორმირებულ კვებაზე გადასვლა, თავის მხრივ, სატენდერო დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას იწვევს, ამიტომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, თავდაცვის სამინისტროს სატენდერო კომისია იძულებული გახდა შეეწყვიტა კვებით უზრუნველყოფის ტენდერები.

თავდაცვის სამინისტრო იმედს იტოვებს, რომ ტენდერებში მონაწილე კომპანიებისათვის ზემოაღნიშნული არგუმენტები მისაღები და წონადი იქნება, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

სამხედრო ნაწილში ჯარისკაცების საკვებით მოწამვლის ფაქტს პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილიც გამოეხმაურა. სესიაშვილის განცხადებით, ყველა ის პირი უნდა დაისაჯოს, ვინც სამხედროების საკვებით მომარაგებას უზრუნველყოფდა. მისივე თქმით, მოწამვლის ფაქტთან დაკავშირებით, თავდაცვის მინისტრის მკაცრი რეაქცია ლოგიკურია.

– ირაკლი ალასანიას რეაქცია აბსოლუტურად ადეკვატური და საჭირო იყო, რამდენადაც, საჭიროა, რომ იმ კომპანიებმა, რომლებიც თავდაცვის და სხვა სამინისტროებში, შესაბამისი კონტიგენტის კვებით უზრუნველ-



ყოფით არიან დაკავებული, – შეიგნონ, რომ ჩვენ ახალ სტანდარტზე უნდა გადავიდეთ. ჯარის კვება არ არის რაღაც მეორეხარისხოვანი და ხელწამოსაკრავი საქმე, – განაცხადა სესიაშვილმა.

თავდაცვის მინისტრმა გუშინ კიდევ ერთი ხმაურიანი განცხადება გააკეთა. განცხადება გორში გაკეთდა. ალასანია გორში ავღანეთში დაღუპული სამხედროების ოჯახებში იმყოფებოდა სამძიმარზე.

ჟურნალისტებთან საუბარში ალასანიამ დაადასტურა რომ აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ტრანშეების გათხრა მიმდინარეობს. მინისტრის თქმით, ქართული მხარე არანაირ პროვოკაციას არ უნდა აჰყვეს, თუმცა ამავდროულად, გვპირდება რომ ქართული არმია ყველანაირი სცენარისთვის მზადაა.

– ოკუპაციის ხაზზე აფხაზეთის მიმართულებით მიწათხრილები გაკეთდა. ჩვენ ველოდებით, როგორ განვითარდება მოვლენები. მთავარია ქართული მხარე არანაირ პროვოკაციას არ აჰყვეს და შეინარჩუნოს ის დამოკიდებულება, რომელიც ზოგადად რუსეთის მიმართ გვაქვს. რაც არ უნდა იყოს დაგეგმილი მათი მხრიდან, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავყვეთ არანაირ პროვოკაციას. ამასთან, შეიარაღებული ძალები, ყველანაირი სცენარისთვის მუდმივ მზადყოფნაში ვართ, – განცხადა ალასანიამ.

# თიბისი ბანკის ახალი პროექტი მომხმარებელს

თიბისი ბანკმა თავის მომხმარებელს ახალი, უნიკალური პროექტი – ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა „7 ნაბიჯი წარმატებისაკენ" წარუდგინა. პროგრამის მიზანი საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაა.

ბანკის ახალი წამოწყების პრეზენტაცია თიბისის სათავო ოფისში გაიმართა. პროექტი ჟურნალისტებსა და ბანკში შეკრებილ საზოგადოებას თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, ვახტანგ ბუცხრიკიძემ წარუდგინა. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ნოდარ ხადური და ასევე აზიის განვითარების ბანკის საქართველოს ოფისის წარმომადგენელი, კეის ჯულიანი.

ვახტანგ ბუცხრიკიძემ საზოგადოებას ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის შემადგენელი 7 სხვადასხვა კომპონენტი დეტალურად გააცნო. მისი თქმით, პროგრამის შვიდივე კომპონენტი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას ემსახურება და გულისხმობს კომპანიებისათვის ისეთი არაფინანსური და ტექნოლოგიური სერვისების შეთავაზებას, რომლებიც გაზრდის ამ კომპანიების პროდუქტიულობას, ხელს შეუწყობს მათ მომავალ ზრდასა და განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე აისახება.

პროგრამის კომპონენტებია:

1.უფასო ტრენინგები მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის;

2.საგანმანათლებლო ვებ-პლატფორმა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა საინფორმაციო რესურსებს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენ-ლებისათვის;

3.თემატური კონფერენციები, რომელიც იძლევა გამოცდილების გაზიარებისა და კომუნიკაციის გააქტიურების საშუალებას;

4.უფასო კონსულტაციები სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის;

5.ინტერნეტ ბანკი იურიდიული პირებისათვის;

6.მობაილ ბანკი იურიდიული პირებისათვის;

7.სმს სერვისი იურიდიული პირებისათვის;

პროგრამის შვიდივე კომპონენტი 2013 წლის ბოლომდე განხორციელდება. პირველი კომპონენტის, უფასო ტრენინგების ორგანიზებას თიბისი ბანკი აზიის განვითარების ბანკის (ადბ) მხარდაჭერით ახორციელებს.

ამ ეტაპზე ტრენინგები ტარდება სამი მიმართულებით: ფინანსები, მარკეტინგი და ადამიანური რესურსების მართვა, უახლოეს მომავალში ამ მიმართულებებს დაემატება სხვა თემებიც. ტრეინინგებს გაუძღვებიან სხვადასხვა დარგის პროფესიონალი, უმაღლესი დონის ტრენერები.

ტრეინიგზე დასწრება შეუძლიათ მხოლოდ თიბისი ბანკის კლიენტ კომპანიებს, კერძოდ კომპანიაში გადაწყვეტილების მიმღებ პირებს: დამფუძნებლებს, დირექტორებს, მენეჯერებს.

პროგრამის კოორდინატორის, თამარ ჟიჟილაშვილის თქმით, კურსები მათ დაეხმარება ბიზნესის წარმოებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გაღრმავებაში, სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, ფინანსების მართვაში, მარკეტინგული კამპანიის დაგეგმვასა და წარმართვაში, სწორი კადრების შერჩევაში და ა.შ. რაც, მისივე თქმით, კომპანიების მომავალი ზრდისა და განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

პროგრამის პირველი კომპონენტის ფარგლებში, ტრენინგზე დასწრების შესაძლებლობა, თბილისისა და რეგიონების მასშტაბით, 2.000-ზე მეტ მსმენელს მიეცემა.




**ვახტანგ ბუცხრიკიძე:**

– მცირე და საშუალო ბიზნესი ქვეყნის ეკონომიკის საყრდენ ძალას წარმოადგენს. ამ სექტორს საქართველოში განვითარების დიდი პერსპექტივა და შესაძლებლობები აქვს. ბიზნეს-სექტორში ქვეყნის მაშტაბით 500.000-მდე ადამიანია დასაქმებული, აქედან მნიშვნელოვანი წილი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის.

მცირე და საშუალო ბიზნესი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა თიბისი ბანკისთვისაც. ბანკი ამ ეტაპზე ემსახურება 43.000-მდე იურიდიული პირს, რომელთაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ.

დღეისათვის, მცირე და საშუალო ბიზნესებისათვის 208 მილიონი ლარის სესხი გვაქვს გაცემული. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტის ფარგლებში, მცირე და საშუალო ბიზნესთან ჩვენი ურთიერთობა გახდება უფრო სიღრმისეული. ჩვენ მათ შევთავაზებთ ისეთ ინიციატივებსა და სიახლეებს, რომელიც ზოგადად ამ სექტორის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

**ნოდარ ხადური:**

– საინტერესო იდეა და სიახლეა. მცირე და საშუალო ბიზნესის გაძლიერება სახელმწიფოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ის 7 საფეხურიც, რომელიც თიბისი ბანკმა მათ შესთავაზა, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია. მადლობა აზიის განვითარების ბანკს, რომელიც წარმატებით მუშაობს საქართველოში. ვულოცავ ბანკს ამ პროექტის დაწყებას და ვფიქრობ, რომ ის წარმატებული იქნება.

**კეის ჯულიენი:**

– მინდა, მადლობა გადავუხადო თიბისი ბანკს აქ მოწვევისთვის. მოხარულები ვართ, რომ საშუალება გვაქვს, მივიღოთ მონაწილეობა საქართველოს ეკონომიკის გაძლიერებაში. 2007 წლიდან დღემდე, ჩვენ კერძო სექტორი 100 მილიონი დოლარით დავაფინანსეთ. ცალკე პროექტი გვაქვს თიბისისთან, რომლის ფარგლებშიც ისინი 50 მილიონი დოლარის საკრედიტო ხაზით ფინანსდებიან, რათა ხელი შეუწყონ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას საქართველოს რეგიონებში. მივესალმებით თიბისი ბანკის ახალ ინიციატივას, რომლის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის კიდევ უფრო გაძლიერება. დარწმუნებული ვარ, ეს პროექტი წარმატებული იქნება.

# მიხეილ სააკაშვილი: „დამოუკიდებელ უნივერსიტეტებზე დარტყმების ახალ ტალღას ველით“



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, სახელმწიფო უნივერსიტეტების შემდეგ, „დარტყმის ახალ ტალღას“ კერძო უნივერსიტეტების წინაღმდეგ მოელის.

ამის შესახებ სააკაშვილმა გუშინ, პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრის დროს განაცხადა.

„ბათუმის უნივერსიტეტი, რომელიც ჩვენ გავხსენით და რომელიც ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო, — მიიხურა. იქ ბათუმის მერიის სახით გაურკვეველი დაწესებულება შედის, არადა ეს იყო უნივერსიტეტი, რომელშიც საწყისი კაპიტალი უკვე 200 000 000 ლარი იყო. ეს თანხა უპრეცედენტოა კავკასიის ისტორიაში და ქართველების უმეტესობა იქ, მაგისტრატურაში და ასევე ბაკალავრიატში უფასოდ ისწავლიდა.

ასევე, თქვენ იცით, რომ „თავისუფალ უნივერსიტეტს“ დროებით ჩამოერთვა ლიცენზია და შემდგომ მართალია აღუდგინეს, მაგრამ ამაზე საუბარი არ შეწყვეტილა. სამწუხაროდ, ჩვენ მოველით დარტყმების ახალ ტალღას დამოუკიდებელ უნივერსიტეტებზე.

ახლა კი უკვე, სახელმწიფო უნივერსიტეტებში, პრაქტიკულად ძველი რეჟიმის რესტავრაცია ხდება. ეს ნიშნავს, რომ ასობით ახალი კადრი, რომელიც განათლების სისტემაშია და მათ შორის ისეთებიც, ვინც ივანე ჯავახიშვილის პერიოდის მსგავსად უცხოეთიდან დაბრუნდა რათა ჩვენი სტუდენტებისთვის ესწავლებინათ, — გვერდზე გაიწევიან.

არის ამ ხალხის გვერდზე გაწევის და ძველი კორუმპირებული ადამიანების დაბრუნების მცდელობა, რომელთაც არც კვალიფიკაცია აქვთ და არც თანამედროვე განათლების სისტემის მორალურ სტანდარტებს შეესაბამებიან „— განაცხადა სააკაშვილმა.

**ნიუსპრესი**

# „ჟანი კალანდაძის საპატივცემულოდ ეკლესიის მშენებლობას მისი ორგანიზატორის სახლი ეწირება“

ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში ტრაგიკულად დაღუპული გურიის გუბერნატორ ჟანი კალანდაძის საპატივცემულოდ ეკლესიის მშენებლობას მისი ორგანიზატორის, ეკატერინე გოგიბერიძის სახლი ეწირება. ამის შესახებ განცხადება ლეიბორისტული პარტიის წევრმა ლეილა გაფრინდაშვილმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

მისი ინფორმაციით, ეკატერინე გოგიბერიძემ ჟანი კალანდაძის მეგობრების, ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი ლიდერების: გუბერნატორ ვალერი ჩიტაიშვილისა და რამაზ ნიკოლეიშვილის წაქეზებითა და იმედით, ტაძრის ასაშენებლად საჭირო თანხისთვის თბილისში მდებარე საკუთარი სახლი იპოთეკით დატვირთა. გოგიბერიძის თქმით, ნაციონალური მოძრაობა პირობის შესრულებას აპირებდა და მშენებლობაში კიდეც დაეხმარნენ, მაგრამ საპარლამენტო არჩევნების წინ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური თაღლითობით, მშენებლობაც შეჩერდა და პროცენტით აღებული ვალიც ვალად დარჩა.

„ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის მაშინდელმა კანდიდატმა, დღეს უკვე დეპუტატებმა: თემურ ჭკუასელმა და ეკა ბესელიამ, ასევე გოგი ჭიჭინაძემ ურჩიეს ეკატერინე გოგიბერიძეს, „ნაციონალები“ ტაძრიდან გაეყარა და სოფელში „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ ემუშავა. სამაგიეროდ, გამარჯვების შემდეგ, ბიძინა ივანიშვილი ტაძარსაც ააშენებდა და ვალსაც გადაუხდიდა. ეკატერინე გოგიბერიძემ პირობა შეასრულა, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“, ტრადიცულად, პირობა დაივიწყა. გამარჯვების შემდეგ „მეოცნებე ტრიუმვირატმა“ გოგიბერიძეს მათ ტელეფონზე დარეკვაც კი აუკრძალა. გადაუხდელი ვალის გამო, ღარიბაშვილის პოლიცია ორ დღეში სახლიდან ასახლებს გარდაცვლილი ბერის, თევდორე ფირანიშვილის ოჯახს — ეკატერინე გოგიბერიძე ბერის მეუღლეა“, — აცხადებს ლეილა გაფრინდაშვილი.

იგი მიმართავს ბიძინა ივანიშვილს, რომელიც „ცნობილია გულუხვი დაპირებებით და შემდგომ მათი უარყოფით“ — დაუყონებლივ შეასრულოს თავისი პირობა და დაეხმარონ ეკატერინე გოგიბერიძეს, რომელიც მათი უპასუხისმგებლობის და პოლიტიკური თაღლითობის გამო უსახლკაროდ რჩება.

**მედიანიუსი**

# შვილმკვდარი დედა წულუკიანთან და ღარიბაშვილთან შეხვედრას ითხოვს

**არჩევნების შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ საგამოძიებო ორგანოების სრული გადახალისება ვერ მოახერხა და ამ სტრუქტურებში ძველი კადრები საკმაოდ არიან. ამიტომ გასაკვირი არც არის, რომ არაერთი მოქალაქე ახალ რეალობაშიც ჩივის გამოძიების არაობიექტურობასა და მიკერძოებას. რესტორან „სამ საუკუნესთან“ მოკლული ზვიად შამათავას დედამ, მზია შამათავამ, გუშინ პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ ინსტანციიდან ინსტანციაში დადის და მკვლელობაში მონაწილე ერთი პირის დაპატიმრებას, ხოლო ორი პირის მიმართ გადაკვალიფიცირებასა და ჩადენილი დანაშაულის ადეკვატურ სასჯელს მოითხოვს (ამაზე ჩვენი გაზეთიც წერდა), მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. სამართალდამცავი სტრუქტურების პირველ პირებთან შეხვედრა პრობლემაა.**

გულიკო ბალაძე

— განცხადებით მრავალჯერ მივმართე მთავარ პროკურორს, შს მინისტრს, იუსტიციის მინისტრს, პარლამენტს, მაგრამ დღემდე არანაირი ძვრა არ არის. მოვითხოვ ჩემი შვილის მკვლელობის მონაწილე მესამე პირის დაკავებას. ჩემი შვილის მკვლელობა სამმა პიროვნებამ ჩაიდინა. მკვლელობა მხოლოდ ონიანს არ ჩაუდენია. ონიანმა დაურეკა ორ მეგობარს, ლიპარტელიანებს, მიიყვანა და სამივე ერთად თავს დაესხა ჩემ შვილს. ლიპარტელიანები იყვნენ მკვლელობის თანამონაწილეები. მათი მისვლით მოხდა ჩემი შვილის მკვლელობა. ისინი რომ არ მისულიყვნენ, მარტო ონიანი ვერაფერს ჩაიდენდა — მოშორებით იდგა. ონიანს წაყენებული აქვს 108-ე მუხლი, როცა უმძიმესი მუხლი უნდა მიეყენებინათ. დანაშაული არასწორად დააკვალიფიცირეს, — განაცხადა მზია შამათავამ.

დაზარალებული მზია შამათავა აცხადებს, რომ თავიდან გამოძიება და პროკურატურა მათ საქმეში არ ახედებდა, საქმეს არ აცნობდა, არ ღებულობდა. — მთავარ პროკურატურაში რომ შემქონდა განცხადებები, იგზავნებოდა და ქალაქ თბილისის პროკურატურაში გადადიოდა. ეწერებოდა პროკურორის მოადგილე იმედაშვილს. მას კი არ აინტერესებდა, რაზე მქონდა პრეტენზია. მიღებაზეც უარს აცხადებდა. როცა უკვე არასწორად და არაობიექტურად გამოძიებული საქმე სასამართლოს გადასცეს, შემდეგ ძლივს შევაღწიე მთავარ პროკურატურაში. მთავარ პროკურორთან შეხვედრისთვისაც დიდი ხანი ვიბრძოდი. ბოლოს ერთი გულისხმიერი ადამიანი აღმოჩნდა, მთავარი პროკურორის თანაშემწე ქეთევან გადილია და მან შემიყვანა მთავარ პროკურორთან. კბილაშვილმა მითხრა, 109-ე მუხლი ეკუთვნოდა, მაგრამ ვინაიდან საქმე სასამართლოშია გადაგზავნილი, ახლა ვერაფერს შევცვლითო. დღემდე ველოდები სიმართლის გარკვევას. საქმე წინ არ მიდის, ვინაიდან ლიპარტელიანებს აღმოაჩნდათ მფარველები, თუნდაც სპორტის კომიტეტში. თითქოს დიდი სპორტსმენები არიან, — ამბობს დაზარალებული.

***— ქალბატონო მზია, რატომ ფიქრობთ, რომ მფარველები ჰყავთ?***

— ეს მათ რესტორანში განაცხადეს. ონიანმა და ხვიჩა ლიპარტელიანმა ჩემი შვილის მკვლელობის შემდეგ, რესტორან „სამ საუკუნეში“ ჩხუბი გააგრძელეს. ისეთ დღეში იყვნენ, პატრულები ვერ აკავებდნენ. იქ ისინი ვიღაცის სახელს ახსენებდნენ. ეს ჩვენ მოწმეებისაგან ვიცით. როცა ონიანმა პატრულს დაარტყა, მაშინ დააკავეს. თან ონიანი დანის ტარების გამო ნასამართლევია. მას არ ჰქონდა დანის ტარების უფლება და საშინელება ჩაიდინა. დანის ტარებაზე ხომ იყო დაკავებული, რატომ გამოუშვეს? ფული გადაიხადა? ვფიქრობ, მფარველები ჰყავთ საპატრულო სამმართველოშიც. ჩვენთვის ბევრი რამ არის ბურუსით მოცული, ვინ რა გააკეთა და ვინ რა მოიმოქმედა და როგორ დააფარა პროკურორმა ჯემალ კობაიძემ მათ ხელი.

***— როგორ?***

— ჯემალ კობაიძე არის ის პროკურორი, რომელსაც ჰქონდა ეს საქმე პირველად. ლაშა ტუხაშვილმა და სხვა გამომძიებლებმა არ ამოიღეს არც ერთი ფირი, რომელიც შემთხვევის ადგილის ახლოს იყო და ჩემ სიმართლეს დაამტკიცებდა. იქ გამოჩნდებოდა, როგორ დაესხნენ თავს ჩემს შვილს. დაჭრილსაც რომ მისდევს ხვიჩა ლიპარტელიანი და სცემს. როგორც ექსპერტმა პროცესზე განაცხადა, დაჭრილი ჩემი შვილი რომ გარბოდა ბენზინგასამართი სადგურისკენ, სისხლი თურმე გზადაგზა იღვრებოდა. სისხლისგან დაიცალა და დაიღუპა.

***— ხვიჩა ლიპარტელიანის ადვოკატმა მითხრა, ხულიგნობის მუხლიც არ ეკუთვნოდა, მით უმეტეს, მკვლელობის თანამონაწილე არ ყოფილაო.***

— როგორ არ იყო? იქ რომ მოვიდნენ და სამივე ერთად თავს დაესხა?

***— დარწმუნებული ხართ, რომ ხელს აფარებენ?***

— დიახ, დარწმუნებული ვარ, რადგან ონიანის მამა ყველგან დადის. მოწმეებთანაც მივიდა. ჩვენთან ვერ მოვიდა, მაგრამ ჩვენს ნაცნობებთან იყო მისული. ჩემს შვილს ჯერ მაშინ არ აღმოაჩნდა პატრონი, შემდეგ კი ჩვენ არ გვქონდა იმის თავი, თავიდანვე გვებრძოლა. გარდაცვალებისთანავე რესტორან „სამ საუკუნესთან“ რომ მიმეყვანა და წივილ-კივილი ამეტეხა, მაშინ იმ ფირებს ამოიღებდნენ და ყველაფერი თავიდანვე გარკვეული იქნებოდა. ახლა ამბობენ, თითქოს რესტორნის სათვალთვალო კამერა გაფუჭებული იყო. მაშინ გაოგნებულები ვიყავით. ამით ისარგებლა პროკურატურამ და გამოძიებამ. მათ მფარველები ჰყავდათ და გააკეთეს ის, რაც უნდოდათ. პროკურორ ჯემალ კობაიძეს რომ ვუთხარი, განადგურებული ვარ-მეთქი, მერე რა მოხდა, შვილი რომ მოგიკვდა, შვილიშვილები ხომ დაგრჩათო? პროკურორისაგან ეს რა ლაპარაკია? მერე რა, რომ მკვლელის პატრონები დადიან და რაღაც უნდათ შემოგთავაზონ, ხარჯი ხომ გაიღეთო. ამას გამწარებულ ადამიანს რომ ეუბნები პროკურორი, ეს ნორმალურია? მესამე მონაწილე რატომ არ არის დაკავებული-მეთქი რომ ვეუბნებოდი პროკურორ კობაიძეს, მპასუხობდა, ის ჭკვიანი სვანი აღმოჩნდა და მაშინვე გაიქცაო. ამ დროს პროცესზე დამტკიცდა, რომ ბოლომდე იქ იყო. მოვარდნენ, სამივენი ჩემს შვილს დაეცნენ და მოკლეს. მეორე დამნაშავე, რომელიც ახლა ზის, დაჭრის შემდეგაც მისდევს ჩემს შვილს და არ აცლის, სასწრაფო გამოიძახოს. სისხლისგან დაიცალა და დაიღუპა. შეიძლება გადარჩენის რაღაც შანსი ყოფილიყო. ლიპარტელიანმა არ დააცადა, სასწრაფოსთვის დროზე დაერეკა. ამ დროს მესამე დამნაშავე და ონიანი აგრძელებენ მეორე მძღოლის ცემას. მეორე მძღოლი ზურგშია დაჭრილი. ერთი სასიკვდილოდ დაჭრეს, მეორე ზურგში დაჭრეს. ამ დროს ბოლომდე იქ არის მესამე პირი გაგა ლიპარტელიანი. როცა დაჭრილი მეორე მძღოლი რესტორანში შეიყვანეს საშველად, იმ დროს მიიმალა გაგა ლიპარტელიანი. მან ყველაფერი კარგად იცის. პროკურატურა კი არ აპატიმრებს.

***— სასამართლო გამოძიების დროს არ დაკითხეს?***

— ჩემი განცხადებების შემდეგ დაკითხეს. ყველაფერზე აცხადებს, არ ვიციო. ამბობს, როცა ხალხმრავლობა ვნახე, მაშინვე წავედი და არაფერი ვიციო. ხალხმრავლობა როდის ნახა? ხალხმრავლობა იყო, როცა უკვე რესტორნიდან ხალხი გამოვიდა და მეორე დაჭრილი მძღოლი რესტორანში შეიყვანეს. ისიც ზუსტად მაშინ მიიმალა. თავიდან იქ არავინ იყო სამი მძღოლისა და მაგ სამი თავდამსხმელის გარდა, რომლებიც ამათ თავს დაესხნენ. ონიანმა რომ დაურეკა, კარგად იცოდნენ, რისთვის მოდიოდნენ. შს სამინისტროს წინ ტაქსი გააჩერეს, ორივენი გადმოვიდნენ ტაქსიდან, მივიდნენ ონიანთან და ასევე სამივე ვერაგულად წამოვიდა ჩემი შვილისკენ თავდასასხმელად. ონიანი არის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი და დანით დადიოდა უნივერსიტეტში. ვისთანაც კონფლიქტი მოუვიდოდა, ყველას გაუყრიდა იმ დანას. მეორე პირს მხოლოდ ხულიგნობის მუხლი წაუყენეს. თურმე რესტორანში ხალხი შეუწუხებია და იმიტომ ზის ხულიგნობაზე, აქ ჩემს შვილს თავს რომ დაესხნენ და კაცი მოკლეს, ეს. თურმე არაფერია. ხვიჩა ლიპარტელიანი დაეხმარა ონიანს. ის რომ არ დახმარებოდა, დღეს ჩემი შვილი ცოცხალი იქნებოდა. დანა ისე მაგრად აქვს დარტყმული, შიგ გულშია შესული. ლიპარტელიანები არ აძლევდნენ გასაქანს და ონიანმა დანა პირდაპირ გულში გაუყარა. დიდი ხანია შს მინისტრსა და იუსტიციის მინისტრთან შეხვედრას ვითხოვ, ვწერ განცხადებებს, მაგრამ, ჯერჯერობით, ვერავის შევხვდი. გამწარებული დედა დღემდე ველოდები სიმართლის გარკვევას.

***— მინისტრს ვერ შეხვდით, მაგრამ სხვა არავინ დაინტერესდა?***

— ბოლო განცხადების შემდეგ შემხვდნენ და შეკითხვები დამისვეს. მთავარი პროკურატურიდან არაფერს მპასუხობენ. ქალაქის პროკურატურაში ახლა ახალი პროკურორია. ჩემი განცხადებები ყველა იქ გადადის. ქალაქის პროკურორი მზია მწარიაშვილია. ვრეკავ, მაგრამ არ მღებულობს. ალბათ, იმიტომ არ მღებულობს, როცა ამ საქმის გამოძიება მიმდინარეობდა, მაშინ ის პროკურორი არ იყო, ახლა კი არ აინტერესებს. იუსტიციის სამინისტროში იურისტი ჩამოვიდა და მელაპარაკა. მითხრა, მინისტრი ასეთ საქმეებზე მოქალაქეებს არ ღებულობსო. ასეთი გამწარებული დედა ვითხოვ შეხვედრას, წერილობით მაინც მომცეს პასუხი-მეთქი. ბოლო დროს გავარკვიე, რომ ჩემი წერილი შს სამინისტროდან გადასულია თბილისის შს მთავარ სამმართველოში. მოხდა ჯგუფური დანაშაული სამი პირის მონაწილეობით, სამივეს მძიმე მუხლები უნდა წაყენებოდათ. დააფარეს ხელი და გამოძიება არაობიექტურადაა ჩატარებული. მოვითხოვ საფუძვლიან გამოძიებას. მესამე პირის დაკავებას. ლიპარტელიანები მკვლელობის თანამონაწილეები არიან. ასევე ონიანისთვის წაყენებული ბრალის დამძიმებას ვითხოვ. არც პროკურორის დაპირისპირება მინდა და არც არავის ზედმეტად დასჯა, მინდა სიმართლის გარკვევა. ვინც ამ საქმეს გულგრილად მოეკიდა, გამომძიებელია თუ პროკურორი, მათ პასუხი უნდა აგონ, რადგან მე უდანაშაულო შვილი მომიკლეს. იმედი მაქვს, გამოჩნდებიან რომელიმე სტრუქტურაში ისეთი გულისხმიერი ადამიანები, რომლებიც ჩემ გულისტკივილს გულთან მიიტანენ და დამეხმარებიან სიმართლის გარკვევაში. ორი თვის წინ შევხვდი ასევე პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას. პასუხი ჯერ არ მიმიღია. ეკა ბესელიას თანაშემწე და იურისტი მპასუხობენ, რომ წერილი გამზადებულია პროკურატურაში გასაგზავნად და შეგზავნილია კომიტეტის თავმჯდომარესთან, მაგრამ ხელმოწერა გვიანდება, რომ გამომიგზავნონ პასუხი. პროკურორი ჯემალ კობაიძე, რომელმაც შეკერა ეს საქმე, არასწორი კვალიფიკაცია მისცა და არაობიექტურად გამოძიებული საქმე მიაწოდა სასამართლოს, თურმე დააწინაურეს, მთავარ პროკურატურაში გადაიყვანეს. ჯემალ კობაიძე ამჟამად ბაჩო ახალაიას საქმის პროკურორია. ის თურმე გამოცდილი პროკურორი ყოფილა. ამაშია ამ მძიმე საქმის ასე შემსუბუქება. ეს ძველი პროკურორები დღესაც არაობიექტურად იძიებენ საქმეებს. ისედაც გამწარებულ, განადგურებულ ოჯახს უსამართლობით გვკლავენ. მოწმეები დაბნეულები არიან და ეშინიათ, ისეთ დღეში ჩააგდეს პროკურატურაში.

# „ნაციონალური მოძრაობა“ პრემიერს აკადემიურ სფეროზე კონტროლის დამყარების მცდელობაში ადანაშაულებს

„ნაციონალური მოძრაობა“ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში მთავრობის მიერ ინიცირებულ ცვლილებებთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამს. ამის შეახებ ინფორმაციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრესსამსახური ავრცელებს.

როგორც უმცირესობის განცხადებაშია ნათქვამი, პრემიერ-მინიტრი სახელმწიფო უნივერსიტეტების რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას მოითხოვს, რითაც, ფაქტობრივად, სრულიად უქმდება სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ავტონომია. ნაციონალურ მოძრაობაში აცხადებენ იმასაც, რომ ამ ცვლილებების პაკეტით, დოქტორანტებს ერთმევათ შესაძლებლობა, დაიკავონ ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა. „ამ კანონპროექტით ასეულობით კვალიფიცირებულ ახალგაზრდა მეცნიერსა და მკვლევარს, პედაგოგიური საქმიანობის მნიშვნელოვნად შეზღუდვა მოუწევს. შეწყდება მრავალი აკადემიური პროგრამა,რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს საგანმანათლებლო პროცესს“ — მიიჩნევენ „ნაციონალურ მოძრაობაში.“

უმცირესობის განცხადებითვე, ახალი საკანონმდებლო ინიციატივა, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის სურვილითაა ნაკარნახევი, რათა აკადემიურ სფეროზე პოლიტიკური კონტროლი დაამყაროს.

„შემოთავაზებული პაკეტით, ქართული ოცნება აკანონებს საკუთარი ლიდერების მიერ არაერთხელ ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ხაზს. მათი საკანონმდებლო ინიციატივები და პოლიტიკა ქმნის კლიმატს, რომელიც საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემას შევარდნაძის და როინ მეტრეველის ეპოქაში აბრუნებს“ — ნათქვამია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

# დავით ნარმანია გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილეს შეხვდა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, გუშინ, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილეს — ინიტა პაულოვიცას და ამავე ორგანიზაციის გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის მიმართულების ხელმძღვანელს ნინო ანთაძეს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა სტიქიური უბედურებების მართვის საკითხებზე ისაუბრეს და მსოფლიო ბანკისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ შემუშავებული ერთობლივი დოკუმენტი განიხილეს, რომელიც აღნიშნულ საკითხებს ეხება.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ივლისის შუა რიცხვებში გაიმართება ვორქშოფი, რომლის მთავარი მიზანი სტიქიური უბედურებების მართვის კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასება და ეფექტური საპრევენციო სისტემების შემუშავება იქნება.

**მედიანიუსი**

# დავით ზურაბიშვილი: „არც ერთი რექტორი არ იქნება შეცვლილი“

მერი ნამორაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას უნივერსიტეტის რექტორების პროტესტმა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით მხარდამჭერები მაინცდამაინც ვერ ჰპოვა სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. პირიქით, სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებს გაცილებით ეჩქარებათ ახალი სტატუსის მორგება. რატომ გახდა ახალი ხელისუფლების ინიციატივა ზოგიერთთაგან კრიტიკის საგანი და რისთვის არის გამიზნული კერძო სამართლის იურიდიული პირის მაგივრად უმაღლეს სასწავლებელთა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბება, ამის შესახებ განმარტებები „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში განათლების მინისტრის მოადგილემ, დავით ზურაბიშვილმა გააკეთა.

როგორც საზოგადოებისთვისაა ცნობილი, თავდაპირველად სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები საჯარო სამართლის იურიდიული პირები იყვნენ. პრეზიდენტმა 2005 წელს დანიშნა რექტორის მოვალეობის შემსრულებლები, რაც საკუთარი კომისრების მიყვანას უფრო ჰგავდა უმაღლეს სასწავლებლებში. თუმცა, მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის კადრებით შეუძლებელი იქნებოდა აკადემიური სივრცის დაკომპლექტება. ამიტომ ის ადამიანები მაინც დაუბრუნდნენ უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებიც თავის დროზე გაუშვეს.

ხმაური, რაც ამჯერად უმაღლესი სასწავლებლების შესახებ კანონპროექტის გამო იქნა ატეხილი, განათლების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილმა აურზაურს არაფრის გამო შეადარა. საუბარი იმის თაობაზე, რომ უმაღლეს სასწავლებლებში რექტორებს პრემიერ-მინისტრი დანიშნავს და ისინი აღარ იქნებიან არჩეულნი, აბსურდია.

– მსგავსი რამ არ არსებობს, ლაპარაკია იმაზე, რომ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები კვლავ ხდებიან საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ეს, ჩვენი აზრით, ლოგიკურია. აქამდე ისინი იყვნენ კერძო სამართლის იურიდიული პირები. სახელმწიფო სასწავლებლებისთვის საჯარო პირის იურიდიული სტატუსი უფრო მაღალი იურიდიული პირის სტატუსია. გაგახსენებთ კანონს რელიგიური გაერთიანების შესახებ. როცა წინა ხელისუფლების დროს იქნა იგი მიღებული, სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებებს მიეცათ საშუალება, დარეგისტრირებულიყვნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად. მაშინ გამოცხადებულ იქნა და სამართლიანადაც, რომ ამ გაერთიანებებს უფრო მაღალი სტატუსი მიეცათ. იგივე ხალხი, რომელიც ამას ამბობდა მაშინ, დღეს ამბობს, რომ თუ უმაღლეს სასწავლებლებს მივანიჭებთ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს, ეს იქნება მათი დაქვეითება და დამცირება. ამ დროს პირიქით არის, – განმარტა მინისტრის მოადგილემ.

ზურაბიშვილის თქმით, საჯარო იურიდიულ პირად ჩამოყალიბებას აქვს გარკვეული მინუსები, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით, ელექტრონულ საკითხებთან დაკავშირებით. მართლაც პრობლემას წარმოადგენს მაგალითად, მინის ჩამტვრევის შემთხვევაში ტენდერის გამოცხადება. დღევანდელი კანონმდებლობით, ტენდერი უნდა გამოცხადდეს, თუ რომელი ფირმა შესთავაზებს უმაღლეს სასწავლებელს მინას. ამასობაში გაიყინა სტუდენტი ზამთარში. ასეთი ტიპის პრობლემები ბევრია, თუმცა, სამინისტრო მზად არის, შეისწავლოს ყველა ეს საკითხი და მარტივი გახადოს შესყიდვა თუ საკუთრების განკარგვა.

– მზად ვართ, სპეციფიკური შენიშვნები შევიტანოთ, დავაკმაყოფილოთ ყველა მოთხოვნა ამ უნივერსიტეტების, რომ ავტონომიის და ჩაურევლობის ხარისხი მეტი იყოს.

შენიშვნები, რომლებიც ჰქონდა პარლამენტში ოპოზიციას, მზად ვართ, გავიზიაროთ, ეს სამინისტროს პოზიციაა, – განაცხადა ზურაბიშვილმა.



სტატუსის შეცვლისას იქნება გარდამავალი ეტაპი რეორგანიზაციის პროცესში. კანონით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ, სახელმწიფო ნიშნავს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, კონკრეტულად პრეზიდენტი, ან კანონით გათვალისწინებული სახელმწიფოს წარმომადგენელი. ამ შემთხვევაში ახალი ხელისუფლება აზუსტებს, რომ დროებით შემსრულებელს დანიშნავს პრემიერ-მინისტრი განათლების მინისტრის წარდგინებით. მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ უმაღლეს სასწავლებლებთან მიმართებაში ესეც არ არის მაინცდამაინც გამართლებული მიდგომა და აპირებენ შემოდგომისთვის ცვლილებები შევიდეს კანონმდებლობაში და თავად უნივერსიტეტებს ჰქონდეთ მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატის წარდგენის უფლება.

– ის ჯგუფი, რომელიც ამაზე მუშაობს, ჯერ კონკრეტულად ვერ შეჯერდა, როგორ უნდა მოხდეს ეს. ამასობაში გარკვეული ტიპის უმაღლეს სასწავლებლებს, განსაკუთრებით სახელოვნებო სასწავლებლებს ძალიან ეჩქარებათ სწრაფად გადავიდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე. ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენ შეგვაქვს ეს ცვლილება, ანუ საჯარო სამართლის იურიდიული პირად ვაფორმებთ ამ უმაღლეს სასწავლებლებს. იმავდროულად ოფიციალურად ვაცხადებთ, რომ არ იყოს მერე სპეკულაციები იმის თაობაზე, რომ თავისთვის მორჩილი რექტორები უნდათ დანიშნონ, კომისრები მიიყვანეს და ასე შემდეგ, არც ერთი რექტორი არ იქნება შეცვლილი. ანუ როდესაც მოხდება გადმოფორმება საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, განათლების მინისტრი წარადგენს ყველა იმ რექტორის კანდიდატურას სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც დღეს არიან.

მაინც რატომ ეჩქარებათ სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებს (კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია) საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბება? ზურაბიშვილის თქმით, ეს უკავშირდება მათ მატერიალურ მდგომარეობას, სუბსიდიების გაცემას და წმინდა სამეურნეო-ფინანსურ საკითხებს.

ჟურნალისტთა შეკითხვას, შეინარჩუნებენ თუ არა რექტორობას ის პირები, რომლებსაც აკადემიური ხარისხი არ გააჩნიათ, ზურაბიშვილმა უპასუხა, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად სასწავლებლის გადაკეთებისას რექტორი და დეკანი ველარ გახდება პირი, რომელსაც არ გააჩნია პროფესორის ხარისხი. ეს, ბუნებრივია, შეეხება ბატონ ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ კვიტაშვილს, როდესაც იქნება რეორგანიზაციის შედეგად არჩევნები. იგივე შეიძლება სხვებსაც შეეხოთ.

– რექტორი აუცილებლად უნდა იყოს პროფესორი. ხარისხის წოდება თუ არ აქვს, ისე არ უნდა იკავებდეს ამ თანამდებობას. ეს მიგვაჩნია, რომ არის სწორი. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში ასეა. დეკანი და რექტორი არ არის უბრალო ფიგურა. ეს აკადემიური თანამდებობაა. თავის დროზე, აკადემიური ხარისხი თუ არ გქონდა, არ შეიძლებოდა ყოფილიყავი დეკანი და რექტორი. ეს გააუქმეს, რათა ვიღაც დაენიშნათ, კონკრეტული პირები. მაგალითად, პრეზიდენტის ახლანდელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ბატონი ბარნოვი, რომელი ფაკულტეტის დეკანიც იყო, იყო იმავე ფაკულტეტის დოქტორანტი. ეს იყო არანორმალური, ჩემი აზრით. როგორც წესი, და ეს წესი არის ცივილიზებული სამყაროს ნორმა, აკადემიური ხარისხი, დოქტორის ხარისხი უნდა ჰქონდეს ყველას, ვისაც სურს, გახდეს დეკანი და გახდეს უმაღლესი სასწავლებლის რექტორი.

ზურაბიშვილი ირწმუნება, რომ მხოლოდ უნივერსიტეტების გადასაწყვეტი იქნება, ვის აირჩევენ რექტორად და მახინჯი პრაქტიკა, რომ რექტორებად ირჩეოდნენ ისინი, რომლებსაც მმართველი გუნდი უჭერდა მხარს, უნდა დამთავრდეს.

– მმართველი პოლიტიკური გუნდი არავის წარადგენს. წარადგენს თვითონ უნივერსიტეტი. უამრავი პროფესორია, რომელიც შეიძლება გახდეს რექტორი და ვისაც მხარს დაუჭერს იქაური აკადემიური საბჭო, ის გახდება. ამ შემთხვევაში ჩვენ ვართ აბსოლუტურად ნეიტრალურნი. ეს ეხება არა მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, იგივე უნდა მოხდეს ილიას უნივერსიტეტში, გორის უნივერსიტეტში, ქუთაისის უნივერსიტეტში. ჩვენი კანონმდებლობით, რექტორი ორჯერ შეიძლება იქნეს არჩეული, მესამედ ველარ გახდება რექტორი, ზოგიერთ რექტორს უწევს წასვლა – ორჯერ არის არჩეული და მესამედ ველარ აირჩევენ. ასე რომ, სხვაგანაც შეიძლება მოხდეს ცვლილება, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

დღევანდელი ვითარება სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ნორმის ფარგლებში არ ჯდება თუნდაც იმიტომ, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირია და იმავდროულად არსებობს რეგენტთა საბჭო, რომელიც პრაქტიკულად ყველაფერს განსაზღვრავს და ნებისმიერი ფინანსური ოპერაცია მასთან უნდა იყოს შეთანხმებული. – მეც ვარ რეგენტთა საბჭოს წევრი და მაგალითად, ილიას უნივერსიტეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დანიშვნა რომ სჭირდება, უნდა შეათანხმოს რეგენტთა საბჭოსთან. მოვიდა, ჩვენთან შეათანხმა და ჩვენ დავამტკიცეთ. მე მგონი, ეს სახელმწიფოს ჩარევის მეტი ხარისხია, – დასძინა ზურაბიშვილმა.

რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებში მარგველაშვილის ჩაბმის შემდეგ განათლების მინისტრის პოსტზე ახალ კანდიდატურებს, ზურაბიშვილმა მათი დასახელებისგან თავი შეიკავა. ვერც საკუთარი მოაზრება დაუდასტურა ჟურნალისტებს ამ პოსტზე, რადგან კანდიდატს პოლიტიკური გუნდი შეარჩევს.

# რიჩარდ ნორლანდი: „საქართველოს სასამართლო სისტემა მიდის წინ“




საქართველოში აშშ-ის ელჩის რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, საქართველოს სასამართლო სისტემა წინ მიდის.

ნორლანდის თქმით, ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე პროცესზე განსხვავებული შეფასებებები არსებობდა.

„საქართველოს სასამართლო სისტემა მიდის წინ, პროგრესის გზით, მეტი დამოუკიდებლობისა და კანონის მეტი უზენაესობისკენ. მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე პროცესზე იყო განსხვავებული შეფასებები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასამართლო სისტემა უმჯობესდება და წინ მიდის“, – აღნიშნა ნორლანდმა.

**მედიანიუსი**

# ლევან გვიჩიანი: „ჩემი ძმის დაკავება სააკაშვილისა და მერაბიშვილის ინტერესში შედიოდა“

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

ერთ-ერთი რეზონანსული საქმე, რომელიც საქართველოს უახლეს ისტორიაში დაფიქსირდა, გიორგი გვიჩიანს ეხება. „ახალი თაობა“ დაუკავშირდა გვიჩიანის ძმას, ლევან გვიჩიანს.

***– ბატონო ლევან, 2006 წლის 31 მარტის აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს დასკვნით, ფაქტობრივად, ლომინაძის მკვლელობაში ბრალდებულთა გამართლება უნდა მომხდარიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. დასკვნა არ გაითვალისწინა სასამართლომ. რით ახსნით ამ ფაქტს?!***

– სასამართლომდე ექსპერტიზის დასკვნამ ვერ მიაღწია, რადგან პროკურატურამ დამალა, შესაბამისად ვერც გაითვალისწინებდა. 2006 წლის 5 იანვარს, პროკურატურამ აშშ-ში გააგზავნა იმ ადამიანების დ.ნ.მ.-ის ნიმუშები, რომლებიც უკვე დაკავებული ჰყავდათ ლომინაძის მკვლელობის ბრალდებით, რომლებიც ამ და კიდევ სხვა მკვლელობაში ნარკო-მოვაჭრე ნოდარ გვიჩიანმა „ამხილა“. პროკურატურა ელოდებოდა დ.ნ.მ.-ის ანალიზის პასუხებს, რომლითაც ნოდარ გვიჩიანის „მამხილებელი“ ჩვენებების სანდოობა დადგინდებოდა, მაგრამ ამ პერიოდში შსს-ს მაღალჩინოსნებმა მოკლეს სანდრო გირგვლიანი, რასაც საზოგადოების მხრიდან ადეკვატური პროტესტი მოჰყვა, რაც პოლიტიკურ კრიზისში გადაიზარდა და საზოგადოება ოპოზიციასთან ერთად, მკვლელების მფარველობისთვის მერაბიშვილის გადაყენებას ითხოვდა, ხელისუფლება კი კბილებით იცავდა მერაბიშვილს. (თუ რატომ, ამაზე პასუხს საზოგადოება ალბათ მალე მიიღებს). მერაბიშვილს სასწრაფოდ დასჭირდა მკვლელების მფარველის იმიჯი დაემსხვრია და წარმოჩენილიყო სამართლიან მინისტრად, რომელიც ხელს არავის დააფარებს, მათ შორის, მის დროს დაწინაურებულ პირებსაც, სწორედ ასე მოიხსენია გია დაჭერის დღეს, 7 მარტს გამართულ ბრიფინგზე. ამის შემდეგ 16 მარტს, გირგვლიანის მკვლელობიდან პირველად გამოჩნდა სააკაშვილი ჟურნალისტებთან და პირველ კითხვას, რომელიც გირგვლიანის მკვლელობას შეეხებოდა, ლომინაძის მკვლელობის გახსნით პასუხობს და ამბობს, რომ ის იყო ამაყი მერაბიშვილის (შსს-ს) მუშაობით.

ამის შემდეგ, 31 მარტს, ჩამოდის დ.ნ.მ.-ის ანალიზის უარყოფითი პასუხები, რომლითაც დადგინდა, რომ ნოდარ გვიჩიანი ცრუობდა და მისი სიცრუის მიზეზი სასჯელისაგან თავის დაძვრენა იყო. ამ ფაქტის გაგების შემდეგ ამ საქმის გამომძიებელ პაატა კუპრაშვილს ინფაქტი დაემართა (ხოლო როცა გიას უვადო პატიმრობა შეუფარდეს, იგი მეორე ინფაქტის შედეგად გარდაიცვალა კიდეც). წესით და კანონით, 31 მარტის შემდეგ გია უნდა გაეთავისუფლებინათ და დაესაჯათ ამ საქმის გამომძიებელი და პროკურორი, მაგრამ მათთან ერთად ეჭქვეშ დგებოდა სააკაშვილის და მერაბიშვილის გაპიარებული შეუპოვრობა დამნაშავეობასთან ბრძოლაში. ამიტომ ამის ასაცილებლად გადაწყვიტეს გიასთან მოლაპარაკება და შესთავაზეს ეღიარებინა, რომ ვითომ ირიბი შეხება ჰქონდა ამ მკვლელობასთან და მკვლელობის შემკვეთი იყო არა თვითონ, არამედ „ეი-ი-ეს თელასის“ მაშინდელი დირექტორი იგნასიო ირიბარენი. ამ შემოთავაზებას გია არ დათანხმდა, რის შემდეგაც გადაწყვიტეს დ.ნ.მ.-ის ანალიზის პასუხები დაემალათ და გია ბოლომდე გაეწირათ.

***– ნოდარ გვიჩიანის ფაქტორზე მინდა გვითხრათ რამდენიმე სიტყვით...***

– ნოდარ გვიჩიანი 2005 წლის 10 დეკემბერს 242 აბი სუბოტექსის რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს. ეს მისი მე-8 დაპატიმრება იყო და წესით და კანონმდებლობით მას უვადო პატიმრობა ელოდა, მაგრამ „საპროცესო გარიგებაში“ არსებული ხარვეზების გამოყენებით ისარგებლა და თავი დააღწია მართლმსაჯულებას. 2007 წელს საპროცესოს გაფორმების შემდეგ მან გვარი შეიცვალა და გია დევდარიანის სახელით უკრაინაში 20 წლიან სასჯელს იხდის, ნარკოტიკების რეალიზაციის ბრალდებით.

***– 2003 წელს თქვენი ძმა, როგორც ვიცი, ეი-ი-ეს– თელასის ზიანის მიყენებისათვის დააკავეს, მერე კი ლომინაძის საქმის გამო.***

– 2003 წელს ერთადერთი დასავლური ინვესტორი, რომელმაც 220 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა, საქართველოდან გარბოდა და „თელასს“ დაახლოებით 25 მილიონ დოლარად ჰყიდდა. ეს საქართველოს მაშინდელ მთავრობას რამენაირად უნდა აეხსნა დასავლეთისთვის. გადაწყვიტეს „ეი-ი-ეს თელასის“ რეპუტაციის შელახვა, რომ „ეი-ი-ეს თელასში“ ადგილი ჰქონდა ფინანსურ მაქინაციებს და ეს იყო „ეი-ი-ეს“-ის მიერ საქართველოს დატოვების მიზეზი. შედეგად დააპატიმრეს გია და ბრალად წაუყენეს, რომ სამსახურებრივი უფლებების გადამეტების გზით მან 2,5 მილიონი ლარით აზარალა „ეი-ი-ეს თელასი“ თუმცა მაშინდელმა გენერალურმა დირექტორმა იგნასიო ირიბარენმა ოფიციალურად მიმართა სასამართლოს და განაცხადა, რომ არანაირი ზარალი გიორგი გვიჩიანის მოქმედებებით არ მიუღიათ. საბოლოოდ, მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილმა გია დააჯარიმა სახელმწიფოს სასარგებლოდ 700 ლარით, ხოლო „თელასის“ სასარგებლოდ არაფერი არ დააკისრა.

***– თქვენი ძმა ამბობდა, რომ 2006 წელს მისი დაკავებით დაინტერესებული იყო ნიკა გილაური, გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი და ერეკლე კოდუა. რატომ გადაიკვეთა გიორგის და ზემოთხსენებული პირების გზა? რა ინტერესი ჰქონდათ მათ?***

– ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩემი ძმა შეხვდა გია ბარამიძეს (რომელიც 1995 წელს ჩემი დახმარებით გაიცნო, რასაც დღემდე ვნანობ) და მან სთხოვა დაეკავშირებინა ნიკა გილაურთან, რათა მისი გამოცდილებით დახმარებოდა ენერგეტიკაში გამოუცდელ ახალ მინისტრს. ამის შემდეგ გაიცნო გიამ ნიკა გილაური, რომელსაც წელიწადნახევარი რჩევებს აძლევდა, რის შედეგადაც გარდაბანში 100 მილიონ დოლარად აშენდა გაზოტურბინები და დარეგულირდა ელექტროენერგიის სეზონური ექსპორტ-იმპორტი, რის გამოც მიღწეული იქნა 24 საათიანი ენერგომომარაგება ზამთარ-ზაფხულ. ამის შემდეგ ნიკა გილაურმა მადლიერების ნიშნად რეკომენდაცია მისცა გიას თბილგაზის დირექტორად დანიშვნაზე და ასე გაიცნო ქალაქის მერი გიგი უგულავა. გიას დაკავებით დაინტერესებული გილაური და უგულავა არ ყოფილან. გიას დაკავება სააკაშვილის, მერაბიშვილის და ნარკო-მოვაჭრე ნოდარ გვიჩიანის ინტერესთა თანხვედრის შედეგია.

# ნინო ანანიაშვილი საუკეთესოებს დააჯილდოვებს

ეკა ირემაშვილი

ქართველი პრიმაბალერინა, ნინო ანანიაშვილი, 25 ივნისს ტრადიციულ დაჯილდოების ცერემონიალს გამართავს და რჩეულებს საერთაშორისო პრემია „ვარსკვლავით“ დააჯილდოებს. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი უკვე მეოთხედ გაიმართება. ცნობილმა შვეიცარიელმა იუველირმა ჟილბერ ალბერმა და პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილმა ახალგაზრდა, ნიჭიერი მოცეკვავეებისათვის 2003 წელს დააწესეს სპეციალური პრემია „ვარსკვლავი“. იუველირმა თავისი ნაკეთობა საზღვაო ვარსკვლავის ფორმით დაამზადა, რადგან მას სურდა, იგი ახლოს ყოფილიყო ბუნებრივ მოვლენებთან.

– რა თქმა უნდა, შემეძლო, შემეხედა ცისთვის, მაგრამ ასეთი ლამაზი ვარსკვლავი არ შეიქმნებოდა, – განაცხადა ჟილბერ ალბერმა.

პრემია მაქმანისებურ ვარსკვლავს წარმოადგენს, რომელიც ვარდისფერი მარგალიტისგანაა დამზადებული და შავ პოსტამენტზეა დამაგრებული.



წელს საზეიმო საღამო ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართება, სადაც წარმოდგენილი იქნება ლუდვიგ მინკუსის „დონ კიხოტი“. სამმოქმედებიანი ბალეტი მარიუს პეტიპას, ალექსანდრე გორსკისა და ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიით არის შექმნილი ალექსეი ფადეეჩევისა და ნინო ანანიაშვილის ქორეოგრაფიული რედაქციითა და დადგმით. მისი პრემიერა 8 წლის წინ შედგა. სპექტაკლის წამყვანი რეჟისორი ნიალა გოძიაშვილია, სამხატვრო ხელმძღვანელი – ნინო ანანიაშვილი, მხატვარი – ვიაჩესლავ ოკუნევი, დამდგმელი მხატვრის ასისტენტი – ნათია სირბილაძე, მხატვარი-ანიმატორი – დავით სიხარულიძე, განათების მხატვარი – ამირან ანანელი. სპექტაკლში მონაწილეობენ ლალი კანდელაკი (ჩელიტა) და ვასილ ახმეტელი (ბაზილი).

– მოსკოვის დიდი თეატრის ცნობილი მოცეკვავე ანა სობეშანსკაია ბენეფისისათვის ემზადებოდა, რისთვისაც თეატრის ხელმძღვანელობამ პეტერბურგიდან ცნობილი ბალეტმაისტერი მარიუს პეტიპა მოიწვია. მან გადაწყვიტა, ახალი სპექტაკლი ეჩუქებინა ბალერინასათვის. დიდ თეატრში შედგა მარიუს პეტიპას ახალი ბალეტის „დონ კიხოტის“ პრემიერა ჩეხი კომპოზიტორის ლუდვიგ მინკუსის მუსიკაზე, სერვანტესის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. მთავარ პარტიებს ასრულებდნენ ანა სობეშანსკაია და სერგეი სოკოლოვი. მას, ვინც მარიუს პეტიპასგან სერიოზულ დრამატულ ბალეტს ელოდა, იმედები გაუცრუვდა. ბალეტში მთავარი მოქმედი პირები იყვნენ არა დონ კიხოტი და სანჩო პანსა, არამედ კიტრი (კიტერია) და ბაზილი (ბასილიო) რომანის მეორეხარისხოვანი პერსონაჟები. სპექტაკლი ნაციონალურ ცეკვებზე იყო აგებული: ხოტა, მორენე, ზინგარე, ლოლე, პიკადორების, ტორეადორებისა და ესპანელი გლეხების ცეკვები. ორი წლის შემდეგ ბალეტმაისტერმა „დონ კიხოტი“, რომელიც მოსკოვში დიდი წარმატებით სარგებლობდა, პეტერბურგის მარიას თეატრის სცენაზე გადაიტანა, რისთვისაც მას მთელი სპექტაკლის გადაკეთება მოუხდა. კომპოზიტორმა სპექტაკლს მეხუთე, კლასიკური მოქმედება დაუმატა, რადგან პეტერბურგში უპირატესობას ცეკვის კლასიკურ სტილს ანიჭებდნენ. ბალეტმაისტერმა ალექსანდრე გორსკიმ „დონ კიხოტი“ ხელახლა დადგა მოსკოვის დიდ თეატრში. სპექტაკლი გორსკიმ იმ დროისათვის საუკეთესო მხატვრებს კონსტანტინე კოროვინსა და ალექსანდრე გოლოვინს გააფორმებინა. მას შემდეგ ეს ბალეტი არაერთხელ განახლდა როსტისლავ ზახაროვის, მიხეილ გაბოვიჩისა და კასიან გოლეიზოვსკის, ასევე იური გრიგოროვიჩის მიერ. ამჟამად მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე იდგმება „დონ კიხოტის“ ახალი კლასიკური ვერსია ალექსეი ფადეეჩევის ქორეოგრაფიით. რაც შეეხება ქართულ პრემიერას, თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე „დონ კიხოტი“ პირველად ვახტანგ ჭაბუკიანმა დადგა. იგი თბილისში საგასტროლოდ იყო ჩამოსული და სულ რამდენიმე დღეში მოუხდა დადგმის განხორციელება. ბაზილის პარტიას თავად ვახტანგ ჭაბუკიანი ცეკვავდა, ხოლო ჩელიტას – ლენინგრადელი ახალგაზრდა ბალერინა ტატიანა ვეჩესლოვა. „დონ კიხოტის“ ჩვენება ორჯერ იყო განზრახული, მაგრამ ბალეტს ისეთი წარმატება ხვდა წილად, რომ დირექცია იძულებული გახდა, სეზონის დახურვა გადაედო და წინასწარ დაგეგმილი ორი სპექტაკლის ნაცვლად, 20 დღის განმავლობაში, ბალეტი ათჯერ წარმოადგინეს თეატრის სცენაზე. სამშობლოში დაბრუნებულმა ვახტანგ ჭაბუკიანმა „დონ კიხოტის“ ახალი, ორიგინალური ვერსია დადგა. მოგვიანებით მან კვლავ განაახლა ბალეტი და ამ სახით 2005 წლამდე იყო რეპერტუარში. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე სპექტაკლის 60- წლიანი ისტორიის მანძილზე „დონ კიხოტში“ მთავარ პარტიებს ასრულებდნენ ჩელიტა – ვერა წიგნაძე, ევგენია გელოვანი, ქეთევან ნადარეიშვილი, ლილიანა მითაიშვილი, ირინე ჯანდიერი, ნათელა პაპინაშვილი, მარინა ალექსიძე, სვეტლანა გოჩიაშვილი, ალა აბესაძე, ლარისა ჩხიკვიშვილი, ლილია არმეისკაია, მაია ზურაშვილი, ეკატერინე ბეზირგანი, ლალი კანდელაკი, ცისია ჩოლოყაშვილი, ანა მურადელი. ბაზილი – ვახტანგ ჭაბუკიანი, ზურაბ კიკალეიშვილი, რევაზ მაღალაშვილი, ბექარ მონავარდისაშვილი, ვახტანგ გუნაშვილი, ვალერი აბულაძე, ვლადიმერ ჯულუხაძე, ნუკრი მაღალაშვილი, ნუგზარ მახათელი, ვალერი მაზეპჩიკი, ვასილ ახმეტელი, ირაკლი ბახტაძე, დავით ხოზაშვილი, ედუარდ ბაბლიძე, ლაშა ხოზაშვილი, – აცხადებენ ოპერისა და ბალეტის თეატრში.

8 წლის წინ კი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში შედგა „დონ კიხოტის“ ახალი რედაქციის პრემიერა, რომელიც ალექსეი ფადეეჩევსა და ნინო ანანიაშვილს ეკუთვნით. მთავარი პარტიები ლალი კანდელაკმა და დავით ხოზაშვილმა იცეკვეს. სპექტაკლი ნინო ანანიაშვილმა თავის პედაგოგს, ლეგენდარულ ბალერინას – რაისა ლაფაურ-სტრუჩკოვას ხსოვნას მიუძღვნა.

ნინო ანანიაშვილისა და ჟილბერ ალბერის მიერ დაწესებული საერთაშორისო პრემიის „ვარსკვლავი“ ღონისძიებაზე დასწრება საბალეტო ხელოვნების მოყვარულებს 5-დან 25 ლარამდე დაუჯდებათ.

# თავისუფალი თეატრი ლონდონში წავიდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მა თბილისის მერიის მხარდაჭერით განახორციელა.

**რეჟისორმა გიორგი შალუტაშვილმა „ახალ თაობას“ სპექტაკლის პრემიერამდე განუცხადა:**

– ეს არის პიესა, რომელმაც 2011 წელს გაიმარჯვა თუმანიშვილის სახელობის ფონდის მიერ გამოცხადებულ პიესების კონკურსში. მან თუმანიშვილის პრემია მიიღო. შარშანწინ ვიყავი ნიუ იორკში, იქ გაიხსნა ქართული მართლმადიდებლური წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია და ამ ეკლესიის გახსნის ერთ-ერთმა ინიციატორმა მთხოვა, რომ გაგვეკეთებინა ქართული სპექტაკლი და წასულიყო ნიუ იორკში, კონკრეტულად ბროდვეიზე. ჩვენ ასეთი შეთანხმება გვქონდა და როგორც კი თამრიკო ბართაიას პიესა წავიკითხე, შევთავაზე, რომ ამ პიესის მიხედვით მომხდარიყო ჩვენი იდეის განხორციელება. ეს არის პირველი სპექტაკლი, რომელიც ქართულადაც და ინგლისურადაც გათამაშდება თავისუფალი თეატრის სცენაზე. სპექტაკლს ქართულადაც და ინგლისურადაც ერთი და იგივე მსახიობები ითამაშებენ.

*– მსახიობები როგორ შეარჩიეთ?*

– სპექტაკლში მონაწილეობენ ანი ალადაშვილი და გიორგი აბაშიძე. ანი არის ჩემი კურსდამთავრებული, თავისუფალი თეატრის მსახიობი, ხოლო გიორგი წლების განმავლობაში ამერიკაში ცხოვრობდა და სტელა ადლერის კურსებზე იარა, გარკვეული გამოცდილება მიიღო და მათთვის ინგლისურ ენაზე სპექტაკლის თამაშის არანაირი პრობლემა არ არის. სწორედ ამ ნიშნით შევარჩიე სპექტაკლისთვის მსახიობები. ამ შემთხვევაში ორი მსახიობი მჭირდებოდა, რომლებიც კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას. ეს სპექტაკლი არის მერიის პროექტი და მასში თავიდანვე ჩადებული იყო, რომ მსახიობებს უნდა ეთამაშათ როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. ამ ორ მსახიობს სრულყოფილად შეუძლიათ ინგლისურ ენაზე სპექტაკლის თამაში, ამიტომაც ისინი ავარჩიე.

*– საზღვარგარეთ არ აპირებთ სპექტაკლის წაღებას?*

– სპექტაკლის სარეპეტიციო ვერსია უკვე ნახეს ბრიტანულ-ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა და ლონდონში უკვე დაწყებულია მოლაპარაკება ამ სპექტაკლის წასაღებად. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, რადგან არ მინდა საქმე გაფუჭდეს. უცხოეთში სპექტაკლის გატანამდე არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოშიც არაერთი ტურისტია და მათ საშუალება ექნებათ სპექტაკლი მშობლიურ ენაზე ნახონ. ჩვენ ზუსტად ეს ჩანაფიქრიც გვქონდა, რომ ტურისტები მოგვეზიდა. მიმაჩნია, რომ სპექტაკლები სუბტიტრებით უნდა მიდიოდეს, არსად სინქრონით სპექტაკლი არ გადის, არამედ, უნდა იყოს სინქრონით, ან მორბენალი სტრიქონით, როგორც არის მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. ჩვენ კი მთლიანად ინგლისურ ენაზე ვითამაშებთ სპექტაკლს, ეს კი მიმაჩნია, რომ ნამდვილად ნოვაციაა და ძალიან მიხარია, რომ ამ ნოვაციის ავტორი თავისუფალი თეატრია. ამ მხრივ ავთო ვარსიმაშვილი საოცრად თანამედროვედ მოაზროვნე ადამიანია, ნოვატორია და ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ ერთადერთი ადამიანი, ვინც თბილისის თეატრალურ სამყაროში გამიღო კარი მეც და ჩემს სტუდენტებსაც, ეს ავთო ვარსიმაშვილია.

*– ამიტომაც დადგით ნოვატორული სპექტაკლი თავისუფალ თეატრში?*

– დიახ, რადგან სამწუხაროდ, სახელმწიფო თეატრში ჯერჯერობით ადგილი არ მაქვს, მხოლოდ მიწვევები მაქვს, ამისთვისაც მადლობა ყველას. სიმართლე რომ ვთქვა, ამაზეც არ ვდარდობ, ძალიან მიხარია, რომ ასეთი სპექტაკლი დავდგით და თანაც სერიოზული მიწვევები გვაქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ. მომხრე ვარ ქართული ხელოვნება ისე გავიტანოთ საზღვრებს გარეთ, რომ ვილაცას კი არ ვეხვეწოთ, არამედ იქით ვასწავლოთ, რადგან ქართული ხელოვნება ამის საშუალებას ნამდვილად იძლევა.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ვაკის აუზთან ევროსტანდარტით აშენებულ ახალ სახლში, 78 კვ. 3/18, ყველანაირი ტექნიკით, საკუჭნაო-გარდერობით, 24-საათიანი დაცვით, ეზოს ვიდეო-კონტროლით. ფასი 1100 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

# გადამდგარი გამგეობა პრეზიდენტის გადადგომას ითხოვს

ფუტსალის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტმა კახა დევდარიანმა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ზვიად სჭინიავას გადადგომისკენ მოუწოდა. გარდა ამისა, დევდარიანი სიჭინავასგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს, პირადული შეურაცხყოფის გამო.

გამგეობის ცხრა წევრიდან, მიმართვას მხოლოდ 4-მა მოაწერა ხელი – ბექა კვიციანმა, გიორგი მერკვილაძემ, მზია კალანდარიამ და პეტრე თაბუკაშვილმა. თუმცა, აქედან მოქმედე წევრი გამგეობაში მხოლოდ ბექა კვიციანია. დანარჩენები 2009 წლიდან მისი წევრები აღარ არიან.

მიმართვა ფუტსალის ფედერაციიდან, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

– ქართულ ფეხბურთში დღეს შექმნილი მძიმე მდგომარეობა, ნაციონალური მოძრაობის და ბატონი ზვიად სიჭინავას ერთობლივი მოღვაწეობის პირდაპირი შედეგია. უალტერნატივოდ ჩატარებულს არჩევნებს და სუბიექტების მისამართით ირიბს თუ პირდაპირ ზეწოლას ვერც ფუტსალის ასოციაცია გადაურჩა.

საქართველოს ფუტსალის ასოციაცია (წარსულში მინი-ფეხბურთის ასოციაცია) დაარსების წლიდან (1992) უწყვეტად ფუნქციონირებდა. ამასთანავე, გახლდათ სფფ-ში ინტეგრირებული წევრი, იცავდა უეფა-ფიფას საერთაშორისო ნორმატივებს, 2009 წლის ოქტომბრის 15 რიცხვიდან მოექცა პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ. ბატონ ზვიად სიჭინავას მიერ გაცემული სანქციით ამოქმედდა ფეხბურთის ფედერაციის ფუტსალის კომიტეტი, რომელმაც იმავე წლის ნოემბრის თვეში დაწყებული ლეგიტიმური და სფფ-სთან შეთანხმებული და დაწყებული ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის სამი ტურის შედეგები ბათილად გამოაცხადა. სფფ-ს მხრიდან ასოციაციის შეჩერების საბაბად უსახსრობა დასახელდა.

სამწუხაროდ მაშინ არჩეულ (თუ დანიშნულ?) სფფ-ს პრეზიდენტს დაავიწყდა, რომ ყველა ქვეყანაში, ფუტსალის ეროვნული ორგანიზაციისთვის ფინანსებსა და ოფისს ქვეყანაში მოქმედი ფეხბურთის ფედერაცია უზრუნველყოფს. მეტიც, ბატონმა ზვიად სიჭინავამ პირად და სატელევიზიო გამოსვლებში საზეიმოდ განაცხადა, რომ ასოციაციის მოქმედი წესდება თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა და დასძინა, რომ მოქმედი პრეზიდენტი კახა დევდარიანი მას პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს აგონებდა. „რუსთავი 2“-ის სატელევიზო გადაცემაში „საფეხბურთო ღამე“ ფუტსალში მოღვაწე ხალხს უცოდინარი უწოდა. იგივე ეთერით გაირკვა, რომ სფფ-ს პრეზიდენტს „სულ ფეხებზე კიდია, ნაკრებში ლეგიონერი ითამაშებს თუ ქართველი“ (სტილი დაცულია).

პირად საუბარში სიჭინავამ დასძინა, რომ პირველ რიგში, მოქმედ პრეზიდენტს, კახა დევდარიანს თანამდებობა დროზე ადრე უნდა დაეტოვებინა და მისთვის რიგით მე-2 არჩევნებში მონაწილეობა არ მიეღო.

აქვე დავძენთ, რომ 1992 წლიდან 2005 წლის ოქტომბრამდე, ბატონი დევდარიანი გახლდათ ფუტსალის ასოციაციის (მანამდე მინი-ფეხბურთის ასოციაციის) ერთ-ერთი დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი. მან უმძიმესი წლები ღირსეულად გამოიარა.

სიჭინავას გამოჩენამდე, სფფ ბატონი კახას მოღვაწეობას (1992 წლიდან 2009 წლის ოქტომბრამდე) წარმატებულად აფასებდა. სიჭინავას საჯაროდ გაცხადებულ პოზიციას უცნაური ამბები მოჰყვა – ფუტსალში მოღვაწე ყველა პირის ლაპარაკი, ოპერატიულად ხელმისაწვდომი ხდებოდა გარეშე პირებისათვის.

ბატონ კახასთვის და ჩვენთვისაც ნათელი გახდა, რომ თუ ის თანამდებობის ნებაყოფლობით დატოვებას არ დათანხმდებოდა, ეს ზეწოლა გაძლიერდებოდა და მოვლენები კიდე უფრო მძაფრი სცენარით განვითარდებოდა. სიჭინავასგან (და არა მარტო მისგან) შემდეგი წინადადებები ისმოდა: „ძალა ჩვენ მხარესაა“, „სახელმწიფო ჩვენია“, „თავად თუ არ დაიშლებით, ჩვენ დაგშლით, შევქმნი ახალს და ვისაც მინდა, იმას მოვიყვან და ვაღიარებ“.

ამის შემდეგ მომხდარზე დასკვნები თავად გააკეთეთ: დევდარიანის გადაყენების შემდეგ, პირველი საერთაშორისო მატჩი საქართველოსა და საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრებს შორის გლდანში, შსს-ს დარბაზში ფაქტობრივად, უმაყურებლოდ ჩატარდა. ამან საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი გაკვირვებული დატოვა.

როგორ კი ფუტსალის კომიტეტმა ბოლშევიკური მისია შეასრულა, მისივე შემქმნელმა ზვიად სიჭინავამ უკვალოდ გააქრო და მას შემდეგ დებულების შეცვლაც არ მოუთხოვია.

ამის შედეგად მივიღეთ მკაცრი რეალობა – ფუტსალში ვკარგავდით რეგიონალურ კლუბებს. სფფ-მ კახა დევდარიანი უფინანსობის ალიბით გადააყენა, მაგრამ ამ ნაბიჯს არავითარი კაპიტალდაბანდება არ მოჰყოლია, რაზეც ბატონი ზვიად სიჭინავა აპელირებდა. ახალგაზრდული ნაკრების სრულ დასამარებამდე, მორიგი დახურული საერთაშორისო თამაში პოლონელ თანატოლებთან შსს-ს დარბაზში იგივე სცენარით გაიმართა.

მიუხედავად ჩვენი მრავალჯერადი თხოვნისა, თანამდებობიდან მაინც გაათავისუფლეს ეროვნული ნაკრების წარმატებული მწვრთნელი ავთანდილ ასათიანი. თანაც ისე, რომ კონტრაქტის პერიოდში სფფ-სა და ფუტსალის კომიტეტს მწვრთნელისა და ნაკრების (?!) პრობლემების მიმართ არანაირი დაინტერესება არ გამოუჩენიათ. სრულიად იგნორირებულ იქნა ასოციაციაში წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება. ამ ყველაფერს ემსხვერპლა ბავშვთა სკოლა (სამი ასაკობრივი გუნდი) და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. იკლო საერთაშორისო მატჩების რაოდენობამ, რაც საერთაშორისო იზოლაციის დასაწყისი გახდა.

კომიტეტი, ბატონი სიჭინავას ხელმძღვანელობით, გაუქმებული ფუტსალის ასოციაციისგან (ანუ მისივე უკვე ყოფილი სუბიექტისგან) მოქმედ ბეჭედს დაჟინებით მოითხოვდა. სფფ-სთვის მთავარი მიზანი იყო, ფუტსალის კომიტეტის (ანუ ახალი სუბიექტის) ლეგიტიმაცია და მომავალ არჩევნებზე ფუტსალის ასოციაციიდან ხმის გარანტირებულად მიღება.

სფფ-ს დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე, ზეწოლის ქვეშ, მაშინდელ ვიცე-პრეზიდენტს ბექა კვიციანს ახსნა-განმარტების გაგზავნა მოუხდა უეფა-ში, რათა ლეგიტიმაცია ჰქონოდა ახალ ჩემპიონატს.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ვაღიარებთ ზეწოლის ფაქტებს და მოვითხოვთ:

1. ქართულ ფეხბურთში ისედაც დამძიმებული ვითარება რომ არ გაღრმავდეს და კრიზისი შეუქცევადი არ გახდეს, ვადაზე ადრე გადადგეს სფფ-ს მოქმედი პრეზიდენტი ბატონი ზვიად სიჭინავა.

2. დაინიშნოს თავისუფალი და დემოკრატიული, რიგგარეშე არჩევნები.

3. სფფ-ს ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა გაითვალისწინოს ჩვენ მიერ მოყვანილი გარემოებები და მის საფუძველზე თავისივე სუბიექტს საქართველოს ფუტსალის ასოციაციას, აღუდგინოს 2009 წლის ოქტომბრამდე არსებული სტატუს ქვო.

4. სტატუს ქვოს ცნობის შემდეგ, საქართველოს ფუტსალის ასოციაციამ თავისივე წესდება სრულყოს და სფფ-ს და უეფა-ფიფას მოქმედ კანონმდებლობას შეუსაბამოს.

5. წესდების სისრულეში მოყვანისთანავე, ბატონმა კახა დევდარიანმა გამოაცხადოს რიგითი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი ფუტსალის ასოციაციაში, რაც სპორტის ამ სახეობაში სამართლიანობის აღდგენას უზრუნველყოფს.

მომხდართან დაკავშირებით გაოცებული არიან საქართველოს ფუტსალის ფედერაციაში. ჯერჯერობით, კომენტარი არ გაუკეთების არც ფეხბურთის ფედერაციას და მის პრეზიდენტს. როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ამ ზეწოლებზე პასუხის გაცემას უახლოეს დღეებში აპირებს.

# საქართველომ მოიგო და მცირე შანსი დაიტოვა

<u>საქართველო – ურუგვაი 27:3</u>

საქართველო: ბექა წიკლაური, ირაკლი მაჩხანელი, თედო ზიბზიბაძე (დავით კაჭარავა 64), მერაბ შარიქაძე, სანდრო თოდუა, ლაშა ხმალაძე (ლაშა მალაღურაძე 80), გიორგი ბეგაძე (ვაჟა ხუციშვილი 41), ირაკლი მირცხულავა (ლევან ჩილაჩავა 48), რევაზ ბელქანია (სიმონ მაისურაძე 57), დავით ზირაქაშვილი, ვახტანგ მაისურაძე, გიორგი ჩხაიძე (გივი ბერიშვილი 74), შალვა სუთიაშვილი (გიორგი ნემსაძე 32), ვიქტორ კოლელიშვილი, ბექა ბიწაძე

**ლელო:** თოდუა, ზიბზიბაძე, ნემსაძე;

**გარდასახვა:** წიკლაური (3)

**ჯარიმა:** წიკლაური (2)

ურუგვაი: ხერონიმო ეჩევერი, მასიმილიანო გონსალესი (გასტონ ხიბერნაუ 41), ხოაკინ პრადა, ალვერტო რომანი, ლეანდრო ლეივასი, ალეხო დურანი (აგუსტინ დელკასტიჯო 41, ხუან ტასისტრო 56), ხერმან ალვანელი, ალეხო კორალი (ფრანსისკო ხიმენესი 52), ნიკოლას კლაპენვახი (არტურო ავალო 52), მარიო საგარიო (როდოლფო დემულა 72), როდრიგო ესპიგა, ფრანკო ლამანა, სებასტიან საგარიო (ხუან დეფრეიტას 41), ფერნანდო ვასკოუ, ხუან გამინარა

**ჯარიმა:** ალვანელი



თამაშმა არაერთგვაროვანი შთაბეჭდილება დატოვა. იგრძნობოდა, რომ გუნდები ამ თამაშს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მასპინძლებსაც და სტუმრებსაც საამისოდ მრავალი მიზეზი ჰქონდათ. თუ ურუგვაელებისათვის ეს მატჩი რეალურად უკანასკნელი საშუალება იყო ტურნირი თუნდაც ერთი გამარჯვებით დაესრულებინათ და ირბ-ს რეიტინგში მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ, ჩვენი ნაკრები გამარჯვების შემთხვევაში კიდევ ერთხელ დაამტკიცებდა, რომ რეიტინგში დამსახურებულად უსწრებს მოწინააღმდეგეს, გარდა ამისა ბონუს ქულით მოგება ტურნირში გამარჯვების შანსს ტოვებდა რაც დამატებითი მოტივაცია იქნებოდა აფრიკასთან მატჩისას.

რაც შეეხება უშუალოდ მოედანზე განვითარებულ მოვლენებს, თამაში აშკარად „ბორჯღალოსნების“ უპირატესობით წარიმართა და მათი დამსახურებული გამარჯვებით დამთავრდა. ურუგვაელებმა ჩვენი გუნდის აქტიურ, შემტევ რაგბის ძალისმიერი ორთაბრძოლა და გაუთავებელი ფეხით თამაში დაუპირისპირეს. ჩვენი გუნდის ტაიმნახევრის მანძილზე საკმაოდ წარმატებით ახერხებდა თამაშის მისთვის სასურველ კალაპოტში წარმართვას თუმცა ბოლო 20 წუთში ჩვენების თამაში ცოტათი ქაოსური და უსისტემო გახდა. ამის მიზეზი ალბათ ბონუს ქულის მოპოვების სურვილი გახდა. საბოლოოდ ბონუს ქულის ასაღებად ერთი ლელო დაგვაკლდა, რაც ტურნირში საერთო გამარჯვების ისედაც ურთულეს ამოცანას კიდევ უფრო ართულებს. საერთო პოზიტიურ ფონზე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ამ თამაშშიც იჩინა თავი ჩვენი გუნდის ძველმა სენმა, სათამაშო დისციპლინის ნაკლებობამ. მიუღებელია, რომ ბურთის ფლობის 80 პროცენტი პირობებში ჯარიმების ანგარიში 15:6-ია მოწინააღმდეგის სასარგებლოდ ანუ გაუმართლებლად ხშირად ვჯარიმდებით შეტევაში, რაც უფრო მაღალი კლასის მოწინააღმდეგესთან გაცილებით ძვირად დაგვიჯდება.

მატჩის საწყის წუთებში ქართველებმა უპირატესობა მოიპოვეს და მე-2 წუთზე ბექა წიკლაურის მიერ უზადოდ შესრულებულ ჯარიმას, თოდუას ლელოც მიმატეს რასაც ზუსტი გარდასახვა მოყვა და საქართველო მე-10 წუთისთვის უკვე 10:0 იგებდა.

ამის შემდეგ, მიუხედავად იმისა რომ ქართველები უპირატესობას ფლობდნენ მატჩი აირია, რასაც ხელი ძლიერმა წვიმამაც შეუწყო.

ურუგვაელები დაცვაში კარგად კი ირჯებოდნენ, თუმცა შეტევაში აშკარად მოისუსტებდნენ, რაც მათ მიერ პირველ ტაიმში გაცუდებულ რამდენიმე ხელსაყრელ ჯარიმაზე აისახა, ტაიმის ბოლოს უპირატესობას კვლავ ქართველები ფლობდნენ. 33-ე წუთზე თედო ზიბზიბაძემ იდეალურად დააგვირგვინა თანაგუნდელის მიერ წამოწყებული შესანიშნავი შეტევა. წიკლაურმა გარდასახვა ზუსტად შეასრულა და ტაიმი ქართველებმა 17:0 მოიგეს.

შეხვედრის მეორე ნახევარი ქართველთა ზუსტი ჯარიმით დაიწყო. წიკლაურმა ამჯერადაც ზუსტად გააძვრინა ბურთი ძელებს შორის – 20:0.

რამდენიმე წუთში „ბორჯღალოსნებმა“ უკვე მოლი შეკრეს და მორიგი ლელო დადეს, რასაც ზუსტი გარდასახვა მოყვა და უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა – 27:0.

ამის შემდეგ, სტუმრებმა უპირატესობა ხელთ იგდეს და დახლოებით 15 წუთი ქართველთა 22-ში გაატარეს, თუმცა მასპინძლებმა თავი კარგად დაიცვეს და აუტსაიდერ ურუგვაის ნაკრებს მხოლოდ ერთი ჯარიმა გაატანინეს, რომელიც ალბანელის ანგარიშზეა, საბოლოოდ ქართველთა გამარჯვება 27:3 დასრულდა.

ჩვენებმა თეორიული შანსი დაიტოვეს, რომ ირბ-ს თასი საქართველოში დარჩეს, ამისათვის „ბორჯღალოსნებს“ ბოლო ტურში სამხრეთ აფრიკის ძლიერი ნაკრების დამარცხება ესაჭიროება, თანაც პრემიალური ქულით.

<u>მზარდი ირლანდია – ს. აფრიკის თხუთმეტეული 8:19</u>

**მზარდი ირლანდია:** დევიდ ქერნი, ნაიალ მორისი, ბრენდან მაქენი (ეოინ გრიფინი 76), ნოელ რიდი, თირნან ოჰალორანი (მაიქლ ალენი 48), იენ ქითლი, ჯონ ლუნი (მაიქლ ჰინი 55); ჯეკ მაკგრასი (რიჩარდ ლუთონი 48), ნაიალ ენეთი (რობ ჰერინგი 48), მაიქლ ბენტი (მაკგრასი 71), იენ ნეგლე (ეიონ მაკქიონი 79), დევიდ ფოლი (დევიდ ოკალაჰენი 55), რის რადოკი, ჯორდი მერფი, რობი დაიაქი

**1 ლელო:** ალენი

**1 ჯარიმა:** ქითლი

**სამხ. აფრ. თხუთმეტეული:** კუნრად ფან ვეიკი, ელშონ ბოკი (იერომ პრეტორიუსი 55), ვილმორე ლოუ, ადრიან ენგელბრეხტი (სტეფან ვატერმეიერი 75), როსკო სპეკმანი, კარლ ბესუიდენჰუტი, კებე ლაქი ნტანდა (სინოვუიო ნიოკა 66); ვინსენტ კოხი, ფრანკ ჰერნი, ივან ესპახი (მარტინ დრეიერი 65), ედუან ფან დერ ვალტი, ბრენდან სნეიმანი (ლუბაბალო მიტანდა 76), ბრაიან შაბანგუ, უზეირ კასიმი, სანდრე იორდანი (იაკო ბოუველი 56)

**1 ლელო:** ბოკი

**1 გარდასახვა:** ბესუიდენჰუტი

**4 ჯარიმა:** ბესუიდენჰუტი

საკმაოდ თანაბარი თამაში, ირლანდიელებმა მხოლოდ ნაწილობრივ შესძლეს იმ მცირე უპირატესობის რეალიზება, რომელიც მათ დანიშნულ შერკინებაში ჰქონდათ. აფრიკელები უკეთ გამოიყურებოდნენ ინდივიდუალური ოსტატობის თვალსაზრისით, ამასთანავე ისინი დაცვაშიც უფრო ორგანიზებულად მოქმედებდნენ და რამდენჯერმე შესძლეს ირლანდიელთა ძალზე მწვავე შეტევების მოგერიება. ირლანდიელები საკმაოდ კარგად ინარჩუნებდნენ ბურთს და მრავალი ფაზის გადაბმასაც ახერხებდნენ, მაგრამ მათი შეტევები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, სწორხაზოვანი და მოწინააღმდეგისათვის იოლად „წასაკითხი“ იყო. აფრიკელთა თამაშში გაცილებით უფრო მრავალფეროვანი იყო. მოთამაშეები არ ერიდებოდნენ არაორდინალურ გაგრძელებებს, რაც მათ თამაშს გაცილებით უფრო ლამაზსა და სანახაობრივს ხდიდა.

# ბელარუსმა და ფინეთმა საქართველოსთვის ითამაშეს

<u>ბელარუსი – ფინეთი 1:1</u>

0:1 პუკი (24), 1:1 ვერხოვცოვი (85)

**ბელარუსი:** ვერემკო, ვერეტილო (კისლიაკი 46), მარტინოვიჩი (სიტკო 79), ვერხოვცოვი, ტრუბილო, ოლეხნოვიჩი, გლები, დრაგუნი, კალაჩევი, როდიონოვი, პუტილო (რენან ბრესანი 64)

**ფინეთი:** მაენპაა, ჰურმე, პასანენი, მოიზანდერი, რაიტალა, რინგი, სპარვი, ჰეტემაი, ერემენკო, პუკი (ფურუჰოლმი 76), ჰამალაინენი (არაიური 82)

მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, საქართველოს ჯგუფში, ერთმანეთს ბელარუსი და ფინეთი შეხვდნენ. ეს მატჩი საქართველოს ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მასპინძლების მოგების შემთხვევაში, საქართველოს ნაკრები ბოლო ადგილზე გადაინაცვლებდა და დიდი ალბათობით, შესარჩევ ეტაპსაც ასე დაასრულებდა, ფინელების მოგების შემთხვევაში კი, ჩვენი ნაკრებისთვის მე-3 ადგილი უკვე მიუღწეველი იქნებოდა. არადა, ესპანეთისა და საფრანგეთის ნაკრებების შემდეგ ადგილის დაკავება, მცირე წარმატება იქნება. ზუსტად ისე მოხდა, როგორც თემურ ქეცბაიას გუნდს აწყობდა – ბელარუსმა და ფინეთმა ქულები გაიყვეს.

24-ე წუთზე ფინელმა ტეემუ პუკიმ, საჯარიმოს წინა ხაზიდან არცთუ ძლიერად დაარტყა და ვერემკოს ახლო კუთხეში გაუტანა. 85-ე წუთზე კი, მასპინძლებმა მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდეს და უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ვერხოვცოვმა,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

<u>ფეხბურთი</u>

**მჩ-2014. შესარჩევი ეტაპი**

**ევროპა**

ბელარუსი-ფინეთი ..... 1:1
შვედეთი-ფარერები ..... 2:0
დანია-სომხეთი ..... 0:4

**ს.ამერიკა**

კოლუმბია-პერუ ..... 2:0
ეკვადორი-არგენტინა ..... 1:1
ვენესუელა-ურუგვაი ..... 0:1
ჩილე-ბოლივია ..... 3:1

**აზია**

ს.კორეა-უზბეკეთი ..... 1:0
ერაყი-იაპონია ..... 0:1
ირანი-ლიბანი ..... 4:0

**კონკაკაფი**

მექსიკა-კოსტა რიკა ..... 0:0
ჰონდურასი-იამაიკა ..... 2:0
აშშ-პანამა ..... 2:0

**ამხანაგური მატჩები**

ჩინეთი-ჰოლანდია ..... 0:2
ყატარი-ჩრ.კორეა ..... 0:0
ნორვეგია-მაკედონია ..... 2:0
ესტონეთი-ყირგიზეთი ..... 1:1
იტალია-ჰაიტი ..... 2:2
გვატემალა-ბელიზი ..... 0:0
ესპანეთი-ირლანდია ..... 2:0

**ეჩ-2013. ჯგუფური ეტაპი ..... (21)**

ისრაელი-ინგლისი ..... 1:0
ნორვეგია-იტალია ..... 1:1

**ეჩ-2015. შესარჩევი ეტაპი ..... (21)**

ესტონეთი-ანდორა ..... 1:1
ფინეთი-ლიტვა ..... 2:2
ბელარუსი-ყაზახეთი ..... 0:1
ლატვია-ლიხტენშტეინი ..... 4:0
ბოსნია-ალბანეთი ..... 4:1
ლუქსემბურგი-სლოვაკეთი ..... 1:7
სან მარინო-მოლდოვა ..... 0:3
ჩერნოგორია-ფარერები ..... 3:0

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი ოფი**

სან ანტონიო-მაიამი ..... 113:77
**სერიის ანგარიში: ..... 2:1**

მოამზადა მიხეილ ყირყილიანმა

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: „ქართველ სამხედროთა ავღანეთში ბრძოლა მხოლოდ ხელისუფალთა სკამის სიმყარეს ემსახურება“

შორენა გონგლაძე

რას იცავს ავღანეთში საქართველო? სვამს კითხვას პოლიტოლოგი და ინტერვიუს შესავალში პასუხობს – ხელისუფლების სკამების სიმყარეს. ჭიპაშვილის თქმით, ავღანეთში ჯარის გაგზავნა ფულია, უფრო სწორად, ვაშინგტონ-ბრიუსელიდან თავზე ხელის გადასმა, რასაც ფული და ზემდგომთა კეთილდღეობა მოაქვს.

***– ბატონო ჰამლეტ, არის თუ არა პოლიტიკურად ავღანეთში ქართველი სამხედროების ყოფნა აუცილებელი და, საერთოდ, რას ემსახურება ქართული კონტინგენტის იქ ყოფნა?***

– მოგეხსენებათ, 2014 წლის ზაფხულიდან იწყება ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა, ანუ ერთი წლის შემდეგ აშშ და მასთან კოალიციაში მყოფი სახელმწიფოები დაიწყებენ ავღანეთში მყოფი სამხედრო კონტინგენტის გამოყვანას. აშშ-ს ადმინისტრაციის მიხედვით, გამოყვანით კი გამოიყვანენ, მაგრამ არა სრულად. ავღანეთში ათი ათასი სამხედრო მოსამსახურე დარჩება. ისინი არ იქნებიან ფრონტის წინა ხაზზე. ისინი გააგრძელებენ ადგილობრივ სამხედროთა წვრთნას.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი გვპირდება, რომ ქართველი სამხედროები მოხვდებიან იმათ შორის, ვინც ავღანეთში დარჩება, თითქოს არსებობს გარკვეული შეთანხმება ამერიკა-ნატოს სამხედრო-პოლიტიკურ წრეებთან, ანგარიში გაუწიონ ქართული მხარის თხოვნას. ასე რომ, 2014 წლის შემდეგაც საქართველოს ექნება შანსი, რომ თავისი მეომრები დაკარგოს ავღანეთში. პატრიოტიზმიც ამას ჰქვია – არა სამშობლოს სიყვარულით გამოწვეული, არამედ ამერიკელთა ინტერესების დასაკმაყოფილებელი. საინტერესოა, 2014 წლის შემდეგ, დარჩენილ სამხედრო კონტინგენტს თალიბთა თავდასხმა აღარ დაემუქრება? და თუ ასეც მოხდა, მაშინაც ისეთი პათოსით ილაპარაკებენ საქართველოს ხელისუფლების გუშინდელი და დღევანდელი წარმომადგენლები, რომ ქართველი მეომრები საერთაშორისო ტერორიზმისგან იცავენ მსოფლიოს? საქართველოს პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ავღანეთში მყოფი ქართველები სამშობლოს იცავენ“. შორი გზიდან ხომ არ ხდება საქართველოს დაცვა? ივანიშვილმა ისიც ბრძანა, რომ საქართველო უკან არ დაიხევს და გააგრძელებს ბრძოლას მშვიდობიანი მსოფლიოსთვის. ბატონო ბიძინა! იქნებ პატარა საქართველოსთვის მთელი მსოფლიოს მშვიდობისთვის ბრძოლა უზარმაზარი, აუწონავი ტვირთია? იქნებ ეს ისეთი ამოცანაა, მთელმა ერმა (ან რამდენი ვართ), იარაღი რომ შეისხას და ავღანეთში იომოს, მაინც არ ეყოს კეთილშობილური მიზნის მიღწევას? ივანიშვილის ნათქვამი – ჩვენ ვერაფერი გადაგვადგმევინებს ნაბიჯს უკან – პასუხი იყო იმათ განცხადებებზე, რომლებმაც კიდევ ერთხელ თქვეს – საქართველოს სამხედროებს ავღანეთში არაფერი ესაქმებათო. ხალხში არის ასეთი განწყობა, თანაც ერაყიდან დაწყებული, მაგრამ არც წინა და არც დღევანდელი ხელისუფლება არაფრად აგდებს მას. შვიდი სამხედროს სიკვდილმა და დანარჩენთა დაჭრამ, უკმაყოფილოთა რაოდენობა ერთი-ორად გაზარდა, მაგრამ მათი ჭკუის სასწავლებლად პარლამენტის თავმჯდომარემ „იმარჯვა“ – „უნდა გვესმოდეს, რომ თანამედროვე სამყაროს გვერდით უნდა ვიდგეთ“-ო. თანაც გაგვაფრთხილა – სადმე, სხვაგან დგომა, უფრო მეტი მსხვერპლის მომტანი იქნებაო. სად სხვაგან, ბატონო დავით?! რომელი მხარე გაქვთ მხედველობაში? მკითხველი მეტყვის, ამას რა დიდი გამოცნობა უნდა – რუსეთიო.

ის, რომ „ეს“ რუსეთია – „მაესტროს“ ეთერში ქალბატონმა ექსპერტმა (გვარი არ დამამახსოვრდა) ბრძანა. რა ბედნიერებაა, როდესაც მეზობლად რუსეთი გყავს – ყოველ წუთს და წამს, ხელს რომ შეაწმენდ. „შთამბეჭდავი“ იყო პრეზიდენტის გამოსვლაც. რა არ თქვა მან ავღანეთში ქართველ სამხედროთა ყოფნის გასამართლებლად. უპირველესად ის – თუ გვინდა სხვამ ქვეყნად ჩაგვთვალოს, ამერიკა-ნატოსთან უნდა ვიდგეთო და სხვა მსგავსი აბრაკადაბრა. კაცმა რომ თქვას, ამ „პატრიოტული“ სისულელეების მოსმენის ნაცვლად, ნამდვილად სჯობს ავღანეთში ყოფნა. პრეზიდენტმა ისიც ბრძანა, რომ საქართველოს მეომრები საქართველოს მომავალს, მის შვილებსა და შვილიშვილებს იცავენ. საქართველოსი რა მოგახსენოთ და თქვენს შვილებსა და უზრუნველყოფილ ცხოვრებას რომ იცავენ – უდავოა. და როდესაც ესოდენ დიდი პათოსია ჩაქსოვილი პრეზიდენტის, პრემიერის, სპიკერის, მინისტრების „პატრიოტულ“ განცხადებებში, იქნებ ერთხელ მაინც საქმით დაემტკიცებინათ სამშობლოს და მსოფლიოს მშვიდობიანი მომავლისთვის ბრძოლა. რაღაც არ მახსოვს, ჩვენი ხელისუფლების შვილების, ძმების, ნათესავების ერაყულ ან ავღანურ სადარაჯოზე დგომა. ყველაფერს რომ დასავლეთიდან იღებთ – იქნებ ისიც გადაგეღოთ, მაგალითად, დიდი ბრიტანეთის სამეფო კარიდან – უფლისწულთა ავღანეთში სამსახური? ქართველ სამხედროთა ავღანეთში ბრძოლა მხოლოდ ხელისუფალთა სკამის სიმყარეს ემსახურება და არა საქართველოს კეთილდღეობას, მხოლოდ ხელისუფალთა დასავლურ მხარდაჭერას და აქედან გამომდინარე, მარადიულ პარპაშს, დროსტარებას, ქვეყნის უმოწყალო ძარცვას და ა.შ. ის, რომ იქ მყოფი ქართველები იცავენ საქართველოს მომავალს, ეს არის სიბრიყვე და სიცრუე. ცხადია, იქ მყოფი ჯარისკაცები იცავდნენ და დღესაც იცავენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების სავარძლებს. ამერიკელებს უბრალოდ უნდათ, რომ ამ პროცესებში ჩართონ მთელი მსოფლიო, მათთვის არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი სამხედრო მიიღებს მონაწილეობას, მათ უნდათ დაანახონ მსოფლიოს, რომ ისინი ებრძვიან ტერორიზმს, ეს ყველაფერი არის ბლეფი და მეტი არაფერი. მე იქ საქართველოს ინტერესს ვერ ვხედავ, ჩვენ მხოლოდ ჩვენს ჯარისკაცებს ვწირავთ ამერიკელების მიერ წამოწყებულ ავანტიურას.

როდესაც ბუშმა გამოაცხადა ჯვაროსნული ომი ალ-ქაიდას წინააღმდეგ, ასეთი ნაბიჯი იმ დროს ამერიკელებისათვის იყო სრულიად მისაღები და ბუში როგორც ერაყზე, ასევე ავღანეთის ანტიტერორისტული ოპერაციის დასრულებას მალე აპირებდა, მაგრამ როგორც ვნახეთ, ეს ოპერაცია გაიწელა დღემდე. ბევრმა ქვეყანამ გაიყვანა ავღანეთიდან თავისი ჯარები, ვინაიდან ჩათვალეს, რომ ეს არის მიუღებელი რამ. ბევრ ქვეყანაში და მათ შორის ამერიკაშიც დაიწყო ამ ომის საწინააღმდეგო გამოსვლებიც. როდესაც ობამა ხელისუფლებაში მოვიდა, მან ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომ აუცილებლად დაამთავრებდა ომს, მაგრამ ავღანეთში ომი დღემდე გრძელდება. იმ ომის ძირითადი მიზანი, რომელიც ბუშმა წამოიწყო, იყო თალიბანის მორჯულება და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ნაცვლად ამისა, ტერორიზმი უფრო გაძლიერდა, მან მიიღო ძალიან ფართო მასშტაბები. ალქაიდას მებრძოლები იბრძვიან დღეს სირიაში და სხვა ცხელ წერტილებში; ალქაიდას ოფისები არსებობს აფრიკის კონტინენტზე და ისინი გავრცელებული არიან მთელ მსოფლიოში. ბუშის გეგმა ვერ განხორციელდა, ამერიკელებმა დაკარგეს ამ ომში ათასობით ჯარისკაცი. გარდა ამისა, ამ ოპერაციებში დაიხარჯა ძალიან დიდი ფული, ლაპარაკია მილიარდობით დოლარზე. ყველაფერმა ამან კი გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი, რომელიც დღეს არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე ეკონომიკური ჩავარდნები არსებობს ევროპაშიც, ეს გამოიწვია სწორედ ბუშის უგუნურმა პოლიტიკამ. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა დღეს ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე კარგად შეიარაღებულ ქვეყნად, მაინც ვერაფერს გახდა ავღანეთის წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას, რომ ამერიკა და ნატო ფაქტიურად ავღანეთში დამარცხდნენ.

***– გავრცელებულ ვიდეორგოლზე რას იტყვით, აქაც ხელისუფლება და ნაციონალები ურთიერთგადაბრალების რეჟიმში არიან თუ ეთანხმებით აზრს, რომ ეს ვიდეო საქართველოშია დამზადებული, ან რა ინტერესი დევს ამ ყველაფერში?***

– შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ეს ვიდეო მასალა არ არის არავითარი თალიბანის მიერ დამზადებული, სრული შესაძლებელია, რომ ეს ვიდეო დამზადებული იყოს საქართველოში, მაგრამ ასევე სრული შესაძლებელია, რომ ეს იყოს დაკვეთა და საქართველოს ტერიტორიიდან ვიღაცამ შეასრულა. ეს მასალა დაიდო უფრო ადრე, ვიდრე იქ მოხდა თავდასხმა ქართულ ბაზაზე. შეიძლება ამას დავარქვათ დამთხვევა. ასეა თუ ისე, საზოგადოებაში არსებობს სერიოზული წუხილი, რომ ქართველები ამ უაზრო ომში იღუპებიან. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ იზიარებს იმ განწყობას, რაც ჰქონდა წინა ხელისუფლებას და რაც აქვს დღევანდელს. უსუფაშვილმა ასეთი რამ ბრძანა, რომ თურმე საქართველოს ყოფნა აუცილებელია დასავლეთთან იმიტომ, რომ დასავლეთი ჩვენ გვეხმარება, და თუ არ ვიქნებით დასავლეთის გვერდით, მაშინ ის საზღვარი, რომელიც რუსებმა გადმოწიეს დიცში, შეიძლება კიდევ აქეთ გადმოიწიოს. მე, ცოტა არ იყოს, მაფიქრებს ამათი პოლიტიკური მომზადება და პოლიტიკური ცოდნა. არაფერ შუაში არ არის საზღვრის აქეთ-იქით გადაწევა, ეს არის წინა ხელისუფლების დიდი შეცდომა, რომელმაც 2008 წელს დაიწყო ომი. არ დაეწყო სააკაშვილს ომი და საზღვრის გადაწევასაც ადგილიც არ ექნებოდა. რუსეთთან ვართ ბუტე-ბუტე გაგებუტეს პოზიციაში. მასთან გავწყვიტეთ დიპლომატიური ურთიერთობა, არ ვლაპარაკობთ რუსეთთან და ვლაპარაკობთ ჟენევაში სხვისი თანდასწრებით და ეს არის სწორედ ის შედეგი, რასაც ჰქვია საზღვრის გადმოწევა. ჩვენ არ გვჭირდება რუსეთთან არავითარი შუამავალი, სირცხვილია, ამაზე ლაპარაკი, რუსეთთან უნდა დაჯდეს საქართველოს ხელისუფლება და დაიწყოს სერიოზული მოლაპარაკებები. მაგრამ, როგორც ვატყობ, საქართველოს როგორც წინა, ისე დღევანდელ ხელისუფლებას ეშინიათ სერიოზული მოლაპარაკებების წარმოება. საქართველო არც მზად არ არის ამისათვის, რადგანაც ის გამოაჩენს ხელისუფლების უცოდინარობას მთელ რიგ საკითხებში. საქართველოს ხელისუფლებას უნდა რუსეთთან ეს საკითხები „აკოფებიდან“ მოაგვაროს. ჩვენს საკითხს არავინ არ მოგვიგვარებს, არც ამერიკა და არც შვეიცარია და არც საერთაშორისო ორგანიზაცია, საზღვრების გადმოწევა სწორედ ამის მიმანიშნებელია. როგორც ჩანს, ქართველს არ უნდა სერიოზული მოლაპარაკება, სერიოზულ მოლაპარაკებას სერიოზული მომზადება სჭირდება, უნდა ისტორიის ცოდნა, უნდა მთელი რიგი საკითხების გავლა და ასე შემდეგ; როგორ დაჯდება რუსთან მოსალაპარაკებლად, როცა საუბრის დასაწყისშივე რუსი იკითხავს იმას, რასაც მე ახლა ვამბობ; რამ გამოიწვია 2008 წლის აგვისტოს ომი? მე არა მგონია მსგავსი მოლაპარაკებები დაიწყოს, ვიდრე არ დაიგმობა ის პატოის, რაც იყო 2008 წელს. ამ ომის დამწყები უნდა გასამართლდეს. ამ შემთხვევაში არის მზად საქართველო ამისათვის? მე ამაში ეჭვი მეპარება.

**ლერი ელიზბარიშვილის მემკვიდრეთა საყურადღებოდ**

**14.12.2012 წ-ს გარდაცვლილი ლერი ელიზბარაშვილის (დაბ. 18.09. 1949 წ. საცხოვრებელი ადგილი გარდაცვალების მომენტისათვის თელავი, სოფ. აკურა) სამემკვიდრეო საქმე იწარმოება ნოტარიუს ოთარ ზოიძესთან (თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№21, მე–4 სართული).**

**დაინტერესებულმა პირებმა მიმართეთ ნოტარიუს ოთარ ზოიძეს 07.07.2013 წ.–მდე.**

დასაწყისი მე-12 გვერდზე

## ფრიდონ სულაბერიძე საუკუნის მოცეკვავეა

კონცერტი და ფესტივალი, გამოიცა არაერთი წიგნი და აუდიო პროდუქცია ტრადიციული მუსიკის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებზე.

როგორც საღამოზე ითქვა, ფონდის მიზანია ხალხური შემოქმედების ხელშეწყობა და ტრადიციული ქართული სიმღერისა და გალობის პოპულარიზაცია. ფონდის საქმიანობაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ტრადიციული გალობისა და სიმღერის მეცნიერული კვლევა, უძველესი ნიმუშებისა და ჩანაწერების მოძიება-აღდგენა, შესაბამისი აუდიო, ვიდეო და ელექტრონული ვერსიების გამოცემა. ფონდი ხელს შეუწყობს ტრადიციული მუსიკის შესწავლას, სამეცნიერო კვლევებს ამ მიმართულებით და ნაშრომთა გამოცემას, კონფერენციების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების გამართვას. დიდი ყურადღება დაეთმობა ტრადიციული მუსიკის სწავლებას, ლოტბართა და რეგენტთა დასაქმებისათვის ხელშეწყობას, განსაკუთრებით სამრევლო სკოლებისა და გალობის ცენტრების შექმნას საზღვარგარეთის ქართულ ეკლესიებთან. ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის პოპულარიზაციისათვის ფონდი საქართველოსა და უცხოეთში კონცერტების, საღამოებისა და ფესტივალების ორგანიზებას შეუწყობს ხელს. ასევე მართლმადიდებელი სამყაროს ტრადიციული გალობის და ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალებში ქართული გუნდების მონაწილეობას და ანალოგიური ფესტივალების გამართვას საქართველოში. ფონდის საქმიანობაში პრიორიტეტული იქნება რეგიონებში ტრადიციული მუსიკის აღორძინებისათვის ხელშეწყობა. ფონდი ითანამშრომლებს ტრადიციული მუსიკით დაინტერესებულ ყველა ორგანიზაციასთან და პირთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

– ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ საზეიმო კონცერტში, რომელიც ფონდის პირველი ღონისძიებაა, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ქართული ტრადიციული შემოქმედების ყველაზე გამორჩეულმა ოსტატებმა მიიღეს მონაწილეობა. ფონდმა ღვაწლმოსილ ადამიანებს საპატიო ჯილდოები და ფულადი პრემიები გადასცა. ამ ფონდის საქმიანობით მომავალში ხელს შევუწყობთ ჩვენი ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტის – ტრადიციული სიმღერისა და გალობის განვითარება-პოპულარიზაციას. ეს იუნესკომ 2001 წელს კაცობრიობის ზეპირსიტყვიერებისა და ხელთუქმნელი საგანძურის შედევრად აღიარა, – განაცხადა ანზორ ერქომაიშვილმა.

ფონდის „ქართული გალობა“ საბჭოს წევრები არიან ლექსო თორაძე და ანზორ ერქომაიშვილი, ფონდის საპატიო პრეზიდენტია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II. ფონდის აღმასრულებელი დირექტორია ნანა გოთუა. ფონდის პროგრამების ხელმძღვანელები კი გიორგი დონაძე და სვიმონ ჯანგულაშვილი არიან.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ფრანგი მხატვარი, ფერწერული ტილო „გოგონა მარაოთი“-ს ავტორი; 2. მე-19 საუკუნის ქართველ იქრომჭედელთა გვარი; 3. ისტორიული ციხე-ქალაქი სამცხე-ჯავახეთში; 4. არსებობის ყოველგვარ საშუალებას მოკლებული ადამიანი, ღატაკი; 5. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 9. ფულის გამოშვება; 11. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 12. ქათმისებრთა ოჯახის ფრინველი; 14. საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდი; 18. ხმაურიანი ბრბო; 19. ფრანგი ექიმი, ნევროპათოლოგიისა და ფსიქოთერაპიის ფუძემდებელი.

**თარაზულად:** 4. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 5. მექალთანე, მუსუსი მამაკაცის სახელწოდება რიჩარდსონის რომანის პერსონაჟის მიხედვით; 6. ბოულინგის მეორე სახელწოდება; 7. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 8. მდინარე ციმბირში; 10. ფილოსოფიური მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ; 13. ფრანგი კომპოზიტორი, ოპერა „ესპანური საათის“ მუსიკის ავტორი; 15. ებრაელთა სასულიერო პირი; 16. იაპონური არაყი; 17. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 20. ქართველ მეან-გინეკოლოგი, აკადემიკოსი; 21. წყალი მყარ მდგომარეობაში; 22. ძველებური ქართული ხალხური ქალ-ვაჟის ცეკვა; 23. იზოლირებული ელექტროსადენი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „სქური“; 2. ისინდი; 4. რუბენსი; 5. სენსეი; 6. სერფინგი; 7. ლაჟვარდი; 10. ჯილდა; 12. ოკარინა; 13. ბაიკერი; 16. ფინიკი; 17. პარსეკი; 18. „დავითი“; 19. მუთაქა; 21. „დაფნე“.

**თარაზულად:** 3. ექსპრესი; 8. „სეზარი“; 9. „ბონბონერა“; 11. ჟენევა; 12. ონიქსი; 14. გრანდი; 15. წყალბადი; 20. „ნადური“; 22. ბეთანია; 23. სუვა; 24. აფორიზმი; 25. თაჯა; 26. ჰაკერი; 27. გაუჩო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „მუზა“; 2. ერა; 3. კორონაცია; 4. „ჰერში“; 5. კაზალსი; 8. ბულა; 9. კაზუარი; 10. კაბინეტი; 12. სხალთა; 13. „ტვიში“; 15. „ცეისი“.

**თარაზულად:** 1. მაღრაძე; 6. მოწამეთა; 7. ზუბრი; 10. კლოდი; 11. ფლორა; 13. ტრული; 14. მოცვი; 16. ლაპი; 17. არქტიკა; 18. იგრიკა.

## ბელარუსმა და ფინეთმა საქართველოსთვის ითამაშეს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

თავური დარტყმით, ქულების გამყოფი გოლი გაიტანა.

**გეორგი კონდრატიევი:**

– თუ არ გიმართლებს, ბოლომდე არ გიმართლებს. სრული უპირატესობა გვქონდა, მაგრამ ჩვენს კარში პირველივე დარტყმის შემდეგ გავიდა გოლი. ბიჭებს შევაქებ, რადგან ხელები არ ჩამოუშვიათ და თავის ფეხბურთს თამაშობდნენ. ისეთ თამაშებს ვაგებთ, რომლებიც მინიმუმ ფრედ უნდა დავასრულოთ. ეს მატჩი უნდა მოგვეგო და ფრედ დავამთავრეთ. ალბათ, ცხოვრებაში ასეთი პერიოდები არსებობს. ამ შესარჩევ ციკლში იღბალი მუდმივად მეტოქის მხარესაა, იგივე საფრანგეთთან და საქართველოსთან მატჩებს თუ გავიხსენებთ.

**მიკსუ პაატელაინენი:**

– მნიშვნელოვანია, რომ ორ მატჩში ოთხი ქულა ავიღეთ. ეს ჩვენს სცენარს ზუსტად შეესაბამება. მეორე ტაიმში ტაქტიკა ოდნავ შევცვალეთ და ამან ძალიან კარგად იმუშავა. ფინეთის ნაკრებმა მოედნის ცენტრში უფრო ღრმად ითამაშა და მეტოქეს შანსი არ ჰქონდა. ჩვენს კარში გატანილი გოლის მომენტში ვიღაცას „ჩაეძინა“, მაგრამ ამ მოთამაშის გვარს არ დავასახელებ. რა თქმა უნდა, ამან ცოტა გული დაგვწყვიტა. ვფიქრობ, რომ ჯგუფში მე-2 ადგილის დაკავების არცთუ ცუდი შანსი გვაქვს. თუმცა, უდავოა, რომ საფრანგეთთან, საქართველოსთან და ესპანეთთან რთული მატჩები გველის. ამჟამად მე-3 პოზიციაზე ვიმყოფებით და მიმაჩნია, რომ ჩემს გუნდს მომავალ თამაშებში თითოეული ქულისთვის ბრძოლა შეუძლია.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:2 | 11 |
| 2.საფრანგეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 |
| 3.ფინეთი | 5 | 21 | 3 | 1 | 4:4 | 6 |
| 4.საქართველო | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| 5.ბელარუსი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | 4 |

# იტალიის სამხრეთში ასეულობით მაფიოზი დააკავეს

იტალიის პოლიციამ ნეაპოლის პროკურატურის ორდერის საფუძველზე ქვეყნის სამხრეთში ასზე მეტი ადამიანი დააკავა. ყველა დაპატიმრებულს დანაშაულებრივ მოღვაწეობაზე, მათ შორის ნარკოტიკების კონტრაბანდაში ბრალდება წაუყენეს. დაკავებულთა უმრავლესობა ნეაპოლიტანურ მაფიას, „კამორას" მიეკუთვნება. დაპატიმრებულებს შორისაა ძებნაში მყოფი მაფიის ბოსი მარკო დი ლაურო.

4 ივნისს, ესპანეთის სამოქალაქო გვარდიამ იტალიელ კარაბინერებთან თანამშრომლობით, სერიოზული დარტყმა მიაყენა პოლვერინოს კლანს, რომელიც ნეაპოლიტანურ მაფიაში შედის. ესპანეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე მასშტაბური ოპერაციის შედეგად, 30 ადამიანი დააკავეს.

სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებით, დამნაშავეები ესპანეთის ტერიტორიის გავლით, მაროკოდან იტალიაში ჰაშიშის მიწოდებით იყვნენ დაკავებულნი. ასევე მაფიის ფულს ათეთრებდნენ.

31 მაისს, პოლიციის მოქმედების შედეგად „მშრალზე დატოვეს" „კამორას" მეორე ლიდერი, 69 წლის რაფაელ პეტრონე. მის ქონებაზე პატიმრობა შეეხო 36 ბინას, 20 მიწის ნაკვეთს, ოთხ ვილას, ასევე მაღაზიებს და ღამის კლუბებს. უძრავი ქონების გარდა, კონფისკაცია გაუკეთეს 27 ძვირფას ავტომობილს.

იტალიური მაფიის ბოსები პოლიციისგან დამალვის იმედით სასწაულებრივ გამომგონებლობას იჩენენ. ამასთან, მშობლიურ სახლთან ახლოს რჩებიან, რათა კრიმინალური გავლენა არ დაკარგონ.

ექსპერტების შეფასებით, „კამორამ" მხოლოდ ერთ წელიწადში დანაშაულებრივი მოღვაწეობიდან 6 მილიარდი მიიღო, რაც ოდესღაც ძლევამოსილი სიცილიური მაფიის „კოზა ნოსტრას" შემოსავლებს ორჯერ აღემატება.

# თურქეთში ტაქსიმის მოედანზე მომიტინგეები დაშალეს



თურქეთის პოლიციამ, სტამბოლში, ტაქსიმის მოედანზე შეკრებილი დემონსტრანტები ცრემლსადენი გაზის გამოყენებით დაშალა.

მოგვიანებით აქციის მონაწილეებმა გეზის პარკში გადაინაცვლეს, სადაც სამართალდამცავებსა და მომიტინგეებს შორის დაპირისპირება კვლავ გაგრძელდა.

სტამბოლის ხელისუფლება აცხადებს, რომ მოედნის გაწმენდის ოპერაცია დღის და ღამის განმავლობაში, მანამდე გაგრძელდება, სანამ მარგინალური ელემენტები პროტესტს არ შეწყვეტენ.

ქვეყანაში საპროტესტო გამოსვლები თურქეთის პრემიერ-მინისტრის რეჯეფ ტაიპ ერდოღანის განცხადების მიუხედავად, გრძელდება. მან განაცხადა, რომ ის არ აპირებს ქვეყანაში საპროტესტო აქციებს შეეგუოს.

ორი კვირის წინ სტამბოლში დაწყებული საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილეებიც ტაქსიმის მოედანზე „გეზი პარკის" რეკონსტრუქციისა და მის ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრის აშენების შეჩერებას მოითხოვდნენ, მასობრივ არეულობებში გადაიზარდა და თურქეთის ოთხი დიდი ქალაქი მოიცვა.

არსებული ინფორმაციით, დემონსტრაციების დაწყებიდან დღემდე, აქციებს სამი ადამიანი ემსხვერპლა, 5 ათასზე მეტი კი დაშავდა.

ხელისუფლებამ უკვე მოუხადა ბოდიში დემონსტრანტებს, აღიარა, რომ მათი პროტესტი სამართლიანია და დაგმო პოლიციის მიერ ძალის გადამეტების ფაქტები. ასევე სტამბოლის მერიამ საჯაროდ განაცხადა, რომ პარკის ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრი არ აშენდება. მიუხედავად ამისა მასობრივი საპროტესტო აქციები არ წყდება.

სტამბოლის მცხოვრებლებს მხარი სხვა რეგიონების მოსახლეობამაც დაუჭირა და თურქეთის თითქმის ყველა დიდი ქალაქი დემონსტრაციებშია ჩათრეული. მედიის ინფორმაციით, პროტესტში მონაწილეობს აბსოლუტურად ყველა, განურჩევლად მათი სოციალური სტატუსისა.

ცოტა ხნის წინ ქვეყნის პრემიერმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მისი პოზიცია უცვლელი რჩება: „ჩვენ არა მხოლოდ აღვკვეთავთ ამ აქციებს, არამედ ყველა პროვოკატორსა და ტერორისტს დავსჯით — დაუსჯელი არავინ დარჩება", — განუცხადა პრემიერმა პარლამენტში დეპუტატებს.

ამ ფონზე, თურქეთის პოლიციამ რამდენიმე ათეული ის ადვოკატი დააკავა, რომლებიც დემონსტრანტებს იცავდნენ. ადვოკატები სასამართლოს შენობაში დააკავეს. აღნიშნულია, რომ ადვოკატების დაკავება „უხეში ფორმებით" მოხდა.

„ჩვენ სასამართლოს შენობასთან პრესისასთვის განცხადების გასაკეთებლად შევგროვდით. პოლიცია თავს დაგვესხა. ეს ძალიან უხეში ფორმებით მოხდა. ამჟამად 49 ჩემი მეგობარი-იურისტი დაკავებულია. მრავალმა მათგანმა ტრავმები მიიღო: მათ თავში ურტყამდნენ მაშინაც კი როდესაც მიწაზე დააწვინეს", — აცხადებენ აქციის მონაწილეები.

მოგვიანებით, დაახლოებით 100 იურისტი შეიკრიბა პოლიციის შენობასთან და კოლეგების გათავისუფლება მოითხოვა.

# ქაბულში თვითმკვლელი ტერორისტის აფეთქებას 16 ადამიანი შეეწირა



ავღანეთში ქაბულის უზენაესი სასამართლოს შენობასთან თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა, რის შედეგადაც 16 ადამიანი გარდაიცვალა და 40-ზე მეტი მძიმედ დაშავდა. ამის შესახებ ინფორმაციას „ბი-ბი-სი" ავრცელებს.

ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, ასაფეთქებელი მოწყობილობებით დატვირთული ავტომობილი, რომელსაც თვითმკვლელი ტერორისტი მართავდა, შეეჯახა ავტობუსს, რომელსაც სასამართლოს თანამშრომლები გადაჰყავდა. ტერორისტულ აქტზე პასუხისმგებლობა თალიბებმა აიღეს.

ამ დრომდე ინციდენტის ტერიტორია შემოსაზღვრულია და შემთხვევის ადგილზე საგამოძიებო ჯგუფები და სამართალდამცავები მუშაობენ. მსხვერპლისა და დაშავებულთა რაოდენობის მიხედვით, ეს ყველაზე მასშტაბური ტერორისტული აქტია, რომელიც ავღანეთში უკანასკნელი წელიწად-ნახევრის განმავლობაში მოხდა.

„რტ.ქომი" კი იტყობინება, რომ ავღანელმა თალიბებმა ყანდაგარის პროვინციაში დაიჭირეს ბიჭუნა, რომელიც ნაგავში იქექებოდა ხოლმე პოლიციის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან და ზოგჯერ იღებდა ნასუფრალს იქაური თანამშრომლებისაგან. ისლამისტებმა ეჭვი შეიტანეს, რომ ბავშვი ჯაშუშობდა პოლიციელებთან და თავი მოჰკვეთეს.

ეს არ არის ერთადერთი ასეთი ფაქტი: მანამდე ამავე ავღანურ პროვინციაში მსგავსი ფორმით სიკვდილით დასაჯეს 16 წლის მოზარდი. უფრო ადრე კი, მსგავსი ეჭვის გამო, თავი მოჰკვეთეს 12 წლის ბიჭსა და 7 წლის გოგოს ავღანეთის სამხრეთსა და აღმოსავლეთში.

ამ ფონზე, ავღანეთში საერთაშორისო ძალების მეთაურმა, ამერიკელმა გენერალმა ჯოზეფ დანდორფმა „ბი-ბი-სისთვის" მიცემულ ინტერვიუში საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდა ზურგი არ შეაქციონ ავღანეთს.

მისი თქმით, „თალიბანთან" მოლაპარაკება ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა მოხდეს. როგორც გენერალმა აღნიშნა, უცხოელი პოლიტიკოსების მხარდაჭერის გარეშე, ამ ქვეყნის მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებების დაცვა გარანტირებული ვერ იქნება.

„ამ მხრივ ჩვენ მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ, თუმცა ეს პროცესი საბოლოოდ დასრულებული არ არის", — აღნიშნა გენერალმა, რომელმაც ასევე ხაზი გაუსვა, რომ ავღანეთის უსაფრთხოების ძალები საკმაოდ კარგად იბრძვიან, თუმცა „თალიბანთან" მოლაპარაკება ქვეყნის მომავლისათვის უმნიშვნელოვანესია.

# „ახლა სირია გველის ბუდეს ჰგავს"



დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა, პრემიერ-მინისტრ დევიდ კემერონს, სირიის გამო, რუსეთთან მოსალოდნელი „ცივი ომის" შესახებ მოახსენეს, წერს „სანი" თავის ექსკლუზიურ მასალაში.

როგორც გაზეთს გაერთიანებული სამეფოს მთავრობაში არსებულმა წყარომ მოახსენა, კრემლმა სირიაში ფარულად გააგზავნა ათეულ ათასობით სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის სამხედრო მრჩევლები და ტექნიკური ექსპერტები.

მათგან ბევრი მოემსახურება რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებს, რომლებიც რუსეთშია დამზადებული და ამჟამად სირიის მთავრობის განკარგულებაშია. რუსეთის სამხედროების ყოფნა რეგიონში იმას ნიშნავს, რომ კემერონის გეგმა სირიის ამბოხებულების შეიარაღებასთან დაკავშირებით, მას ვლადიმერ პუტინთან კონფრონტაციაში შეიყვანს, — ნათქვამია სტატიაში. ამას გარდა, სირიის მთავრობას დახმარებას უწევს ირანი და დაჯგუფება „ჰეზბოლა", — წერს გაზეთი.

„ახლა სირია გველის ბუდეს ჰგავს და ჩვენ მოგვიწევს არამარტო ასადის სამხედროებთან დაპირისპირება", — ნათქვამია სტატიაში.

„დასავლეთის მიერ, შეიარაღებასთან დაკავშირებით სირიის ოპოზიციის შეგულიანება, უახლოეს პერიოდში დაგეგმილ სირიის შესახებ საერთაშორისო კონფერენციას ჩაშლით ემუქრება", — განცხადება აღნიშნულის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გააკეთა.

„სირიის ოპოზიციის განცხადება იმაში მდგომარეობს, რომ კონფერენციაზე მხოლოდ მაშინ მოვლენ, როდესაც მათ მიწაზე სამხედრო ბალანსი დამყარდება. თუ ამ კრიტერიუმს გავითვალისწინებთ, მაშინ ჩვენ ამ კონფერენციას ვერასდროს ჩავატარებთ. სირიის ოპოზიციის შეგულიანება, რომ აუცილებელია მათი შეიარაღება, რათა გარკვეულ ტერიტორიებს დაეუფლონ, მე ვფიქრობ ამ კონფერენციის მოწვევის საწინააღმდეგოდ მოქმედებს", — აღნიშნა მინისტრმა. როგორც ცნობილია, ამერიკა და ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა, სირიის ოპოზიციის შეიარაღების საკითხს განიხილავს

# ვატიკანში გეი-ლობი არსებობს



რომის პაპმა ფრანცისკმა, კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთ მთავარ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომის კურიაში ე.წ. „გეი-ლობის" არსებობა აღიარა. ამის შესახებ „ფრანს პრესი" ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით იუწყება.

„კურიაში არსებობენ როგორც წმინდა ადამიანები, ასევე კორუმპირებული მიმდინარეობაც. კერძოდ, საუბარი გეილობის არსებობის შესახებ სიმართლეა. ის ნამდვილად არსებობს. თუმცა ჩვენ ამას მივხედავთ", — განაცხადა კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლმა ლათინოამერიკელ მორწმუნეებთან შეხვედრისას.

ამ მხრივ, პონტიფიკოსმა ირიბად დაადასტურა იტალიურ პრესაში გამოქვეყნებული მასალები იმის შესახებ, რომ ვატიკანელი მაღალი თანამდებობის ჰომოსექსუალისტები შანტაჟისტთა მსხვერპლნი გახდნენ. იტალიური მედიისვე ცნობით, მრავალი ეპისკოპოსი საკუთარ წარმატებას უფროს მეგობრებთან „რომანტიულ" ურთიერთობებს უნდა უმადლოდნენ.

ლათინოამერიკული სამღვდელოების წარმომადგენლებმა სინანული გამოთქვეს და პაპს მოუბოდიშეს იმის გამო, რომ მათი მოლაპარაკების შინაარსი პრესისთვის ცნობილი გახდა. ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ რომის პაპმა უახლოეს წლებში რომის კურიაში ღრმა სტრუქტურული რეფორმის გატარება ერთ-ერთ პრიორიტეტად დაისახა. ამასთან აღიარა, რომ მას როგორც „არაორგანიზებულ" ადამიანს, საეკლესო ბიუროკრატიის გადალახვა გაუჭირდება.

ოფიციალურმა ვატიკანმა „ფრანს პრესის" გავრცელებული ინფორმაცია არც უარყო და არც დაადასტურა.

# ბერძენი ჟურნალისტები საზოგადოებრივი მაუწყებლის დახურვას აპროტესტებენ




საბერძნეთის ჟურნალისტების პროფკავშირმა სახელმწიფო კომპანია „ერტ-ის" ტელერადიომაუწყებლობის შეწყვეტის გამო 24 საათიანი გაფიცვა გამოაცხადა.

გუშინ, მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა არხის დახურვის შესახებ გააკეთა გაცხადება, რის ერთ-ერთ მიზეზადაც „ერტ-ის" „გაუმჭვირვალობა" დასახელდა. ამ გადაწყვეტილების შედეგად, სამსახურის გარეშე 2500-ზე მეტი ადამიანი დარჩა. როგორც ცნობილი გახდა, ეს გადაწყვეტილება, ოპოზიციის გარდა, სამთავრობო კოალიციის სამი პარტიიდან ორმა გააპროტესტა. მთავრობა, ადრე, ჟურნალისტებს მათი პოლიტიკის კრიტიკის გამო საბოტაჟში და უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ვიზიტების დროს გაფიცვაში ადანაშაულებდა.

ჟურნალისტები „ერტ-ის" შენობის წინ მიტინგს გამართავენ. შეგახსენებთ, მთავრობის პრესმიდვანმა სიმოს კერდიკოგლუმ განაცხადა, რომ მაუწყებლობა ოთხშაბათს დილიდან შეწყდება. „ერტ-ის" მთლიანი პერსონალი, 2500 ადამიანი, გათავისუფლებული იქნება, მანამ სანამ კომპანია „კვლავ არ გაიხსნება". „ერტ-ი" გამჭვირვალობის ნაკლებობის და დაუჯერებელი მფლანგველობის მაგალითი გახდა. ეს ახლა დასრულდება", — აღნიშნა მთავრობის წარმომადგენელმა.

საბერძნეთის მთავრობა როგორც ცნობილია ქვეყნის რეცესიიდან გამოსაყვანად, დანახარჯების შემცირების პოლიტიკას ახორციელებს. აპრილში მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც წლის ბოლომდე სახელმწიფო სექტორის 15 000 თანამშრომელი უნდა გაათავისუფლონ.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# სამგლოვიარო განცხადებები

დავით გვაძაბია და ანჟელა გვათუა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ანჟელა გვათუას მამიდაშვილი

**ბორის (ტორო) კონსტანტინეს ძე გვასალია**

ქ. გაგრის მკვიდრი, აფხაზეთის საზოგადოებაში კარგად ცნობილი პიროვნება, დიდი პატრიოტული გრძნობითა და მშობლიური კუთხისადმი უზომო სიყვარულით შემკული ადამიანი და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

მეუღლე ნიკოლოზ ბეგიაშვილი. შვილები ირინე ებანოიძე, ალექსანდრე ბეგიაშვილი, სიძე მიხეილ ებანოიძე, რძალი ნატალია ბეგიაშვილი, შვილიშვილები ნინო და ვაჟა ებანოიძეები, მარგარიტა და ირინე ბეგიაშვილები, მძახლები ვაჟა ებანოიძე, ნუნუ ძამუკაშვილი, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლუდმილა ბეგიაშვილი**

პანაშვიდი: 11, 12 ივნისს 18 საათზე.
დაკრძალვა: 13 ივნისს 14 საათზე.
მისამართი: თევდორე მღვდლის ქუჩა №5ბ. მე-2 სადარბაზო, მე-3 სართული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## ხუთშაბათი 13 ივნისი

07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ჭორიკანა„ 17.00 „ჩვენი ფერმა„ 17.30 „საფარი„ 18.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 19.05 ტ/სერ. „ნუ შეწყვეტ ოცნებას„ 21.00 „საჯარო პოლიტიკა„ 22.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 23.00 სპორტული თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „ჩემი დის მფარველი ანგელოზი„ (კ.დიაზი) 01.50 „დღეს ორის ნახევარზე„

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 09.00, 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 11.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა„ 2 ნაწ. 14.00 დ/ფ „ვატიკანის ნამდვილი ძალაუფლება„ I ნაწ. 16.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა„ 3 ნაწ. 20.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 21.30 „არგუმენტების დრო„ (პ/ე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 კრიმ. სერ. „შევარდნის თვალი„ 4 სერ. 23.00 მხ/ფ „მოთვალთვალე„ (ე.ჯადი) 01.35 მხ/ფ „მაროკოელი ტერორისტი„ (რ.ფილიპი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.20 მხ/ფ „ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.35 დოკ/ფ „ტაო-კლარჯეთი„ 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „აბეზარა„ 13.30 „შუადღე„ ერთსულოვნებაზე 14.30 ჩვენი ფონდი - დეკანოზი დავით ნოზაძე „ამაღლების შესახებ„ 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 „თვენი„ - ამაღლება 15.45 კონცერტი - ქართველი ვარსკვლავები ათენში 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ამაღლება„ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.25 ამაღლება (რ. ძნელაძე) 22.35 დოკ/ფ „მებრძოლი ეკლესია„ 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 „საუფლონი„ - ამაღლდა ღმერთი ღაღადებითა 23.45 ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან„

მაესტრო 7.00, 3.00, 5.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00, 1.00 ახალი ამბები 11.00 კვირის აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„ (გამ.) 14.30, 22.20, 0.30 მაგთიფანი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 მაგთიფანი კონცერტი (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბ. აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.00 „ყოველდღიური აბები„ 23.00, 3.30 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

13 ივნისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6571 | ევრო — 2,1905 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5728 | 100 რუსული რუბლი — 5,1264 |

## ამინდის პროგნოზი 13 ივნისისთვის





# 29 მაისიდან

## ჟურნალ „სარკესთან“

ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 3

ბრაზილიური ზღაპრები




უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

ტომი 2. ჩეხური ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები


# თბილისს საერთაშორისო რაგბის წარმომადგენლები სტუმრობდნენ




საქართველოს სამუშაო ვიზიტით რაგბის საერთაშორისო საბჭოს ოფიციალური დელეგაცია სტუმრობდა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი – ლევან ყიფიანი, რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) წარმომადგენელს, შოტლანდიის ეროვნული ნაკრების ლეგენდარულ მოთამაშეს – ჯონ ჯეფრის, რაგბის კავშირის პრეზიდენტ გიორგი ნიჟარაძესთან ერთად სამინისტროში შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოში რაგბის დღევანდელ მდგომარეობაზე, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანხვედრ მუშაობასა და სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე ისაუბრეს. მათ შორის ყურადღება გამახვილდა რაგბის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამასა და რაგბის საერთაშორისო საბჭოსთან სამომავლო თანამშრომლობაზე, რასაც ქართული რაგბის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

აღსანიშნავია, რომ ჯონ ჯეფრიმ მინისტრთან შეხვედრამდე რამდენიმე დასრულებული თუ მშენებარე სარაგბო სტადიონი მოინახულა და ნანახით განსაკუთრებულად კმაყოფილი დარჩა.

შოტლანდიელი სტუმარი მინისტრთან ერთად თბილისში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის – თბილისის თასის მორიგი ტურის შეხვედრებს დაესწრო, შემდეგ კი, საქართველო დატოვა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ფრიდონ სულაბერიძე საუკუნის მოცეკვავეა

ფონდმა „ქართული გალობა“ პირველი ღონისძიება რუსთაველის თეატრში გამართა და ქართულ კულტურაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისათვის გამორჩეული ოსტატები დააჯილდოვა. „ქართული ხალხური სიმღერა – კაცობრიობის საგანძური“ – ასე ეწოდებოდა სადებიუტო გრანდიოზულ კონცერტს.

ფონდის მიერ დაწესებული წოდება და ჯილდო გადაეცათ ფრიდონ სულაბერიძეს (საუკუნის მოცეკვავე), გური სიხარულიძეს (ქართული ხალხური სიმღერის მოამაგე), ტრისტან სიხარულიძეს, ისლამ (ეფთიმე) ფილფანს, პოლიკარპე ხუბულავას, ანდრო სიმაშვილს, როსტომ გოგოლაძეს, მიხეილ კილოსანიძეს, (ქართული ხალხური სიმღერის მოამაგე), რობერტ გოგოლაშვილს, ჯე-




მალ ჭკუასელს, (ღვაწლმოსილი ლოტბარი), თემურ ქევხიშვილს (საუკუნის ხმა), ქედას ხალხური სიმღერის ანსამბლ „ელასას“ (ახალი თაობა), ანზორ ერქომაიშვილს (საუკუნის მოამაგე).

რუსთაველის თეატრში გამართულ ღონისძიებაზე მიწვეულნი იყვნენ ყველაზე ღირსეული შემსრულებლები ქართული ხალხური სიმღერებისა. მათ შორის, თბილისის სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდი, ანსამბლები „რუსთავი“, „სახიობა“, „დიდგორი“, „შავნაბადა“, „იმერი“, „ბასიანი“, „ელესა“, ბავშვთა გაერთიანებული გუნდი.

ფონდი „ქართული გალობა“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა- თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა დააფუძნა, რომელიც ხელს უწყობს ტრადიციული გალობისა და სიმღერის პოპულარიზაციას. ფონდის საქმიანობით ხელი შეეწყობა ეროვნული იდენტობის გამსაზღვრელ და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანძურის, ტრადიციული სიმღერისა და გალობის განვითარება-პოპულარიზაციას. ასევე დაფუძნდა საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც მაღალკვალიფიციურ რეგენტებსა და ლოტბარებს ამზადებს. გაიხსნა სკოლები ოზურგეთსა და სტეფანწმინდაში, ტიხრული მინანქრის სახელოსნო სნოში, სამრევლო სკოლა ლონდონში, აიგო ტაძარი ოზურგეთში. ასევე დაფინანსდა არაერთი

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# თავისუფალი თეატრი ლონდონში წავიდა

თავისუფალი თეატრი გასტროლზე ლონდონში წავიდა. თეატრი ლონდონში წარადგენს რეჟისორ გიორგი შალუტაშვილის სპექტაკლს „სათამაშო პისტოლეტი“, რომლის პრემიერაც თებერვალში გაიმართა. შემოქმედებით ჯგუფს თან ახლავს თავისუფალი თეატრის დამაარსებელი ავთო ვარსიმაშვილიც. როგორც მან ლონდონში გამგზავრებამდე „ახალ თაობას“ განუცხადა:



– მივდივართ ლონდონში, სპექტაკლით „სათამაშო პისტოლეტი“, ეს არის გიორგი შალუტაშვილის სპექტაკლი. ლონდონში გამოვალთ საკმაოდ პრესტიჟულ თეატრში, ეს არის შუა ქალაქში მდებარე თეატრი. მღელვარებით ვემზადებით ამ გასტროლისთვის, რადგან ლონდონში სხვა თეატრალური ტრადიციებია.

***– კიდევ სად აპირებთ სპექტაკლების წარმოდგენას?***

– ამის შემდეგ არის ტურნე მსოფლიო მნიშვნელობის კურორტ ბოდრუმში ზაფხულის პერიოდში, როცა დამსვენებლების პიკია, განზრახული აქვთ ხელოვნების ფესტივალის ჩატარება, სადაც წარმოდგენილი იქნება ჩემი სპექტაკლები და ფილმები. ჩატარდება ავთო ვარსიმაშვილის საავტორო კვირეული და იქ მთხოვეს ვუჩვენო როგორც ქართული, ასევე რუსულენოვანი სპექტაკლები. თავისუფალი თეატრიდან ვითამაშებთ „კავკასიურ ცარცის წრეს“ და „მექანიკურ ფორთოხალს“, გრიბოედოვის თეატრიდან კი წარმოდგენილი იქნება ჩემი სპექტაკლი „გეტო“.

ლონდონის გასტროლისთვის შერჩეული სპექტაკლის „სათამაშო პისტოლეტი“ პიესის ავტორი თამარ ბართაიაა, რეჟისორი – გიორგი შალუტაშვილი, მხატვარი – მირიან შველიძე, კომპოზიტორი – ლექსო ტურიაშვილი. სპექტაკლში მხოლოდ ორი მსახიობია დაკავებული – ანი ალადაშვილი და გიორგი აბაშიძე. ეს არის პირველი სპექტაკლი ქართული თეატრის ისტორიაში, რომელიც ქართულ ენაზეც იქნება წარმოდგენილი და ინგლისურზეც. წარმოდგენა რეჟისორ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე


ყველამ გაითვალისწინეთ! **ასტროპროგნოზი** 13 ივნისისთვის

წარმატებული დღეა

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაქვთ. **ქალწული** – ახალი საქმე გაამართლებს, იქტიურეთ. **სასწორი** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **ღრიანკალი** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – ბედი გწყალობთ, ყველაფერი მშვენივრად იქნება. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა, ყველაფერი წესრიგშია. **თევზები** – გზიდან ფულს მიიღებთ, საჩუქრებსაც გამოგიგზავნიან.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გამოგონების დამადასტურებელი მოწმობა; 2. ტბა შუა-აზიაში; 3. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 4. მგალობელი ჩიტი; 5. დასამწნილებლად გამოყენებული კიტრის ჯიში; 9. დიდი მახრჩობელა გველი; 12. მაგიდის სათამაშო; 14. რომის პაპის წარმომადგენელი, რომელიმე სახელმწიფოში; 15. ხელოვნების მუზეუმი ლოს-ანჟელესში; 17. ციტრუსების კანის ზედა შეფერილი ფენა; 18. ქალის ან ბავშვის დაბალი სასიმღერო ხმა.

**თარაზულად:** 6. მევენახეობა-მეღვინეობის ოლქი ხორვატიაში; 7. ფრანგი მწერალი ქალის ჟორჟ სანდის რომანი; 8. ადვოკატი ანუ ...; 10. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესო ამერიკელი გოლფისტი მამაკაცი; 11. მანათობელი მწერი; 13. სოფოკლეს ტრაგედია; 16. ლიხტენშტეინის დედა ქალაქი; 19. აპარატი, რომელიც განსაზღვრავს საგნების ადგილმდებარეობას მისგან არეკლილი ბგერითი ტალღების საშუალებით; 20. მე-16 საუკუნის პორტუგალიელი ზღვაოსანი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილი*




# ფრედ ოტაში: მერლინ მონრო ჯონ კენედის ძმამ მოკლა

ჰოლივუდის ერთერთი ყველაზე ცნობილი კერძო დეტექტივის ფრედ ოტაშის ქალიშვილმა მამის დოკუმენტები გამოაქვეყნა, რომელიც სამალავში აღმოაჩინა. სენსაციური დოკუმენტები ნათელს ჰფენს ლეგენდარული მომღერლისა და მსახიობის მერლინ მონროს უკანასკნელ ღამეს განვითარებულ მოვლენებს.

აღმოჩნდა, რომ მონროს გარდაცვალებამდე დეტექტივმა მსახიობის სახლში, ლოს ანჯელესში მოსასმენი აპარატურა დააყენა. დეტექტივის ჩანაწერების თანახმად, მონროს ძმებ ჯონ და რობერტ (ბობი) კენედებთან სექსუალური ხასიათის ურთიერთობა ჰქონდა.

მსახიობის გარდაცვალების დღეს, 1962 წლის 5 აგვისტოს, მსახიობის სახლში ორივე ძმა იმყოფებოდა.

„მე მესმოდა, როგორ კვდებოდა მონრო“, – იტყობინება ფრედ ოტაშის ერთ-ერთი ჩანაწერი.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღეს, მონრო ძმებს ეჩხუბებოდა:

„ის ხმამაღლა ყვიროდა და ძმები მის დამშვიდებას ცდილობდნენ. მერლინი საძინებელში ბობისთან ერთად იყო. ბობიმ მერლინი საწოლზე დააგდო და თავზე ბალიში დაადო, რათა მეზობლებს მისი ყვირილი არ გაეგოთ. როცა ის დამშვიდდა, ბობიმ სახლი დატოვა“, – იტყობინება დეტექტივის ჩანაწერები.

მონროს გარდაცვალების შესახებ, ოტაშმა მეორე დღეს შეიტყო. ოფიციალური ვერსიით, მსახიობი საძილე აბების ჭარბი დოზის მიღებისგან გარდაიცვალა.



მერლინ მონრო 36 წლის ასაკში, დიდების მწვერვალზე მყოფი გარდაიცალა.

მერლინ მონრო (დაბადების სახელი ნორმა ჯინ მორტენსონი) ოქროს გლობუსის მფლობელი მსახიობი, მომღერალი, მშვენიერებისა და მოდის იდეალი, ასევე სექს-სიმბოლო იყო.

მონრო 1950-იანი და ადრეული 1960-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კინოვარსკვლავი გახდა. კარიერის შედარებით გვიან საფეხურებზე ის სერიოზულ როლებზე მუშაობდა და მისი წარმატება მისივე დროის ყველა დანარჩენი მსახიობისას აღემატებოდა.

მერლინის ნაადრევი სიკვდილი შესაძლო თვითმკვლელობად იქნა მიჩნეული. უამრავ პიროვნებას, ჯეკ კლემონსის (პოლიციის ოფიცერი, რომელიც პირველი მივიდა მერლინის გარდაცვალების ადგილზე) ჩათვლით სჯეროდათ, რომ მონრო მოკლეს. მერლინ მონრო არის ერთადერთი ქალი წარმომადგენელი ჟურნალ ფორბსის „ყველაზე შემოსავლიანი გარდაცვლილი გამოჩენილი ადამიანების“ სიაში.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*